“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№8 (224 )
აგვისტო
2017 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეცხრამეტე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

## ერეკლე მეორის მემორიალური კომპლექსი ასპინძაში

არიან დღეები, რომლებიც ადამიანთა ცხოვრებაში წარუშლელ კვალს ტოვებენ, ერთ-ერთი ასეთი დღეთაგანი, ალბათ, ამა წლის 5 აგვისტო დარჩება, ასპინძელებისათვის.

ამ დღეს, დილიდანვე, აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი ასპინძის ცენტრში, ე.წ. ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დიდი ქართველი მხედართმთავრის, უჭკნობი შარავანდედით მოსილი მეფის – ერეკლე მეორის მემორიალური კომპლექსი გაიხსნა.

ერეკლე მეორე თითოეული ქართველისათვის სიმბოლოა ჯაჭვგაუხდელი მეომარი მეფისა, რომელმაც აუარებელი ბრძოლა გადაიხადა სამშობლოს გადარჩენისათვის. პატარა კახი კი, მესხებისთვის, ყოველთვის ასოცირდება ასპინძასთან, რადგან ამ მადლიან, ჩვენი გმირი წინაპრების სისხლით გაპოხიერებულ მიწაზე, იქ, სადაც დიდი რუსთველის აკვანი დაირწა, პატარა კახმა, მცირე ჯარით და გენიალური სამხედრო ტაქტიკის გამოყენებით, ისეთ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია, რომ პრუსიის მეფესაც – ფრიდრიხ მეორესაც, ალბათ ასპინძის ომის გამოისობით, ათქმევინა ფრიად გავრცელებული სიტყვები: **„აღმოსავლეთში ერეკლე მეორეა, დასავლეთში – მეო“!**

საქართველოს არცერთ მხარეში ერეკლე მეორეზე ზეპირსიტყვიერების იმდენი მარგალიტი – ლექსი, ლეგენდა, თქმულება, არ შექმნილა, რამდენიც მესხეთში და ეს არცაა გასაკვირი. მეფე ერეკლე თითოეულმა მესხმა შეიყვარა და შეისისხლხორცა. საილუსტრაციოდ ცნობილი ფოლკლორისტის **ნიკო ასათიანის** მიერ ჩაწერილი ეს ლექსიც კმარა:

*„ცა და ქვეყანა დაღრუბლა,*
*სულ დედამიწა ღვარაო,*
*ერეკლე აწყვერს მოსულა,*
*შვიდი დღე-ღამე მდგარაო.*
*ერეკლე აწყვერს ვერ დადგა,*
*ჯავახეთს გაეჩქარაო,*
*ასპინძის ბოლოს ავიდა,*
*დელიბაშს დაეხალაო.*
*იქაც გამართეს დოგუში,*
*დელიბაშს უყო ძალაო.*
*რუსმა აართვა ღალატი,*
*ქურდულებ გაეპარაო.*
*ერეკლემ გადმოიხედა,*
*ცრემლები გადმოჰყარაო.*
*მაცადე, ჩემო ლალაო,*
*მრავალ დოგუშს გაგიმართავ,*
*თუ ღმერთმა დამაცალაო.*
*ასურმიანი ლეკები*
*უკულმა წყალმა ყარაო,*
*იმათი თოფ-იარაღი*
*ქალაქში გადიტანაო,*
*ეს ლექსი შიომ მასწავლა,*
*კიდეც ითხოვა ფარაო“.*

ქართველ მეფეთაგან, ალბათ, ყველაზე მეტი ცხოვრებისეული დეტალებიც მეფე ერეკლეზეა ცნობილი, რადგან იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ქართულ ისტორიოგრაფიაში და ხალხის – გლეხკაცობის, ყველაზე საყვარელი მეფე იყო, რომლის მიმართ პატივისცემა არასოდეს არ განელებულა.

ასპინძის ომზე კი არაერთი ისტორიული გამოკვლევა, მონოგრაფია, პუბლიკაცია დაიწერა, ცხადია, კიდევ მრავალი დაიწერება და კვლავ არაერთხელ იქცევა კვლევის საგნად.

მადლიერმა შთამომავლობამ თავის სატახტო ქალაქში – თელავში, ხელთუქმნელი ძეგლი აუგო, რომელიც თელავის სავიზიტო ბარათად იქცა, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ასპინძის ომის მემორიალური ქვა ასპინძის ცენტრშიც დაიდგა, რომელიც დღეს, ფაქტიურად, სრულიად ველარ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და სწორედ ამიტომ ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის **ლევან ცაბაძის** ინიციატივითა და რეგიონული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის – გუბერნატორ **აკაკი მაჭუტაძის** მხარდაჭერით გადაწყდა, ასპინძის ცენტრში, ე.წ. „ერეკლე მეორის ნახიდრის“ გზასაყარზე, საიდანაც გზა ცნობილი ბრძოლის ველისაკენ მიემართება, აღმართულიყო ასპინძის ომის ამსახველი ექვს მეტრიანი მემორიალური კომპლექსი, რომლის ავტორი ცნობილი ქართველი მოქანდაკე **დავით ტაბატაძეა.**

მემორიალური კომპლექსის გახსნას რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან, დედაქალაქიდან, საქართველოს სხვადასხვა მხარიდან, განსაკუთრებით კახეთიდან, – ერეკლე მეფის სატახტო ქალაქ თელავიდან, სოლიდური წარმომადგენლობა დაესწრო.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მხარის გუბერნატორი **აკაკი მაჭუტაძე,** ასპინძის გამგებელი **ლევან ცაბაძე,** მეუფე **თეოდორე,** კახეთის გუბერნატორი **ირაკლი ქადაგიშვილი.**

ცერემონიალის შემდეგ რამდენიმე მათგანს ვთხოვეთ გაეზიარებინათ თავისი შთაბეჭდილება კომპლექსის გახსნასთან დაკავშირებით:

*ლევან ცაბაძე* – ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

*იცით, რომ მეც, ერთ-ერთი პატრიოტი ვარ ჩემი ქვეყნის. ვერ დავიკვეხნი, რომ ძალიან კარგად ვიცი საქართველოს ისტორია, მაგრამ, ასე თუ ისე, რაღაც-რაღაცეებში ჩახედული ვარ და ყოველთვის ვფიქრობ იმაზე, – რა შეიძლება მომხდარიყო, რომ არა ერეკლე მეფის ეს ნაბიჯი, – ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მიმაჩნია, რომ ამ ბრძოლამ განაპირობა ის, რომ მხარის უკულმა დატრიალებული ბედის ჩარხი წაღმა დატრიალდა და დღეს, ჩვენ რომ ვართ საქართველოს სამხრეთის შემადგენელი ნაწილი, რითაც ვამაყობთ, ამ ბრძოლის დამსახურებაა. ამიტომ, ვფიქრობ, დღევანდელ დღეს, როდესაც მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესები აქტიურად ვითარდება, ერმა თავისი ისტორია კარგად უნდა იცოდეს და ეს კომპლექსიც ძალიან დიდხანს დაამახსოვრებს ჩვენს გმირულ ისტორიას როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე თითოეულ აქ გამვლელ ადამიანსაც, – თუ ვინ ვიყავით და რა ბრძოლების გადამტანია ეს ძირძველი ქართული მიწა.*

*ჩემი გამგებლობის პირველი დღიდანვე დავიწყე ფიქრი ფინანსური სახსრების მოსაძიებლად. მოგეხსენებათ, ასეთი კომპლექსის მშენებლობა, დიდ ფინანსებს მოითხოვს და ჩვენ ეს შევძელით. პროექტი ორ ეტაპად დავყავით – პირველი ეტაპი ბეტონის მასალით მშენებლობას ითვალისწინებს, მალე იგი მთლიანად ჩაისმება სპილენძის გარსში. მშენებლობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. იდეა, რა თქმა უნდა, ჩვენგან წამოვიდა, თუმცა, მხარის გუბერნატორის მხარდაჭერით, როგორც ხედავთ, პროექტი განხორციელდა.*

*ბედნიერი ვარ, რომ ეს მოვახერხეთ და ასპინძას შევმატეთ ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მონუმენტი. იმედია იგი, დროთა განმავლობაში, ასპინძის სავიზიტო ბარათად იქცევა.*

პლატონ კალმახელიძე –ქალაქ თელავის მერი: *პირველ რიგში მივულოცავ ასპინძელებს და სრულიად საქართველოს დღევანდელ დღეს, ასპინძის ომის მემორიალური კომპლექსის გახსნას. ერეკლე მეფე არ იყო საქართველოს ისტორიაში უბრალო მეფე. იგი განსაკუთრებით გამორჩეული მეომარი, ქვეყნის მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, ჭეშმარიტად სახალხო მეფე იყო, რომელსაც ხალხმა თიკუნად „პაპა“ შეარქვა.*

*განსაკუთრებით ახლაა მნიშვნელოვანი, სწორად შევაფასოთ საქართველოს ისტორია და, განსაკუთრებით, ისტორიის ის ნაწილი, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის აწმყო და მომავალი.*

აკაკი მაჭუტაძე – სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი: *– პირველ რიგში ასპინძას და სრულიად საქართველოს მივულოცავ დღევანდელ დღეს. 250 წლის შემდეგ კიდევ უფრო დაფასდა ასპინძის ბრძოლის შემოქმედი, მეფე ერეკლე. მისი სახელი განსაკუთრებით აქ გამობრწყინდა, რადგან ეს იყო უმაგალითო გამარჯვების დიდი სიმბოლო, რითაც ერეკლეს, – როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი სტრატეგი მეფის სამხედრო ნიჭი სწორედ ამ ბრძოლაში გამოვლინდა. ამიტომაცაა, რომ აშშ-ს ვესტპოინტის ცნობილ სამხედრო აკადემიის სალექციო კურსში, საბრძოლო ხელოვნების ერთ-ერთ პარაგრაფად ასპინძის ბრძოლაც არის შეტანილი.*

*ერეკლე მეფის სახელი საუკუნეებს გაუძლებს და იგი ყოველთვის დარჩება ქართველთათვის გამორჩეულ და საყვარელ პატარა კახად.*

ირაკლი ქადაგიშვილი – კახეთის გუბერნატორი. *დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მხარის გუბერნატორს, სამცხე-ჯავახეთისა და ტაოკლარჯეთის ეპარქიის წინამძღოლს და ამ მონუმენტის ავტორს იმ ღვაწლისათვის, რითაც კიდევ ერთხელ უკვდავყვეს პატარა კახის სახელი და ამ მონუმენტში ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ღირშესანიშნავი, ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული პერიოდი გააცოცხლეს. დღესაც აუცილებელად მიმაჩნია, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე იხარჯებოდეს მნიშვნელოვანი ფინანსები. ამიტომაცაა, რომ მუნიციპალიტეტის მესვეურები სერიოზულად ფიქრობენ და ცენტრალურ გზებთან, თვალსაჩინო ადგილებზე, ჩვენს ისტორიასაც აცოცხლებენ. ამ ერთიანობაში, აწმყოს, ისტორიის ერთიანობაში, იბადება მომავალი. და აი, ამ მომავლის დაბადების პატარა ბედნიერი წუთებია ეს და მადლობა მინდა მოვახსენო ყველა ასპინძელს ამისათვის.*

კარლო ხუციშვილი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ასპინძის მკვიდრი: *– ასპინძის ომი ქართველი კაცისათვის სამშობლოს სიყვარულის, მამაცობისა და ომის სტრატეგიის სიმბოლოა. 1770 წლის 20 აპრილს, სახელოვანი ქართველი მეფის, ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით ქართული ჯარის ასპინძაში მსგავს გამარჯვებას ნებისმიერი დიდი სახელმწიფო ინატრებდა.*

*ასპინძის ომში გარკვეული წვლილი მიუძღვის ადგილობრივ მოსახლეობასაც, რომ არა მათი მხარდაჭერა, ალბათ, ერეკლე მეორეს ძალიან გაუჭირდებოდა გამარჯვების მიღწევა.*

*დღეს, ჩვენს დაჭრილ სულს ესაჭიროება განკურნება, მომავლის რწმენისა და ქვეყნის შენების სურვილის დაბრუნება. ეს მონუმენტი, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა, სჭირდება ყველა ქართველს, რომ გაიგოს ჩვენი წინაპრების საქმენი საგმირონი, იგი დიდი პატრიოტული გრძნობების გამღვიძებელი გახდება ჩვენი ხალხის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობისათვის.*

*ამიტომ, მადლობა მინდა გადავუხადო ასპინძის ომის ამსახველი მონუმენტის შექმნის ინიციატორებს, მის ავტორს, მშენებლებს და ყველას, ვისაც მის აგებაში მიუძღვით წვლილი.*





მისასალმებელია, რომ სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით სწორედ ამ დღეს დაამთხვიეს მესხური ფოლკლორის ფესტივალი, სადაც რეგიონის უკლებლივ ყველა მუნიციპალიტეტმა მიიღო მონაწილეობა და გამგეობის ადმინისტრაციული შენობის გვერდით, ლამაზად გაფორმებულ სცენაზე, წარმოადგინეს თავიანთი ხალხური შემოქმედება.

ფესტივალზე მოეწყო მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ ადამიანთა დიდი ჯგუფის საზეიმო დაჯილდოება, ხოლო, სიმბოლურად, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონის გუბერნატორებმა სამახსოვრო საჩუქრები – ერეკლე მეფის პორტრეტი და ასპინძის ომის მემორიალური კომპლექსის მაკეტი გადასცეს ერთმანეთს.

ფესტივალმა გვიანობამდე გასტანა და ღონისძიების დასასრულს, ასპინძის ომის მემორიალური კომპლექსის გახსნასთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო კონცერტი ცნობილი მუსიკოსის **ნიაზ დიასამიძისა** და „ჯგუფ-33-ა“-ს მონაწილეობით.

ავთანდილ ბერიძე

## დიდგორის ბრძოლა

### ჯაბა სამუშია

დიდგორის ბრძოლას გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში. ეს გამარჯვება დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისათვის ბრძოლის, ერთიანობის, ქვეყნისათათვის თავდადების სიმბოლოა. იმავდროულად, დიდგორი ქართული სამხედრო წარმატებების ნიშანსვეტია.

არ იქნებოდა დიდგორი, რომ არა დავით IV აღმაშენებლის 32-წლიანი მოღვაწეობა. არ ექნებოდა საქართველოს „ოქროს ხანა,“ დიდგორზე ბრწყინვალე გამარჯვება რომ არ მოგვეპოვებინა.

მსოფლიოს ნებისმიერი ერი ამაყობს თავისი სამხედრო წარმატებებით. ხშირად დიდი პომპეზურობით აღნიშავენ ამ დღეს. ბუნებრივია, ქართველებსაც გვმართებს მოვუფრთხილდეთ ჩვენს ისტორიულ მეხსიერებას და სათანადო პატივი ვცეთ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს.

1121 წლის 12 აგვისტოს, დიდგორის ვიწროებში მდგარ ქართველ მეომრებს, გათვიცნობიერებული ჰქონდათ, რომ ეს დღე მათი სამშობლოსათვის, მათი ოჯახებისათვის გადამწყვეტი შეიძლება გამხდარიყო. ერი და ბერი საგანგებოდ ემზადებოდა. სამეფო კარი ჯარს საბრძოლველად ამზადებდა. ეკლესიებში ქართველთა გამარჯვებისათვის ლოცვას აღავლენდნენ. სამწუხაროდ, წერილობით წყაროებს არ დაუცავს ცნობები თუ როგორ ემზადებოდა ქართველობა დიდგორის ბრძოლისათვის, ეს ამბები სამუდამოდ ჩაიკარგა ისტორიის ქარტეხილებში. რამდენი უძილო ღამეს გაატარებდა დავით აღმაშენებელი ბრძოლის საბოლოო გეგმის შემუშავებისას. მტერი საკმაოდ გამოცდილი იყო და ამიტომაც ყოველივე გათვლილი, დათვლილი უნდა ყოფილიყო.

მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი ნელ-ნელა მოიწევდა საქართველოს სიღრმისკენ. მტერი დიდ იმედს ამყარებდა ამ ლაშქრობაზე. ერთხელ და სამუდამოდ „ჭკუა უნდა ესწავლებინათ“ ქართველთათვის, რომლებმაც არა მარტო შეავიწროვეს თურქ-სელჩუკები, არამედ, ამიერკავკასიაში პირველობისათვის დაიწყეს ბრძოლა. 1020-1021 წლები ქართველთათვის იყო მეტად წარმატებული. დავით აღმაშენებელმა რამდენიმე დიდ გამარჯვებას მიაღწია თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში. 1120 წლის 14 თებერვალს ქართველებმა ბოტორასთან დაამარცხეს თურქები. მალე ქალაქი ყაბალაც აიღეს და შირვანიდან განდევნეს მტერი. იმავე წლის ნოემბერში დავითმა აშორნიასთან სასტიკად დაამარცხა სელჩუკები. ქართველთა ეს წარმატება 1121 წელსაც გაგრძელდა. ამიერკავკასიაში ქართველთა სამხედრო უპირატესობა აშკარა იყო. ამით შეშფოთებულმა განძელ-თბილელ-დმანელმა ვაჭრებმა და ადგილობრივმა მუსლიმმა მმართველებმა სპარსეთის სულთანს სთხოვეს დახმარება საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. სულთანმა **მაჰმუდ მუჰამედის ძემ** მთელ მუსულმანურ სამყაროს მიმართა თხოვნით დიდი კოალიციური ლაშქარი შეეკრიბათ ქართველთა წინააღმდეგ. სულთნის ამ თხოვნას ბევრი გამოეხმაურა. უმოკლეს ხანში შეიკრიბა 300-400 ათასიანი არმია. მას მაჰმუდ მუჰამედის ძემ სარდლად **ნეჯმ ად-დინ ილღაზი** უთავა. აღმოსავლეთში ილღაზის სახელი ამ დროისათვის დიდების შარავანდედით იყო მოსილი. იგი ფლობდა ბაღდადის, მარდინისა და ალეპოს ციხე-ქალაქებს. ილღაზმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ევროპელ რაინდებთან ბრძოლაში. 1119 წელს მან მდ. ორონტის ნაპირებთან, ე.წ. „სისხლიან ველზე“, სასტიკი დამარცხება აგემა ჯვაროსნებს. ამ გამარჯვების გამო ილღაზს **„ნეჯმ ად-დინი“ – „სარწმუნოების ვასკვლავი“** უწოდეს.

ნეჯმ ად-დინ ილღაზთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობდნენ ემირი დუბაის **იბნ-სადაყა, თოღრულ მოჰამედის ძე, თუღან არსლან კუზიანი,** განძის ათაბაგი და სხვა მუსლიმი მმართველები.

აგვისტოს დასაწყისში მუსულმანური კოალიცია საქართველოსაკენ დაიძრა. ილღაზი ჯერ არზრუმში მოვიდა. სწორედ აქ უნდა მოეყარათ თავი სხვადასხვა მხრიდან წამოსულ ილღაზის მოლაშქრეებს. თოღრულ მოჰამედის ძე განძის მხრიდან, ხოლო თუღან არსლან კუზიანი – დვინის მხრიდან მოემართებოდა. პაემანი თრიალეთში იყო დათქმული. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, მტერი „***მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელიც თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა.***“ დავით აღმაშენებელი დიდგორის ვიწროებში ელოდებოდა მტერს, რომელიც იყო „***სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა.***“ სრულიად სამართლიანად მიუთითებს

დასასრული მე-9 გვ. ▶

## ვახტანგ გურგენიძე

„ძვირფასო, ძვირფასო მკითხველო, გთხოვთ მოთმინებას! უნდა გამოგიტყდეთ, რომ საქმე გვაქვს არაჩვეულებრივ ადამიანთან, — პიროვნებასთან, რომელიც საუბრობს საკუთარ თავთან. ასეთ ადამიანებს, რატომღაც, სჯერათ, რომ ისინი მოწოდებულნი არიან დიადი მისიისათვის!

საუბარი საკუთარ თავთან ოცნებაა, ცხოვრებისეული აღქმა და განცდაა, უმეტესწილად, სასოწარკვეთილებით აღსავსე. და, მაინც, მეოცნებე ადამიანის მთავარი თემა სამშობლო, მისი წარსული, აწმყო და, უმეტესად, მომავალზე ფიქრია! მასზე ოცნება გაგიტაცებს და, ხშირ შემთხვევაში, მარადისობის ძეგლთა შენებას დაგავიწყებინებს, ზოგჯერ ხელში ხმალს აგაღებინებს და მარაბდელებთან, ასპინძელებთან, კრწანისელებთან ერთად გაომებს; ბედნიერ დღეებსაც გაგრძნობინებს ვახტანგ გორგასალთან, თამართან, დავითთან და ქართველ სხვა განმანათლებლებთან უდაბნოებსა და წმ. ადგილებში... დიახ, ძვირფასო მკითხველო, თუ ნებისყოფას გამოიჩენთ და ამ წიგნიდან ერთ რომელიმე „მოთხრობას“ მაინც წაიკითხავთ, ამაში თვალნათლივ დარწმუნდებით.

ავტორს სჯერა, რომ სიკეთისა და სიყვარულის ისტორიაში არაფერი შექმნილა თავისი მსგავსი „უცნაური“ ადამიანების საკუთარ თავთან ოცნებისა და საუბრის გარეშე. ასეთი ადამიანებიც იბადებიან, იზრდებიან და... არ კვდებიან, — მათი „შემოქმედება“ რჩება უკუნისი-უკუნისამდე. ისინი ღვთით „მოვლენილი“ ანგელოზები არიან, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ვერ ეთვისებიან ცხოვრების მკაცრ სინამდვილეს და, ხალხის „მსახურად“ ნაკურთხნი, ან გოლგოთისაკენ მიიჩქარიან, ანდა, ხელმოცარულნი რჩებიან, — თავიანთი ცხოვრების მანძილზე ზოგი კალმით, ზოგი ყალმით და, ღმერთმა უწყის, ზოგი კიდევ რითი, აწუხებენ თავიანთ თავსაც და საზოგადოებასაც. ხალხი მათ შერეკილთა კატეგორიას მიაკუთვნებს. წინამდებარე ნაწერებიც ერთი იმათაგანის „ნაღვაწია“.

ავტორისეული ასეთი შესავალი ჰქონდა იმ „კრებულს“, რომელიც ერთმა ჩემმა მეგობარმა მომიტანა გასაცნობად. ნაწერები გულდასმით წავიკითხე და, თითქმის უცვლელად გამოვიტანე თქვენს სამსჯავროზე...

ძვირფასო მკითხველო, ნუ ვიქნებით მკაცრნი, მივუტევოთ და შევუნდოთ ისედაც „წამებულ“ ავტორს შეცოდებანი!




## ბობოქარ ფიქრთა სამყაროში

ადამიანები, ოცნების ღვთაების დასახსნელად, უფრო მეტ დროს საკუთარ თავთან საუბრობენ. მათ ფიქრების ხომალდით შეუცნობელ სამყაროში უხდებათ მოგზაურობა...

სიამოვნების მომგვრელია არგამხელილი და ტყვედქმნილი ოცნება, — სიზმრისეული ფიქრები...

ამათგან ყველაზე მომზადებული, ყველაზე საოცნებოა სიჭაბუკის პერიოდის ფიქრები და სიბერის ჟამის ზმანება... მათი გამხელა დაკარგვას ნიშნავს.

ოჰ, ჩემი არგამხელილი ფიქრების ოკეანე!.. ახალგაზრდობის ჩემეული ფრთაშეტეხილი ოცნებანი... ისინი დიდ და ყველაზე სათუთ საუნჯედ დარჩებიან ჩემი ფიქრების საგანძურში, ჩემი აზროვნების მატიანეში... ბევრი, ძალიან ბევრია ხელუხლებელი, გადამალული, გაუმხელელი... ისინი ღვთაებრივ თავისუფლებას განიჭებენ... ბორკილებს გხსნიან და ჯვარცმისათვის გამზადებენ...

ოცნებები მზეზე ძლიერად ანათებენ ადამიანის დაბნელებულ სამყაროს, შეუცნობელ მომავალს... აღვიძებენ ჭეშმარიტებისადმი ლტოლვას მდუმარებით აღსავსე სამყაროს ასაფეთქებლად...

ადამიანთა მოდგმა დაიღალა, გადაგვარდა...

მათი ფიქრი, დაბინდულ გარემოში, კუჭის მონად იქცა... ხანდახან იმედდაკარგული ფიქრები თუ ჩაუქროლებენ ქარიშხალივით...

ჩემთანაც ამოტივტივდებიან ეროვნული სასოებანი, — რა სიმრავლეა, რა მიმზიდველი იმედი ოცნებისა.

„კეთილ არს სასოებაი უფლისაი“!

ჩემი ფიქრების კორიანტელი თავს დასტრიალებს წინაპართა ლანდებს, რომლებიც ოცნების გარეშე „ცხოვრობენ“ უხილავ ქვეყანაში... ისინი არასდროს იხრჩობიან ჩვენსავით ოცნებების ოკეანეში... მათთვის არ არსებობს, გაუგებარიცაა, თავისუფლებისა და სიყვარულის საპყრობილე, არც ტრიბუნებია და არც სიმდიდრე, არც სასაფლაოა და... არც სანაგვე ყუთი. მათი პატივისცემის ასევე უხილავ სუფრაზე შარავანდედით მოსილია ყველა, ვინც თავი დასდო სამშობლოსათვის, ენისათვის, რწმენისათვის... მათ არ იცოდნენ ამაოება და არც ამაოებისათვის ტანჯვა... იქ აფრენილი რწმენისა და ფრთაშესხმული სიმარტოვის სამყაროა... უსიტყვოა და უსაზღვროა იგი. ამიტომაც იქ ყველა ბატონია თავიანთი თავის და ყველა მონაა სულთამხილველის, რომელიც განაგებს შეუცნობელი ქვეყნის პირთა მარადისობას...

... მადლობთ, შენ, უფალო, რამეთუ ადამიანს სიცოცხლეში უწილადე ფიქრთა სამყარო!!!

## უგულო კითხვები და უგულო პასუხები

— რა მიგაჩნიათ ბედნიერებად?

— სიყვარულის გრძნობა.

— უფრო კონკრეტულად?

— სამშობლოს სიყვარული, სამშობლოსათვის თავდადება.

— როგორ გესმის სამშობლოსათვის თავდადება?

— (დუმილი).

კომენტარი: მას არასდროს არ უფიქრია, რომ მშვიდობიანობის პერიოდში „სამშობლოსათვის თავდადება“ სხვა არაფერია, თუ არა შრომა, შრომა არა მოვალეობისა და სამსახურეობრივი საქმიანობის შესასრულებლად, არამედ სამშობლოსათვისაც. ეს არის თავდადებული შრომა, რითაც ამართლებ შენს ეროვნულ-მოქალაქეობრივ ვალდებულებასაც და თვით სიცოცხლესაც ამ ქვეყანაზე.

თუ როგორ პასუხებდნენ საქართველოში არაქართველი მაცხოვრებლები, ეს „ინტერნაციონალური პოზიციიდან“ სულ სხვანაირად გამოიყურება „დღევანდელ“ სიტუაციაში.

მეორე კითხვა:

— მსოფლიო მასშტაბით ვინ იყო ყველაზე ბედნიერი ადამიანი?

— დონ-კიხოტი.

— რატომ?

— სიკეთისა და სიყვარულისთვის, სამართლიანობისა და მომავალი ბედნიერებისათვის „იბრძოდა“. დღეს ყველა მათი სულისკვეთებით და გულისწადილით რომ ვიყოთ, მაშინ ბედნიერი იქნებოდა მთელი სამყარო. ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც მრწამსი არ დაუკარგავს და დონ-კიხოტური რაინდობით იბრძვის მიზნის მისაღწევად. სამწუხაროა, რომ მხარს ვერ აუბამს დონ-კიხოტს სანჩო პანსა. ისეთი „თავდადებულები“ დღევანდელ მეცნიერულ და ტექნიკურად განვითარებულ ქვეყნებშიც აღარ არსებობენ.



## ათეისტურ მეცადინეობაზე ჭალადიდში
### (აგიტატორი და ბავშვები)

ვუძღვნი პავლე კოხრეიძეს

— აბა, ბავშვებო, ვინ მეტყვის, რა არის ღმერთი?

— ღმერთი, პატივცემულო, — პასუხობს პატარა, — სინდისია!

— როგორ თუ სინდისი?

— მამაჩემი სულ იმას იმეორებს: „მე ჩემი ღმერთის წინაშე პირნათელი ვარო“ და, როცა შეეკითხებიან, ვინ არის შენი ღმერთიო, პასუხობს: — „ჩემი სინდისიო“!

— შენც თუ გწამს ღმერთი?

— დიახ, პატივცემულო.

— ვინაა შენი ღმერთი?

— სამშობლო, პატივცემულო.

— რა ჰქვია შენს სამშობლოს?

— „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო“... ე.ი. საქართველო.

— სახარება თუ გაგიგონიათ, ბავშვებო?

— კი, პატივცემულო, ბებიაჩემი „ვეფხისტყაოსანს“ ეძახის, — უპასუხა ავთანდილმა.

— აბა, რა იცი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ავთანდილ?

„ვეფხისტყაოსანი“ შოთა რუსთაველმა დაწერა და იქ მთავარი გმირები ტარიელი და ავთანდილია. მეც მინდა რომ ავთანდილი ვიყო.

— აბა, ახლა მითხარი: შენ რა იცი სახარების შესახებ?

— არაფერი! სადღეგრძელოებში კი ხშირად ამბობენ: „ორი სახარების მადლი შეგეწიოთო“! — პასუხობს ავთანდილი.

— არა, ბავშვებო, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ღმერთი კაპიტალისტების მოგონილია. წინათ მღვდლები, — ეკლესიის მსახურნი, ტყავს აძრობდნენ ხალხს. მათი სახარება — წიგნიც სულ ცრუ რწმენას ქადაგებს. არ არსებობს არავითარი ღმერთი. ტყუილია ისიც, თითქოს რელიგია ქადაგებდეს ხალხთა შორის სიყვარულს, სიმართლეს, პატიოსნებას, სიკეთეს... არ დაიჯეროთ, ამას ჩვენი, რევოლუციის მტრები ავრცელებენ. იგი ჭორია...

გაუმარჯოს რევოლუციას.

## ვიყვიროთ, ვისაც როგორ შეგვიძლია!

ჩვენ ყოველთვის უნდა ვიყვიროთ იქ, სადაც გვყავს საყვარელი!

... მაშინ, როცა ... დაგვიანება და აღმოსავლური პასიურობა ყოველთვის დამღუპველი იყო ჩვენთვის. დამღუპველია განსაკუთრებით დღეს. თუმცა სწორედ დღეს მოგვეცა შესაძლებლობა, არ ვიცი, როდემდის გაგრძელდება ეს „რევლუციური“ განწყობა, ვიყვიროთ ხმამაღლა და რამდენი გვაქვს საყვირელი! და, პირველი, რაც გვეკივლება და ბედკრულქმნილ (ჩვენი და მხოლოდ ჩვენი დაუდევრობის შედეგად) სამშობლოს შევაწიოთ კიდევ ის, ვისაც რისი გაკეთება შეუძლია, ამ შემთხვევაში დიდ საქმიანობად ჩაგვეთვლება ის მცირედიც, როცა მას თავის დროზე გავაკეთებთ...

... და როგორ გადაგვარჩენდა ჩვენი დროის რუსთაველი?!

— როგორ წარგვიძღვებოდა ჩვენი დროის ილია?!

... აღარ დაეხეთქებოდა ქვაფენილზე გალაკტიონი!

— დღის წესრიგიდან მოიხსნებოდა ჩვენი ყოფნა-არყოფნა!

—არ გვეყოლებოდა ასეულ ათასობით პარაზიტი!!!

— სოფელი ათასობით ნარკომანით (ვაი, ჩვენი ბრალი!).

— „ამდენი ბედნიერება“, — სამშობლოს გამყიდველები.

ამდენი უსაქმურნი!

ამდენი გადაგვარებულნი!

ამდენი მუქთამჭამელნი!

ამდენი ერისმკვლელნი!

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ „საიდან იწყება სამშობლო“?

რა უსუსური კითხვაა: „რა არის პატრიოტიზმი“?

## ვამრავლოთ ძაღლები?!

ვუძღვნი ჩემ მეგობარს ვალ.გაბელიას

„ძაღლურს“ სალანძღავ სიტყვად ხმარობენ, უმეტესწილად... „ძაღლადაც არ ჩამაგდოო“, — გავიგონებთ ხშირად, მაგრამ „ძაღლის სიყვარული“? იგი უსაზღვრო სიყვარულს, „მაღალზნეობრივ მორალს“ გამოხატავს ყველგან... ასეთი „თანაგრძნობა“ ყოველთვის სჭირდებოდა ადამიანს...

დასაბამიდან წუთისოფელში ადამიანის განუყრელი თანამგზავრი მწუხარება იყო. სიცოცხლესაც მისი მეშვეობით ეძლეოდა შინაარსი. სიყვარული, ყოვლისშემძლეობაც, ამასთანაა დაკავშირებული... ამიტომაც იყოფდა ცხრა ძმა ერთი თხილის გულს. ამიტომაც მიმართა დიდმა ილიამ მშობლიურ ქვეყანას: „მისთვის მიყვარხარ, რომ მაძლევ ტანჯვას და ამ ტანჯვაში სრულ სიცოცხლესა“ და, რა შეედრება მიწის, შენი სამშობლოს სიყვარულს, მისთვის ტანჯვას... ჯვარცმას...

არის წამები, — ბედნიერების, ნუგეშის მომტანის მაუწყებელი. მაშინ მთლიანად გავიწყდება გარდახდილი ჭირი... ესაა ბედნიერება და მისი თანაავტორი „ძმაა“, „მეგობარია“... მეგობრის წყალობით იკურნება ადამიანის სული წყლულისაგან. ამ უხილავი ურთიერთობით, — „წყლულის მალამოს“ მომწოდებელ ადამიანთან ურთიერთობით ვაღწევთ „ბედნიერებას“... ვაგებთ ციხე-კოშკებს, ვმაღლდებით ცამდე, ვესაუბრებით „ყოვლისშემქმნელსა“ და „ყოვლისშემძლეს“ უხილავ ძალას“...

ეს სიყვარულის გამარჯვებაა სიძულვილზე, მწუხარებაზე...

როგორც ყველა, მეც, ყველგან და ყოველთვის, იმედის დუღაბით მიშენებია მეგობრების დახმარებით „ჰაეროვანი პირამიდები“ უდაბნოდ ქცეული სულის უკიდეგანო სამყაროში, განსაკუთრებით ბავშვობის წლებში... ოჰ, როგორ მინდა ამირანის განთავისუფლება!.. ამიტომაც ვეძებდი „მეგობრებს“...

დღესაც ყველაზე დიდ ავბედითობად მიმაჩნია, როცა ვკარგავ მეგობარს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის კვლავ ცოცხალია და აღარ გვახსოვს ურთიერთნი... ეს ადამიანის სულიერი ტრაგედიაა, პიროვნების გაპარტახება... სიკვდილია... ეს სიძულვილის სიყვარულზე გამარჯვებაა!!!

მეგობართან ერთად, სამშობლოს სამსახური მსხვერპლს მოითხოვს. ეს შენ უნდა გაილო, სხვა ვერ შეგცვლის, შენ ერთადერთი ხარ ამ ქვეყანაზე. შენ უნდა დასძლიო ყოველივე დაღმართი აღმართით, სიბნელე — სინათლით, სიძულვილი — სიყვარულით... მეგობრობით, მეგობრობით და მეგობრობით...

— მე, ბავშვობისას, — გამიმხილა ჩემმა ერთმა მეგობარმა, — განმიცდია ნამდვილი მეგობრობა. დღევანდლამდე ვწუხვარ მის დაკარგვას. მისი მსგავსი, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, არც შემხვედრია. მე ის მიყვარდა, მას უფრო მეტად ვუყვარდი მე. ვის სიყვარულს შევადარო? ჩემთვის, ობლობის გამო, მშობელ დედას სიყვარული არ უსწავლებია. დედა არც მახსოვს. ასევე შეუცნობელი გამოდგა რაღაც ყოვლისშემძლე ძალა, რომელიც მე დამეუფლა მაშინ, როცა 12-13 წლის ახალგაზრდა ჯადოსნურ სამყაროში ვექცეოდი მეზობლის გოგონასთან შეხვედრისას. ესეც სიზმარეულად დამთავრდა. იგი ფილტვების ანთებით, 10-12 წლისა გარდაიცვალა... ტრაგედიით დამთავრდა ჩემი მეგობრობა „გიშერასთან“ (იგი მეზობლებმა მომიკლეს, — ნემსები გადააყლაპეს...)... ძაღლი ადამიანურად დავასაფლავე და დიდხანსაც დავდიოდი მის საფლავზე...აი, ვინ იყო ჩემი ნამდვილი მეგობარი... ნუთუ ჩემი ცხოვრება ისე უნდა დამთავრდეს, რომ ადამიანებში ვერ შევხვდე ისეთ „სულიერ“ თანამგზავრს?..

— ღმერთი იყოს შენი შემწე, ჩემო მეგობარო, გულში გავიფიქრე და მეხსირების თვალით გადავხედე ჩემს წარსულს. გავიხსენე ჩემი ძაღლიც — „შარიკა“, რომელიც მგელმა მოგვტაცა სოფელში (მეც ვეძებდი მის ნაკვალევს დიდხანს), მეხსიერების დაფაზე ამოტივტივდნენ ბავშვობის, სიყრმის, სიჭაბუკის თუ სიჭარმაგის მეგობრები, მათთან შეუცნობელი, უმწიკვლო, „განუყრელი“ ურთიერთობის სურათები, ფიცი... სადღეგრძელოები, ხვევნა და კოცნა... მართალი ბრძანებულა ჩემი მეგობარი!

მხოლოდ ყურშამ არ უღალატა ამირანს!

გადავგვარდით, დავკარგეთ მეგობრული სითბო, გავიყინეთ. აღარ ვართ ისინი, ვინც უნდა ვიყოთ. აღარ გვახსოვს ერთმანეთი (მეგობრები, ნათესავები, ნაცნობები). „ცხოვრებით“ კულტად ვაქციეთ ხორციელი შვება, კუჭის ინსტიქტი. ყოველმხრივ უარვყავით სულიერი, ლამაზი სამყარო. აღმოვჩნდით ჭაობში, ქაოსში, სანაგვე ყუთში... ვლპებით სიცოცხლეშივე... ძაღლის მეგობრობიდან ავითვისეთ მხოლოდ კუდის ქიცინი „პატრონისადმი“... და, მაინც, — ერთადერთი გზა, გზა გადარჩენისა, გზა თავისუფლებისა — მეგობრობაშია, ერთობაშია, სიყვარულშია! გავუხსნათ გულის საგანძური მეგობარს, ყველას გავცეთ სულიერი საუნჯე...

ჰოდა, მაინც, ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

*27 თებერვალი - 5 მარტი, 1987 წელი*

*საქართველოს ცენტრალური არქივის ფონდი N303, 1-567*

# ვაჟა ჩიტაშვილი

## წისქვილი

ტყეში მძინარე გიპოვე,
დავმუნჯდი შენი ხილვითა,
გამოგაღვიძე დაღლილი
საუკუნოვან ძილითა.

გითხარი, არ დამიჯერე,
ისევ სიზმარი გგონია;
მოვედი შენთან საშველად
შენი ტოლი და სწორია.

მეც შენსავით ვარ დაღლილი –
არა ჯაფით და შრომითა,
არამედ ქართულ მიწაზე
ქართული გენის კვდომითა.

გპირდები, ჩემო წისქვილო,
იბრუნებს შენი ლოდიო,
ოღონდ ქართველებს უთხარი:
ჩემს სიახლოვეს მოდიო.

მოდიო, რათა ვიმღეროთ, –
ერთად ვადიდოთ ერიო.
გაღმა ქართველებს გავძახოთ:
„ჰერიო, ბიჭებო, ჰერიო“!

ჯერ „მუმლი მუხით“ დავიწყოთ,
შემდეგ „შავლეგოს ჩოხითა“.
მადლობა უფალს, რომ განხე,
გეძებდი მუხლის ჩოქვითა.

## ჩემი ციხე რაბათის

მე მიცავდა ჩემი ციხე, –
ახალციხის რაბათი,
მე მიცავდა დიდი სიბრძნე
დიდი სულხან-საბასი.

ბევრჯერ სცადეს დამარცხება, –
ციხე მათ არ დანებდა.
ისე მტკიცედ მიცავდა, რომ
ნიავს არ მაკარებდა.

გალავნის და კოშკის შიშით
ცუდს ვერავინ ბედავდა,
მე მიცავდა ჩემი ციხე,
თან შვილივით მხედავდა.

ახლა ციხეს თვითონ უჭირს,
არც ძალა აქვს ომისა;
გალავნიდან ცრემლი მოდის –
ცრემლი კოშკთა კვდომისა.

არავის სურს ხმალით დადგეს
და დაიცვას რაბათი;
დაივიწყეს, არვის ახსოვს
სიბრძნე სულხან-საბასი.

## სატყეპელა

*(საზღვრის მიღმა დარჩენილი საქართველოს ტერიტორია, ჩვენი სოფლის და გვარის საკუთრებაში არსებული სათიბებია)*

სატყეპელას რომ ავედი,
ქროდა გრილი ნიავი;
გაღმა ცხვარი, ძროხა ძოვდა
ვიღაც ოხერ-ტიალის.

მამა-პაპის კვალს ვეძებდი,
არსად ჩანდა მდელოზე,
შემოდგომის პირი იყო,
ხევებიც არ მღეროდნენ.

გადავედი, ფეხი დავდგი
სატყეპელას ბალახზე,
ბევრი ომის მოწმეზე და
ჭირ-ვარამის ნანახზე.

ღმერთს შევთხოვე, – დაგვიბრუნდეს
მტკვრის სათავე, – ჭოროხის,
ჩვენი მიწა, ჩვენი წყალი
ტალახით და გოროხით.

ჩვენი დროშით იზეიმონ
მგლის ციხემ და ქაჯეთის,
ღმერთო ჩემო, დაგვიბრუნე
ჩვენი ტაო-კლარჯეთი.

## ფიჭვები

არც ღარიბი ვარ და არც მდიდარი,
არც ისე მილხინს, არც ისე მიჭირს.
მე ხომ იმითაც ვარ ბედნიერი
რომ გავახარე ნერგები ფიჭვის.

გულით მახარებს ძმათა სიკეთე,
უბრალო სიტყვა, ტკბილი სალამი,
ჩემი სახლ-კარი, ნაბადი ჩემი,
ბუნება ლაღი, ჩემი კალამი.

კალამი, რითიც ბუნებას ვხატავ
და ჩანჩქერების სიმაღლეს ვწვდები,
მე მწამს და მჯერა უკვდავებისა,
ასე მგონია, მეც არ მოვკვდები.

მიტომ, რომ მიცავს ჩემი სამშობლო,
მესხური მიწის ღონე და ძალა,
ასე მგონია, ჯერ კიდევ დიდხანს
არ დავასვენებ ამ ლამაზ კალამს.

## მესხი

მთები არწივებს არ ჰგვანან,
კლდეები – ქვების გროვას,
ვაჟკაცებს შიშს ვერ შეატყობ,
ქალბატონებს კი – გლოვას.

აქ მზეც ანათებს მხურვალე,
ხილიც მზის სხივზე ტკბება,
ქვირითს რომ დაყრის კალმახი,
წყაროს პირებზე კვდება.

უსიტყვოდ ყველა გმირია
მისი ცხოვრების წესით
უბრალოდ, ყველა კაცია, –
სახელად ჰქვია მესხი.

## ჩანჩქერებში

ულრან ტყეში, ჩანჩქერებში
ჩაკარგულა კაცის მადლი,
მსოფლიო რომ მოიარო,
ვერსად ნახავ ასეთ ადგილს.



აქ ტრიალებს წისქვილის ქვა,
და დაგათრობს ფიჭვის სუნი,
აქ ისმება წყაროს წყალი
და იფქვება დოლის პური.

ცისარტყელა მთაზე ხიდად
უხვ ფერებში გადებულა,
ღმერთო ჩემო, აქ მაცოცხლე,
ძველებურად, ქართველურად!

## ღვინოა გადარეული

მესხეთში, ახლოს ფურნესთან
ვაზი მაქვს მამისეული,
ღვინო გამოდის „კახურთან“
მართლაც რომ გადარეული.

გემოთი „ციცქა“ არ არის,
ფერით კი „ნაფარეული“,
ბევრი ვიფიქრე – სახელად
დავარქვი „გადარეული“.

ფიალით კარგად ისმება,
ყანწებით ცოტა ძნელია,
ღვინოს ძალიან უხდება
თამადა ლექსის მთქმელია.

რომ დალევთ, მესხური ღვინით
დატკბება თქვენი სხეული,
არ დაივიწყოთ – სახელად
ღვინოა „გადარეული“!

## ბედნიერება

ზოგს დიდი სახლი უშენებია,
ზოგს კი – ძალიან პატარა ქოხი,
ზოგი ნებივრობს, განცხრომაშია,
ზოგი წვალობს და ხმელ მიწას თოხნის.

სად იმალება ბედნიერება
ამქვეყნად, ალბათ, არავინ იცის,
იქნებ, იმ სახლში, იმ ლამაზ სახლში,
იქნებ, იმ ქოხში, მთოხნელთან მიწის.

ხვავი, ბარაქა, მოსავლით ტკბობა
და ჰარმონია ოჯახის წევრთა,
ისინი უფრო ახლოს არიან
დაბლა მიწასთან და მაღლა ღმერთთან.

## ბომბორა

დრო გავა და წაიშლება
ეგ შენი ნაფეხურები,
ზოგს წვიმა წაშლის, ზოგს – თოვლი,
ზოგს – ხარ-კამეჩი, ურემი.

შენს ტყავს დაფლეთილს გაიყოფს
ნადირი, ყვავი, ყორანი.
ეგ შენი უძილო ღამე
დარჩება მოსაგონარი.

მოგიკითხავენ კლდეები,
ნისლით გამძღარი ბალახნი,
შენ ბრძოლას ვერ დაავიწყებ,
ვისაც ბრძოლა აქვს ნანახი.

უკან დახევა ჩათვალე
სირცხვილად, არარაობად,
ასე გაგზარდეს, შენც ზრდიდი
ქართულ ნაგაზთა თაობას.

შენმა პატრონმა გიმტყუნა,
ვერ მოგცა ბანი ხმიანი,
ყელს ვერ შეგაბა ქამარი,
ჩანგალი წვეტებიანი.

ჩვენც ასე გვინდა შენსავით
ბრძოლაში ვიყოთ ჩართული,
შემოვიერთოთ მიწები
მამაპაპური, – ქართული.

## წუთისოფელი

ცაში მქუხარე ღრუბლები
მწვერვალებს ჩამოხეულან,
მიმოფანტულან ჭალებში, –
ქათქათა ნისლად ქცეულან.

ფერდობებს დაცურებულან,
მთის კალთებს ჩასჭიდებიან,
დაბლა არ უნდათ ჩამოსვლა,
მაღლა ასვლისას ქრებიან.

გუშინ რომ ცაზე ელავდნენ
დიდი სტიქიის მშობელნი,
დღეს ამ ჭალებში დასრულდა
ღრუბლების წუთისოფელი.

დრო მიდის, ჩვენც მას მივყვებით,
არავინ იცის, რაც ხდება;
ნისლსა ჰგავს ჩვენი სიცოცხლეც,
მოვა და მისებრ გაქრება.

ბნელეთში ჩაიკარგება
სიცოცხლე ხალისიანი
და ჩვენს საფლავებს შეამკობს
ბალახნი – ლურჯი იანი.

ლურჯი იანი, ზოგჯერ მზიანი,
ზოგჯერ ხმელი და თვალცრემლიანი,
ღმერთო, გვაცოცხლე, საქმე ვაკეთოთ
ჩვენ ქვეყნისათვის სამართლიანი.

## ზამთარი

ჩამოთოვლილან ტყეები, –
ჩემი პატარა ბინაც,
ბუნებაც დაყრუებულა,
სქელი საბნის ქვეშ სძინავს.

ნადირიც შეწუხებულა,
დადის სიკვდილის პირას,
ზოგი ბარისკენ დაძრულა
და გაქცევია ყინვას.

დადუმებულა ჩანჩქერიც, –
ველურ ბუნების მეფე,
ყინულში მალავს, არ აჩენს
კამკამა ბროლის შხეფებს.

არავის ესაუბრება,
მიძინებული მთები,
ისინი ჩემით ტკბებიან,
მე მათი ნახვით ვტკბები.

ჩვენ ერთმანეთის სუნთქვა და
ნელი ჩურჩულიც გვესმის,
მიტომ დავჯექით, დავწერეთ
ჩვენ ეს პატარა ლექსი.

ვიცით, რომ ვერას დაგვაკლებს
ჩვენთან მებრძოლი წლები,
ერთად ვიყავით ყოველთვის
და ახლაც ერთად ვრჩებით.

## ანწუხელიძეს

მინდა მუხლებზე დავეცე,
და შენთვის თავი დავხარო,
ბევრი სანთელი აგინთო
და შენთვის ცრემლი დავღვარო.
ყველა ქართველის მაგივრად
შენს გვერდით ბრძოლა მომინდა,
მინდა ვიხილო ქართველი
გამარჯვებული ომიდან.
გმირების სადიდებელი
მინდა რომ შენთან დავლიო,
აქ შევეგებო გარიჟრაჟს,
აისს, დაისს თუ ალიონს.
იქნებ ყველასთან იფეთქოს
ბრძოლის ჟინმა და უნარმა,
ვერ შეაშინოს ვერავინ
სიკვდილმა სწრაფმა, უმალმა.
შენ ხომ სიკვდილი სიცოცხლედ
გმირობით გადააქციე,
მინდა მიბაძოს ქართველმა
მაგ შენ გმირობის საქციელს.
ყველა ვაჟკაცმა, ვინც იცის –
ია და აი იაო,
ბრძოლის წინ ერთხელ მაინც სთქვას –
ანწუხელიძე მქვიაო.

## ნასოფლარი ჯაყისმანი

– ხარ-კამეჩით მიწას ვხნავდი,
ხნულში ვნახე ხარის ნალი,
დაჟანგული, გაცვეთილი,
ხარის ნალი ერთი ცალი.

იქვე ხნულში შეუმჩნევლად
თიხის ქოთნის ყელი ეგდო,
ქოთნის ძირი გამტყდარიყო,
აღარ ჩანდა შიგნით ერბო.

გაზაფხულის სუსხი იყო,
ქარი ქროდა, ცივი ქარი,
ფერდობებზე კიდევ ჩანდა
გუშინდელი ნაფიფქარი.

მწარე ფიქრებს მისცემოდა
ნასოფლარი ჯაყისმანი,
მის ნუგეშად ჩვენ შემოვრჩით –
მე, ნალი და წყვილი ხარი.

დამტვრეული ქოთნის ყელი,
ცარიელი, მიწიანი,
აქ ჩვენს მეტი არვინ არის,
არც უცხო, არც მისიანი.

ნასოფლარი ჯაყისმანი, –
წიქარა და მურა ხარი,
გატეხილი ქოთნის ყელი,
ხარ-კამეჩი, მე და ნალი.

აქ ტაძარი გვაძლევს ძალას,
მისი ლოცვა გვიკლავს წყურვილს,
ოდეს სოფელიც აშენდეს,
ღმერთო, მისრულებდე სურვილს.

## პაპას

– პაპავ, ნუ თოხნი მიწასა,
დაგღლის მიწაზე შრომაო,
მიწა ძალიან დიდია,
არ არის შენი ზომაო.

– რა ვქნა, არ მიყვარს სიბნელე,
ამქვეყნად უქმად ჯდომაო,
სიბნელე იქაც მეყოფა,
საფლავში მარტო წოლაო.

მესხური მიწის ნაყოფი
გემრიელი და ტკბილია,
ისე დავხარი ამ მიწას,
თითქოს და ჩემი შვილია.

მიწაც მზად არის, მიმიღებს,
უკვე ღია აქვს კარები,
მითხარით, თქვენებს რა ვუთხრა,
შვილების დანაბარები.

მომიგონებენ, იტყვიან –
შრომაში გაიწაფაო,
იყო და არა იყო რა,
იყო მშრომელი პაპაო.

მიწაა ჩემი საწოლი,
ბალახი – მატყლის საბანი,
სიცოცხლე წუთიერია,
აუხდენელი ზღაპარი.

# სახარება იოანესი

*„დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა“.* იოანე, ღმერთის მიერ მოვლენილი კაცი, მოვიდა ამქვეყნად, რათა გაენათლებინა ხალხი, ერწმუნათ მისგან; ის მოვლენილი იყო ნათლის სამოწმებლად, ხოლო ნათელი – ყველა კაცის გასანათლებლად.

ნათელმა შექმნა ქვეყანა *„და ქვეყანამ იგი ვერ იცნო. თავისიანებთან მოვიდა, და თავისიანებმა იგი არ შეიწყნარეს“,* ხოლო რომელმაც იწამა ის, მის მიერვე მიეცა *„ხელმწიფება ღმრთის შვილებად წოდებულიყვნენ“.*

იოანე მაცხოვარზე ამბობდა: *„ჩემს შემდეგ მომავალი ჩემი წინამორბედია, ვინაიდან ჩემზე უწინარეს იყო“.* რჯული მოსეს მიერ მოგვეცა, მადლი და ჭეშმარიტება კი, – იესო ქრისტეს მიერ. მანვე ბრძანა, რომ ღმერთი უხილავია, და *„მხოლოდშობილმა ძემ, რომელიც იყო მამის წიაღში, მან გაგვიცხადა“.*

სწორედ ამიტომ, იუდეველებმა წარგზავნეს იერუსალემიდან მღვდლები, რომლებიც ეკითხებოდნენ იოანეს: *„ვინა ხარ შენ?“* და მან აღიარა, რომ არ არის ქრისტე, არც ელია ან სხვა რომელიმე წინასწარმეტყველი. წარგზავნილებში ერივნენ ფარისეველნიც, რომლებმაც ჰკითხეს, მაშ ვინ მისცა ნათლისცემის უფლება, თუ არც ქრისტეა და არც წინასწარმეტყველი? იოანემ მიუგო მათ: *„მე ნათელს ვცემ წყლით, მაგრამ თქვენს შორის დგას ის, ვისაც არ იცნობთ“,* სწორედ ის არის მთავარი, მართალია, ჩემს შემდეგ მომავალი, მაგრამ ჩემზე უწინარესი... ეს მოხდა ბეთაბარაში, იორდანეს გადაღმა; იქ, სადაც ნათელს სცემდა იოანე.

მეორე დღეს, გამოეცხადა იოანეს ნათლისსაცემად ქრისტე. ნათლისმცემელმა, რა თქმა უნდა, მაშინვე შეიცნო უფალი. იმ დროს იოანესთან მისი ორი მოწაფე იყო. ისინი უკან დაბრუნებისას, იესოს კვალს მიჰყვნენ. შეამჩნია ეს ქრისტემ და ჰკითხა, რას ეძებდნენ.

მათ მიუგეს: *„რაბი (მოძღვარო), სადა გაქვს ბინა?“* მაცხოვარმა წაიყვანა ისინი თავისთან, *„ხოლო ამ ორთაგან ერთი, რომელმაც იოანესაგან გაიგონა იესოს სახელი და გაჰყვა მას, იყო ანდრია, სიმონ–პეტრეს ძმა“.* მან მონახა თავისი ძმა – სიმონი და უთხრა, რომ ნახა მესია (ქრისტე), და იესოსთან მიიყვანა *„ხოლო იესომ შეხედა მას და უთხრა: შენა ხარ სიმონი, იონას ძე; და იწოდები კეფად (რაც თარგმანით ნიშნავს: „კლდეს)“.*

მალე, იესომ გალილეაში წასვლა მოინდომა ფილიპესთან ერთად. *„ფილიპე ბეთსაიდელი იყო, ანდრიასა და პეტრეს თანამოქალაქე“.*

გალილეას კანაში იესო დედამისთან და თავის მოწაფეებთან ერთად ქორწილში მოხვდა. ღვინო შემოაკლდათ და მარიამმა შვილს შეატყობინა ეს. მაცხოვარმა კასრები წყლით გაავსებინა მასპინძელს და ღვინოდ აქცია. როცა თამადამ გემო გაუსინჯა ღვინოდქცეულ წყალს, გაოცდა და სიძეს უთხრა: როგორც წესი, პირველად, სუფრაზე საუკეთესო ღვინო შემოაქვთ, როდესაც შემოაკლდებათ – ნაკლები ხარისხის, ახლა კი ყველაფერი შეტრიალებით რატომ გაკეთდა?

ასე დაუდო იესომ სასწაულებს დასაბამი. კანადან კაპერნაუმში ჩავიდა *„და იწამეს იგი მისმა მოწაფეებმა“.*

ქრისტე იერუსალემში ჩავიდა პასექის დღესასწაულზე და საკუთარი თვალით ნახა ვაჭრებით სავსე ტაძარი. ვერ აიტანა ეს იესომ და მიმართა მათ: *„ნუ აქცევთ მამის ჩემის სახლს სავაჭრო სახლად“.* მრავალი სასწაული მოახდინა იესომ პასექის დღესასწაულზე, ირწმუნეს მისი, *„მაგრამ თავად იესოს არ სწამდა მათი, ვინაიდან იცნობდა ყველას და არ სჭირდებოდა ვინმეს ემოწმებინა კაცისათვის, ვინაიდან თავად იცოდა, რაც იყო კაცში“.*

იყო კაცი, სახელად ნიკოდემე, იუდეველთა მთავარი და ფარისეველთა თანაზიარი. მივიდა ღამით ნიკოდემე ქრისტესთან და უთხრა, რომ აღიარებდა მას, როგორც ღმრთისაგან მოვლენილს, რადგან ქვეყნად არავის შეეძლო მსგავს სასწაულთა ჩადენა, რომელსაც ის ახდენდა; მაშინ, მაცხოვარმა უპასუხა: *„ვინც არ დაიბადება ხელახლა, ვერ იხილავს ღმრთის სასუფეველს“.*

ვერ გაიგო ის პასუხი ნიკოდემემ და გაოცებულმა იკითხა, როგორ შეიძლებოდა ადამიანი ხელმეორედ დაბადებულიყო. ქრისტე კი, ცხადია, ადამიანის ხელმეორედ დაბადებაში გულისხმობდა ცოდვათა მონანიებას, სულიერ განწმენდას და წარმოსთქვა: *„ხორცის მიერ შობილი ხორცია; და სულის მიერ შობილი სულია. ნუ გიკვირს, რომ გითხარი შენ, ხელახლა უნდა დაიბადოს–მეთქი“.* ნიკოდემეს სულიერად ხელახლად დაბადების აუცილებლობას გულისხმობდა მაცხოვარი, ვინაიდან იუდეველთა მთავარი ავკაცობით იყო განთქმული.

ზეციერმა მამამ ქრისტე სწორედ იმისათვის მოავლინა, რომ ეხსნა ქვეყანა და არა, განესაჯა იგი.

იესო თავის მოწაფეებთან ერთად იუდეის მხარეში ჩავიდა და ნათელს სცემდა ხალხს. იოანე კი იმ დროს ნათელს სცემდა ენონში, სადაც მის მოწაფეებს დავა მოუვიდათ იუდეველებთან განწმენდისათვის და უთხრეს, რომ ვინც თვითონ განინათლა, ახლა თავად სხვას სცემს ნათელს *„და ყველანი მიდიან მასთან“.*

იოანემ ასეთი პასუხი გასცა მათ: *„ვერაფერს მიიღებს კაცი, თუკი ზეცით არ მისცემია. თქვენ თვითონვე დამემოწმებით, რომ ვთქვი: არა ვარ მე ქრისტე, არამედ მის წინაშე ვარ მოვლინებული“* და კარგად დაიხსომეთ: *„ის უნდა იზარდოს, მე კი დავკნინდე“,* არც ის დავივიწყოთ: *„მაღლით მომავალი ყველაფერზე უმაღლესია; მიწისმიერი მიწიერია და მიწისას იტყვის, ხოლო ზეცით მომავალი ყველაზე უზენაესია“.* სწორედ ამიტომ, ვისაც სწამს ღმერთის ძე–იესო ქრისტე, უკვდავია და, ვინც არ იწამებს *„ვერ იხილავს სიცოცხლეს და რისხვა ღმრთისა არ დაუტევებს მას“.*

როცა იესომ შეიტყო, რომ ფარისეველებმა გაიგეს, ის უფრო მეტ მოწაფეს იძენდა და ნათელსაც გაცილებით მეტ ხალხს სცემდა, მიატოვა იუდა და სამარეაზე გავლით გალილეაში წავიდა.

გზად იაკობის წყაროსთან შეისვენა.

მივიდა მასთან ხუთქმარგამოცვლილი ქალი, რომელსაც იესომ წყალი სთხოვა; გაიკვირვა ქალმა და უთხრა, როგორ სთხოვდა იუდეველი სამარეველ ქალს წყალს, მათ ხომ არაფერი ჰქონდათ საერთო. იესომ უპასუხა ქალს: რომ სცოდნოდა ვინ სთხოვდა წყალს, თავად მოსთხოვდა მას და მიიღებდა კიდეც მისგან ცოცხალ წყალს. გაიკვირვა ქალმა, ნუთუ იაკობზე ძლიერი ხარ, ჩვენს მამაზე, რომელმაც მოგვცა ეს ჭა? იესომ მიუგო: *„ყველას, ვინც ამ წყალს დალევს, კვლავ მოსწყურდება, მაგრამ ვინც დალევს წყალს, რომელსაც მე მივცემ, აღარასოდეს მოსწყურდება უკუნისამდე“.*

და მაშინ, უთხრა ქალმა: *„ბატონო, მომეცი ეგ წყალი, რათა აღარ მომწყურდეს და აღარასოდეს მოვიდე აქ ამოსაღებად“.* ქრისტემ ყველაფერი დაწვრილებით უამბო ქალს, ისიც, რომ ხუთი ქმარი ჰყავდა და ახლა ვინც ჰყავს, მისი ქმარი რომ არ არის და მრავალი სხვა. გაოგნებულმა ქალმა წარმოსთქვა: *„ვიცი, რომ მოვა მესია, რომელსაც ჰქვია ქრისტე, და როცა მოვა გვაუწყებს ჩვენ ყოველს“.*

მიუგო მას იესომ: *„მე ვარ, შენთან მოლაპარაკე“.*

ქალი სასწრაფოდ გაეცალა მას და მთელ ქვეყანას მოსდო ქრისტეს ხილვის ამბავი.

იუდეველთა დღესასწაულზე იერუსალემში ავიდა ქრისტე; იქ ერთი აუზი იყო, რომელსაც ბეთეზდა ერქვა. მის გარშემო უამრავი ავადმყოფი იყრიდა თავს, რადგან დროდადრო ანგელოზი ჩადიოდა წყალში *„და ვინც წყლის ძვრისას პირველი ჩავიდოდა შიგ“,* რითაც იყო სნეული, ინკურნებოდა უმალ.

იქ იესომ ნახა კაცი, რომელიც ოცდათვრამეტი წელი იტანჯებოდა, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა წყალში პირველად ჩახტომას. *„უფალო, კაცი არა მყავს, რომ წყლის ძვრისას ჩამაგდოს აუზში; ვიდრე მე მივალ, სხვა მასწრებს ჩასვლას“.*

მაცხოვარმა მაშინვე განკურნა ის კაცი. ეს მოხდა შაბათს, ამიტომ იუდეველებმა დევნა დაუწყეს ამის გამო და მისი მოკვლაც კი განიზრახეს.

იესო გალილეაში დაბრუნდა და მრავალი სასწაული მოახდინა, უამრავი სნეული ადამიანი განკურნა.

ხუთი ათასამდე კაცი, ქერის ხუთი პურითა და ორი თევზით დააპურა ისე, რომ საჭმელი მორჩათ კიდეც და ქრისტემ *„თავის მოწაფეებს უთხრა: აკრიფეთ ნარჩენები, რომ არაფერი დაიკარგოს. მათაც აკრიფეს და გაავსეს თორმეტი კალათი ქერის პურის ნატეხებით, რაც ჭამის შემდეგ დარჩა“.*

იმ ამბის მნახველმა ხალხმა მიიჩნია, რომ მათ წინაშე ჭეშმარიტად წინასწარმეტყველი იყო, *„რომელიც უნდა მოსულიყო ქვეყნად. ხოლო იესომ გაიგო, რომ აპირებენ მოსვლას და მის მოტაცებას, რათა გაამეფონ იგი, და ხელახლა განმარტოვდა მთაზე“.*

ერთხელ, საღამო ხანს, იესოს მოწაფეები ნავით ზღვაში შევიდნენ და მოულოდნელად დაინახეს საოცრება, – წყალზე ფეხით მიმავალი მაცხოვარი.

გაოცდნენ.

მეორე დღეს, მთელ ხალხს მოედო ის სასწაული.

ყველანი მიადგნენ იმ ადგილს, სადაც წინა დღეს იესომ გააძღო ისინი, მაგრამ იქ აღარ დახვდათ ქრისტე და კაპერნაუმისაკენ გასწიეს მის მოსაძებნად. მიაგნეს კიდეც და გაოცებულებმა ჰკითხეს, როდის მივიდა იქ? იესომ უპასუხა: მას სასწაულის სანახავად კი არ ეძებდნენ, არამედ იმიტომ, რომ კარგად გააძღო ისინი და მიმართა: *„ხრწნადი საზრდოსათვის ნუკი ზრუნავთ, არამედ იზრუნეთ საზრდოსათვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლედ, და რომელსაც მოგცემთ ძე კაცისა; ვინაიდან მამა ღმერთმა აღბეჭდა იგი“.*

ხალხმა ჰკითხა, რა მოემოქმედნათ ღმერთის საქმეთა აღსასრულებლად, რაზედაც იესომ მიუგო: რომ ამისათვის საჭიროა ღმერთის მიერ მოვლინებულის რწმენა. მაშინ მას, როგორც ღმერთის მიერ მოვლინებულს, ყოველივეს დასამტკიცებლად სასწაულის მოხდენა სთხოვეს და მიუგეს: *„ჩვენი მამები მანანასა ჭამდნენ უდაბნოში, როგორც დაწერილია: ზეცით მისცა მათ საჭმელად პური“,* ხოლო იესომ მათ უპასუხა: *„მე ვარ პური სიცოცხლისა. თქვენმა მამებმა მანანა ჭამეს უდაბნოში და მოკვდნენ“* და *„მე ვარ პური ცოცხალი, რომელიც ჩამოველ ზეცით, ვინც შეჭამს ამ პურს, იცოცხლებს უკუნისამდე“,* გარდა ამისა, გახსოვდეთ: *„ვინც ჭამს ჩემს ხორცს და სვამს ჩემს სისხლს, ის ჩემშია, და მე მასში. და როგორც მომავლინა მე ცოცხალმა მამამ, და ვცოცხლობ მამით, ასევე ჩემი მჭამელიც იცოცხლებს ჩემით“.*

ხალხში ურწმუნოებიც მრავლად იყვნენ და არ ესმოდათ იმ სიტყვების არსი და ამბობდნენ: „როგორ შეუძლია მას საჭმელად მოგვცეს თავისი ხორცი?„

გადიოდა დრო.

ბევრი მოწაფე ჩამოშორდა იესოს, ხოლო ყველაზე ახლობელ თორმეტს კი უთხრა: „თქვენც ხომ არ გინდათ წასვლა?“ და მაშინ, ერთ–ერთმა მოწაფეთაგანმა უპასუხა: *„ჩვენ ვიწამეთ და შევიცნეთ, რომ შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღვთისა“;* მაცხოვარმა მიუგო: *„განა მე თორმეტნი არ გამოგარჩიეთ? მაგრამ ერთი თქვენგანი ეშმაკია. ხოლო იგი იუდაზე, სიმონ ისკარიოტელის ძეზე ამბობდა ამას. ვინაიდან მას, ერთ თორმეტთაგანს, უნდა გაეცა იგი“.*

ერთხელ, მაცხოვარმა თავისი მოწაფეები გაგზავნა იუდეაში დღესასწაულზე, თვითონ კი გალილეაში დარჩა, რადგან იუდეველები მოსაკლავად დასდევდნენ. შემდეგ უხილავად, თვითონაც ჩავიდა იუდეაში, სადაც დიდი მითქმა–მოთქმა იყო მასზე; ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ის ბოროტეულია, მეორენი მის სიკეთეზე ღაღადებდნენ, *„თუმცა აშკარად ვერავინ ლაპარაკობდა მასზე, იუდეველების შიშით“.*

იესო შუა დღესასწაულზე მალულად შევიდა ტაძარში და იქადაგა. უკვირდათ, ვინ არის ეს კაცი, საიდან იცისო ამდენი? ქრისტემ მათ უთხრა, რომ ეს მისი მოძღვრება კი არ იყო, არამედ მისი მომავლინებლისა. შემდეგ კი ჰკითხა ხალხს, რატომ დაეძებდნენ მოსაკლავად; განა იმისათვის, რომ შაბათს განკურნა მომაკვდავი?



და შეახსენა მათ: *„თუ კაცი წინადაცვეთას იღებს შაბათს, რათა არ დაირღვეს მოსეს რჯული, რაღა ჩემზე მრისხანებთ იმის გამო“,* რომ კეთილი საქმე ჩავიდინე შაბათს?

დიდი არეულობა გამოიწვია იესოს ნათქვამმა ხალხში, ვერ გაეგოთ ვინ იდგა მათ წინაშე. *„გაიგონეს ფარისევლებმა ეს მითქმა–მოთქმა ხალხში; და გაგზავნეს ფარისევლებმა და მღვდელმთავრებმა მსახურნი მის შესაპყრობად“.*

მაცხოვარმა კი სთქვა, რომ კიდევ ცოტა ხანს დაჰყოფდა მათთან და გაოცებული იუდეველები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, სად შეიძლებოდა წასულიყო ისეთ ადგილას, სადაც ვერ იპოვნიდნენ; ერთნი ამბობდნენ რომ მათ წინაშე ქრისტეა და ხალხს მოუწოდებდნენ შეეპყროთ იგი.

ბოლოს *„ყველანი თავიანთ სახლებში წავიდნენ“,* იესო კი ზეთისხილის მთაზე ავიდა.

გათენდა.

მაცხოვარი კვლავ შევიდა ტაძარში.

უამრავი ხალხი ეხვეოდა გარშემო.

მწიგნობრებსა და ფარისევლებს მისი შეპყრობა ჰქონდათ გადაწყვეტილი და ამისათვის საბაბს ეძებდნენ. სწორედ იმ მიზნით, მრუშობის ფაქტზე წასწრებული ქალი მიუყვანეს იესოს და შეახსენეს, რომ მოსეს რჯულის თანახმად, უნდა ჩაექოლათ ისეთნი. მაცხოვარმა მიმართა მათ: *„ვინც უცოდველია თქვენს შორის, პირველად იმან ესროლოს ქვა“.* ამის გაგონებისთანავე ყველა იქ მყოფი იქაურობას გაეცალა და დარჩა მხოლოდ იესო და ის ქალი. მიმართა იესომ: *„სად არიან შენი ბრალმდებლები? არავინ განგსაჯა შენ?“* არც მე განგსჯი: ახლა წადი და ამიერიდან ნუღარ შესცოდავ.

იესო კვლავინდებურად მოუწოდებდა ხალხს უცოდველი ცხოვრებისაკენ, რითაც სამუდამო თავისუფლებას ჰპირდებოდა მათ. ყველას უკვირდა: კი მაგრამ, ჩვენ ხომ აბრაამის თესლისანი ვართ, არასოდეს დავმონებივართ ვინმეს, შენ კი რა განთავისუფლებას გვპირდებიო. იესომ მიუგო მათ, რომ აბრაამი არასოდეს ყოფილა კაცთმოძულე, მაშ, თქვენ რაღა გემართებათ, მოსაკლავად რომ მიმეტებთ და დღედაღამე ჩემი შეპყრობის მეტი აღარაფერი გახსოვთ.

და აი, მაშინ, დიდძალმა იუდეველმა იწამა ის. მაცხოვარმა ისიც უთხრა ხალხს, რომ არასოდეს თავისით არ განსჯიდა მათ, მხოლოდ მისი მამის სურვილით მოქმედებდა და სწორედ ამიტომაც მარტო არ დასტოვა მამამ. აკეთებდა მუდამ იმას, რაც მას ეამებოდა. თქვენ კი, მამათქვენის – ეშმაკის სურვილს ასრულებთ, რომელიც კაცის მკვლელი იყო თავიდანვე *„და ჭეშმარიტებაში ვერ დაემკვიდრა, ვინაიდან ჭეშმარიტება არ არის მისი და როცა სიცრუეს ამბობს, თავისას ამბობს, ვინაიდან ცრუ არის და სიცრუის მამა“* და თქვენ, *„აბრაამის შვილები რომ იყოთ, საქმითაც აბრაამისას გააკეთებდით“.*

ამით მაცხოვარმა ხალხს მიანიშნა, რომ სამართალს არ იცავდნენ და ცხოვრობდნენ ისე, როგორც ეს მოსეს რჯულში სწერია. მაშინ იუდეველთა ერთმა ნაწილმა მიუგო: *„განა კარგად არ ვამბობთ, რომ სამარიელი ხარ და ეშმაკეული?“* იესომ მათ შეახსენა, რომ მათი მამა–აბრაამი გახარებულია მისი ხილვით.

მთლად განრისხდნენ იუდეველები: *„ორმოცდაათი წლისაც არა ხარ, და აბრაამი ვინახავს?“* იესომ მშვიდად უპასუხა: *„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: აბრაამზე უწინარეს მე ვარ“.*

განრისხებულმა იუდეველებმა ქვებს დასტაცეს ხელი იესოს ჩასაქოლად, მაგრამ მან მათთვის უხილავად მათ შორის გაიარა და ტაძრიდან გაუჩინარდა.

გზად მიმავალს, დაბადებიდან ბრმა კაცი შემოხვდა. მაცხოვარმა ტალახი მოზილა, თვალებზე გადაუსვა და უთხრა, სილოამის აუზში მოებანა.

ბრმამ დაუჯერა და თვალებიც აეხილა.

უამრავ ხალხს ამცნო თვალახელილმა ის ამბავი.

ფარისევლებმა არ იწამეს ის სასწაული და განკურნებულსა და მის მშობლებსაც ჰკითხეს: ვინ იყო ის კაცი, რომელმაც ეს შესძლო. პასუხად მიიღეს, რომ ვინ არის სასწაულმოქმედი არ იციან, ფაქტი კი ნამდვილია. გაოცდნენ ფარისევლები, ვინ არის ის, ვინც ბედავს და მოსეს რჯულს არღვევს და შაბათ დღეს რაიმე საქმეს აკეთებს.

კვლავ იხმეს თვალახელილი და უთხრეს: *„მიაგე დიდება ღმერთს; ჩვენ ვიცით, რომ ეს კაცი ცოდვილია. ხოლო მან მიუგო და თქვა: ცოდვილია თუ არა, არ ვიცი; ერთი ეს ვიცი, რომ ბრმა ვიყავი და აწ ვხედავ“.*

გაბოროტებულებმა იქიდან გააგდეს ის კაცი.

იესომ გაიგო ის ამბავი და თვითონ მოინახულა ყოფილი ბრმა; შემდეგ კი ჰკითხა, სწამდა თუ არა ძე ღმერთისა.

კაცმა უპასუხა: კი მაგრამ, ვინ არის, რომ ვიწამო? იესომ მიუგო: *„შენ გიხილავს იგი, და ვინც გელაპარაკება, ის არის“.* მადლიერმა კაცმა თაყვანი სცა მაცხოვარს და აღიარა: *„მწამს, უფალო“,* ხოლო იესომ სთქვა: *„განსასჯელად მოველ ამ ქვეყნად, რათა ბრმებმა იხილონ, მხედველნი კი ბრმად იქცნენ“.*

ამის გამგონე ფარისევლებმა ჰკითხეს მას: *„ნუთუ ჩვენც ბრმები ვართ? უთხრა მათ იესომ: ბრმები რომ იყოთ, ცოდვაც არ გექნებოდათ; ახლა კი ამბობთ, ვხედავთ, და ცოდვაც თანა გაქვთ“.*

იესო, როგორც წესი, ძირითადად იგავებით ამბობდა სათქმელს; მას ფარეხში მხოლოდ კარებით შემავალი მიაჩნდა მწყემსად, დანარჩენი კი – ყაჩაღად და ქურდად. ცხვრებიც ყოველთვის ცნობენ პატრონს და ხალისით მიჰყვებიან მას, უცხოს დანახვისას კი – გარბიან; ამიტომ გახსოვდეთ *„მე ვარ კარი ცხვართა“;* ჩემზე ადრე მოსულნი კი ქურდები იყვნენ, ცხვრებმა არ უსმინეს მას. ქურდი კი მხოლოდ ავი საქმისათვის მოდის. მე მოვედი, რათა საუკუნოდ სიცოცხლე და სიყვარული მეფობდეს, *„მე ვარ მწყემსი კეთილი: კეთილი მწყემსი თავის სულს დადებს ცხვრებისთვის“.*

განაგრძობდა ქრისტე ქადაგებას და ხალხს ეუბნებოდა, რომ მას – კეთილ მწყემსს სხვა ცხვრებიც ჰყავდა, რომლებიც სხვა ფარეხისანი იყვნენ, ერთ დროს გაერთიანდებოდა მთელი სამწყსო და ერთი მწყემსი ეყოლებოდა მას. *„იმისთვის ვუყვარვარ მამას, რომ დავდებ ჩემს სულს, რათა კვლავ დავიბრუნო იგი“.*

იმ სიტყვების შემდეგ, იუდეველთა შორის კვლავ ჩამოვარდა განხეთქილება: ბევრი თვლიდა, რომ ის ეშმაკეულის სიტყვები იყო, მეორენი კი ამბობდნენ: *„ეს ეშმაკეულის სიტყვები არ არის; არ შეუძლია ეშმაკს თვალი აუხილოს ბრმებს“.*

➔

იუდეველებმა კვლავ ჰკითხეს იესოს: ვინ იყო ბოლოს და ბოლოს? თქვენ ჩემი ცხვრები არა ხართ, რადგან არ გესმით ჩემი ხმა, აკი გეუბნებით, ქრისტე ვარ, *„მე და მამა ერთი ვართ“*. ამის გამგონე იუდეველებმა ქვებს დასტაცეს ხელი და ჩაქოლვა დაუპირეს იესოს.

მაცხოვარმა მიუგო მათ: *„მრავალი კეთილი საქმე გიჩვენეთ თქვენ მამის ჩემის მიერ; რომელი მათგანისათვის მიპირებთ ჩაქოლვას?“* ჩაქოლვას იმიტომ გიპირებთ, რომ ღმერთად მოგაქვს თავი, უპასუხეს იუდეველებმა და მისი შეპყრობა დააპირეს, მაგრამ იესო მათ დაუსხლტა ხელიდან.

მალე, მაცხოვარი იორდანეს გაღმა გავიდა და იმ ადგილას მივიდა, სადაც იოანე ნათელს სცემდა.

იერუსალიმთან ახლოს მდებარე ბეთანიაში ლაზარე ცხოვრობდა, რომელიც მძიმე სენით იყო დაავადებული. ქრისტეს ძალიან უყვარდა ლაზარე და მისი დები: მარიამი და მართა. სწორედ *„მარიამი იყო ის, ვინც ნელსაცხებელი სცხო უფალს და თავისი თმებით შეუმშრალა ფეხები“*.

დებმა თხოვნა შეუთვალეს იესოს ბეთანიაში ჩასულიყო და ლაზარე გადაერჩინა.

შეიტყო ეს მაცხოვარმა და ბრძანა: *„ეს სნეულება სასიკვდილო კი არ არის, არამედ რათა იდიდოს ღმერთის ძე მისგან“* და გადაწყვიტა ჩასულიყო ადგილზე.

ამის გამგონე მისი მოწაფეები ძალიან გაოცდნენ და ჰკითხეს, როგორ აპირებდა ჩასვლას იქ, სადაც სიკვდილით ემუქრებოდნენ მას. ქრისტემ ასე უპასუხა: ვიაროთ ნათელში, რადგან ღამით სიბნელეა და რაიმეზე ფეხის წამოკვრა მეტად საშიშია.

ჩავიდნენ ბეთანიაში იესო და მისი მოწაფეები.

ატირებული მართა გზაში შეეგება იესოს.

ლაზარე ოთხი დღის დასაფლავებული იყო.

გავიდნენ საფლავზე, სადაც ლაზარეს მოტირალი დების მნახველი ყველა იუდეველი ქვითინებდა; ცრემლი მოერია თვით ქრისტესაც.

იესომ საფლავზე დადებული ლოდი მოაშორებინა ხალხს. მაშინ მართამ – მიცვალებულის დამ მიმართა: *„უფალო, უკვე ყარს, ვინაიდან ოთხი დღის წინ დავასაფლავეთ. უთხრა მას იესომ: ხომ გითხარი, თუ იწამებ ღმერთის დიდებას იხილავ–მეთქი?“* მადლობა შესწირა მამა ღმერთს და შესძახა: *„ლაზარე, გამოდი გარეთ!“*

მოხდა სასწაული და ხალხმა დაინახა წამომდგარი ლაზარე – გაცოცხლებული მკვდარი.

მრავალმა იუდეველმა მაშინვე იწამა იესო.

მთელ ქვეყანას მოედო ის ამბავი.

ახლა უკვე საბოლოოდ შეკრეს პირი მღვდელმთავრებმა და მტკიცედ გადაწყვიტეს მოეკლათ იესო, რადგან მიაჩნდათ: ერთი კაცის სიკვდილი სჯობდა ხალხისათვის, ვიდრე ხალხისა ერთის გამო; ასევე სწამდა კაიაფა მღვდელმთავარსაც, თუმცა ეს *„თავისით კი არა თქვა, არამედ, იმ წელიწადს მღვდელმთავრად მყოფმა, იწინასწარმეტყველა, რომ იესო უნდა მომკვდარიყო ხალხისათვის. და არა მარტო ხალხისათვის, არამედ რათა ღმერთის გაბნეულნი შვილნიც შეეკრიბა ერთად“*.

ამის შემდეგ, იესო უკვე აშკარად ვეღარ ჩნდებოდა იუდეველთა შორის და იძულებული გახდა თავის მოწაფეებთან ერთად წასულიყო უდაბნოს მახლობელ ქალაქ ეფრაიმში.

მოახლოვდა იუდეველთა დღესასწაული პასექი.

ხალხი ერთმანეთს ეკითხებოდა, გამოჩნდებოდა თუ არა ტაძარში იესო? რადგან უკვე გაცემული იყო მისი შეპყრობის ბრძანება.

პასექამდე ექვსი დღით ადრე, მაცხოვარი ლაზარეს ესტუმრა ბეთანიაში.

დიდი პატივისცემით მიიღეს იქაურებმა და უამრავი ხალხიც მიჰყვა ტაძრისაკენ მიმავალს.

მკვდრეთით აღმდგარი ლაზარეს სიკვდილით დასჯის ბრძანებაც იყო გაცემული, რადგან სწორედ მას ედებოდა ბრალად ის, რომ უამრავმა ადამიანმა იწამა ქრისტე.

დიდძალი ხალხის დამნახველი იუდეველები საგონებელში ჩავარდნენ: აჰა, ქვეყნის ხალხი გაჰყვა, ვეღარაფერს გავხდებით მასთან, – ფიქრობდნენ ისინი. დღესასწაულზე ბერძნებიც იყვნენ, რომლებიც ბეთსაიდელ ფილიპეს, იესოს ნახვის სურვილით მიადგნენ.

ფილიპე და ანდრია ეახლნენ იესოს და ამცნეს ბერძნების სურვილი; მაშინ იესომ ბრძანა: *„მოაწია კაცის ძის განდიდების ჟამმა“*; პურის მარცვალი აუცილებლად უნდა მოკვდეს, რათა ცალად არ დარჩეს, არამედ გამრავლდეს და მრავალი აღმოცენდეს მისგან და მამა ღმერთს მიმართა: *„მამაო, განადიდე შენი სახელი!“*

უეცრად, ზეციდან ძლიერი ხმა გაისმა: *„განვადიდე და კვლავ განვადიდებ“.იესომ* იქ მდგომთ მიუგო: *„ჩემთვის კი არ იყო ეს ხმა, არამედ თქვენთვის. აწ განისჯება ეს ქვეყანა, აწ განდევნიან ამ ქვეყნის მთავარს. და როდესაც ავმაღლდები ქვეყნით, ყველას ავიტაცებ ჩემთან“*. ეს იმიტომ სთქვა, რომ მიენიშნებინა მათთვის როგორი სიკვდილით უნდა მომკვდარიყო.

მაცხოვარმა პასექამდე უკვე იცოდა, რომ მოაწია მისმა საათმა და ისიც, *„რომ ღმერთისაგან გამოვიდა და ღმერთისკენ მიდის“* და იუდა ისკარიოტელიც ულალატებდა; აიღო საბანელი, გაავსო წყლით, მოწაფეებს ფეხები დაბანა და შეუმშრალა კიდეც.

გაოცდნენ მისი ნამოქმედარით.

პეტრე თავიდან უარზე იყო და უთხრა, რომ პირიქით, მათ ევალებოდათ მისი მსახურება. მაშინ იესომ მიუგო: თქვენ სულით სუფთა ხართ ჩემი შემწეობით, ახლა ფეხების განბანის გარდა აღარაფერი დაგრჩენიათ, თუმცა თქვენშიც ურევია ვინც სუფთა არ არის (იუდა ისკარიოტელი ჰყავდა მხედველობაში). *„მე, მოძღვარმა და უფალმა, დაგბანეთ ფეხები, თქვენც ასევე უნდა ჰბანდეთ ერთმანეთს ფეხებს“*, ისე კი გახსოვდეთ, რომ ერთი თქვენთაგანი გამცემს მე.

გაკვირვებულმა მოწაფეებმა სთხოვეს ეთქვა, ვინ იყო ის გამცემი. *„ის არის, ვისაც ჩაწებულ ლუკმას მივცემ და ჩააწო ლუკმა და მისცა იუდას, სიმონის ძეს, ისკარიოტელს“*.

ლუკმის მიღებისთანავე, იუდას სხეულში სატანა შევიდა, თვითონ კი ადგა და წავიდა ცალკე. ეს ამბავი ღამით მოხდა.

იესომ დანარჩენ მოწაფეებს ურჩია ჰყვარებოდათ ერთმანეთი – ამით, *„გიცნობთ ყველა, რომ ჩემი მოწაფეები ხართ. თუ გექნებათ ერთმანეთის სიყვარული“*.

მაცხოვარს სიმონ–პეტრე, მისი უსაყვარლესი მოწაფე მიუახლოვდა და ჰკითხა სად აპირებდა წასვლას? *„სადაც მე მივალ, შენ ვერ გამომყვები ამჟამად, არამედ შემდეგ გამომყვები“*, მიუგო იესომ. უფალო, სულს დავდებ შენთვის, უთხრა პეტრემ. *„სულს დადებ ჩემთვის? ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: მამლის ყივილამდე სამჯერ უარმყოფ მე“*, უპასუხა იესომ და განაგრძო: ნუ შეშინდებით, იწამეთ ღმერთი, მიწამეთ მე. მივდივარ, რათა ადგილი გაგიმზადოთ თქვენ და როცა წავალ, კვლავ დავბრუნდები, რათა წაგიყვანოთ.

გაოცებულნი ისმენდნენ იესოს სიტყვებს მოწაფეები და ვერაფერი გაეგოთ რა ხდებოდა.

თომამ ჰკითხა: კი მაგრამ, უფალო, ისიც არ ვიცით სად მიდიხარ და როგორღა წამოგვყვებით თან? მივდივარ მამასთან, სთქვა იესომ, რადგან ის ჩემზე უმეტესია, მე მასში ვარ განუყრელად და რასაც მე ვამბობ, მამის სიტყვებია. ვინც ჩემსას ისმენს, პატიოსნად და სიყვარულით იცხოვრებს, სამუდამო სავანეს ჰპოვებს, „ხოლო ნუგეშისმცემელი, სული წმინდა, რომელსაც მამა მოავლენს ჩემი სახელით გასწავლით და მოგაგონებთ ყველაფერს, რაც მე გითხარით“; ახლა წავიდეთ აქედან, *„რათა გაიგოს ქვეყანამ, რომ მიყვარს მამა, და როგორც მამამ მამცნო, ისე ვაკეთებ“*; მუდამ გახსოვდეთ: *„არ არის მონა, თავის ბატონზე უმეტესი. თუკი მე მდევნეს, თქვენც დაგიწყებენ დევნას“*.

იესომ შეახსენა მოწაფეებს, რომ ხალხს ისეთი საქმეები უჩვენა, როგორიც ადრე არავის, და მათ საკუთარი თვალით იხილეს ყოველივე, მაგრამ მაინც მოიძულეს იგი.

სწორედ ამიტომ ცოდვილები არიან.

იესო აფრთხილებდა მოწაფეებს: დადგება დრო და სინაგოგებიდან გამოყრიან მათ, რადგან *„ვერც მამა იცნეს და ვერც“* თვითონ ისიც. ამას იმიტომ ბრძანებდა, რომ მისი ადამიანური ცხოვრების დღეები იწურებოდა და მზად *ყოფილიყვნენ. „გიჯობთ, რომ წავიდე, რადგან თუ არ წავალ, არ მოვა თქვენთან ნუგეშისმცემელი; ხოლო თუ წავალ, მოგივლენთ მას. და როცა მოვა, ამხილებთ ქვეყანას ცოდვის, სიმართლისა და განკითხვისათვის. ცოდვისათვის, რადგანაც არ ვწამვარ მე. სიმართლისათვის, რადგანაც მამა ჩემთან მივდივარ და ვეღარ მიხილავთ მე. განკითხვისათვის, რადგანაც ამ ქვეყნის მთავარი უკვე განკითხულია“.*

იესოსთან მოახლოებული განშორებით დამწუხრდნენ მოწაფეები; შეამჩნია ეს მაცხოვარმა და შეახსენა მათ: მშობიარე ქალი მართალია წუხს, მაგრამ როცა შობს, სიხარულისგან ავიწყდება ტანჯვა, რადგან ამ ქვეყანას მოუვლინა ადამიანი და ასევე *„კვლავ გიხილავთ და გაიხარებს თქვენი გული და ვეღარავინ წაგართმევთ სიხარულს თქვენსას“*.

ქადაგებდა მაცხოვარი და ბრძანებდა, რომ მოახლოვდა ჟამი, როცა მისი მოწაფეები სათითაოდ გაიფანტებოდნენ და მარტო დატოვებდნენ მას, *„მაგრამ არა ვარ მარტო, ვინაიდან მამა ჩემთანაა. ეს გითხარით, რათა მშვიდობა გქონდეთ ჩემში. ჭირი გექნებათ ქვეყნად, მაგრამ გამხნევდით: მე ვძლიე ქვეყანა“*.

ამის შემდეგ, ზეცაში თვალებაპყრობილმა იესომ მიმართა მამას, რომ დედამიწაზე აღასრულა მისი საქმენი, განადიდა იგი და შესთხოვა: *„ახლა კი შენ განმადიდე, მამაო, იმავე დიდებით, რომელიც შენთან მქონდა ქვეყნის შექმნამდე“*; იესო ქრისტე მამა ზეციერს ევედრებოდა ყველასთვის, ვინც იწამა მისი სიტყვა და როგორც თვითონ იყო მამასთან, ასევე მასთან ერთად მყოფთათვის და ასე ევედრებოდა: *„შეიყვარე ისინი, როგორც შემიყვარე მე“*; ამასთან ერთად *„მე ვაუწყე მათ შენი სახელი, და კვლავაც ვაუწყებ, რათა სიყვარული, რომლითაც შემიყვარე, მათში იყოს, და ვიყო მე მათში“*.



იესომ ვედრება დაასრულა და კედრონის ხევს გაღმა ბაღში შევიდა მოწაფეებთან ერთად. კარგად იცოდა ის ადგილი იუდა ისკარიოტელმა, რადგან იესო მოწაფეებთან ერთად ხშირად იკრიბებოდნენ იქ.

წაუძღვა წინ გამცემი იუდა ფარისეველთა შეიარაღებულ რაზმს და შეიპრეს იესო.

სიმონ–პეტრემ მახვილი იშიშვლა და ყური ჩამოათალა მღვდელმთარის მონას. მაშინ „იესომ უთხრა პეტრეს: ჩააგე მახვილი ქარქაშში! ნუთუ არ უნდა შევსვა სასმისი, რომელიც მომცა მე მამამ?„

შეპყრობილი იესო წარუდგინეს კაიაფას სიმამრ ანნას, *„რომელიც მღვდელმთავარი იყო იმ წელიწადს“*; მეკარე ქალმა პეტრეს ჰკითხა, ის ხომ იესოს მოწაფე იყო, რაზედაც უარი მიიღო.

მღვდელმთავარი შეეკითხა იესოს მისი მოძღვრების შესახებ. მაცხოვარმა მიუგო, რომ ის დაუფარავად, აშკარად ლაპარაკობდა ქვეყანაზე, არაფერი არ დაუმალავს და ამიტომ, ეკითხათ მსმენელთათვის, რასაც ქადაგებდა.

ამის გამგონე, მღვდელმთავრის გათავხედებულმა ერთმა მსახურმა სილაც კი გააწნა იესოს.

ანნამ იესო გაუგზავნა კაიაფა მღვდელმთავარს.

ამასობაში სიმონ–პეტრემ მეორედაც უარყო იესოსთან სიახლოვე. ცოტა ხანში, მღვდელმთავრის სწორედ იმ მონამ, რომელსაც პეტრემ ყური ჩამოათალა, იცნო იგი და ჰკითხა, განა ბაღში იესოსთან ერთად შენც არ იყავიო?

*„და კვლავ უარყო პეტრემ, და იყივლა მამალმა“.*

კაიაფასგან წაყვანილი იესო პილატეს წარუდგინეს.

დარწმუნდა პილატე იესოს უდანაშაულობაში და ხალხს შეახსენა, რომ ჰქონდათ უფლება პასექის დღესასწაულზე, როგორც წესი, ერთი კაცის განთავისუფლება მოეთხოვათ და მიმართა მათ: *„თუ გინდათ გაგითავისუფლებთ იუდეველთა მეფეს. მაგრამ ყველანი აყვირდნენ და თქვეს: ეგ კი არა, არამედ ბარაბა, ხოლო ბარაბა ყაჩაღი იყო“.*

პილატე ბევრს ეცადა როგორმე დაეხსნა იესო, მაგრამ მაშინ ხალხმა თვითონ მას წაუყენა ბრალდება: *„თუ მას გაუშვებ, კეისრის მეგობარი არა ხარ. რადგან ვისაც მეფედ მოაქვს თავი, კეისარს ეურჩება“.*

პილატემ პრეტორიუმიდან გარეთ გამოიყვანა იესო, თვითონ კი დაჯდა სამსჯავრო სკამზე, რასაც ლითოსტროტოსი, ხოლო ებრაულად გაბათა ჰქვია.

ყოველივე ეს პარასკევს, პასექის დღესასწაულზე მოხდა.

პილატემ ჯვარზე საცმელად ხალხს გადასცა იესო.

აიტანა იესომ საკუთარი ჯვარი იმ ადგილამდე, რომელსაც თხემისა, ხოლო ებრაულად გოლგოთა ჰქვია.

ჯვარს აცვეს იესო და მასთან ერთად ორი სხვა კაციც.

პილატემ ებრაულ, ლათინურ და ბერძნულ ენაზე დაწერა წარწერა: *„იესო ნაზორეველი, იუდეველთა მეფე“*, ხოლო იუდეველთა მღვდელმთავრებმა სთხოვეს ნუ დაწერდა ასე, არამედ დაეწერა: *„მე ვარ იუდეველთა მეფე. მიუგო პილატემ: რაც დავწერე; დავწერე“*, მეომრებმა, რომლებმაც იესო ჯვარს აცვეს *„მისი სამოსი ოთხ ნაწილად გაიყვეს“*, ხოლო მაცხოვრის ნაქსოვი კვართი, წილისყრით მათგან ერთ–ერთს ერგო.

ჯვართან ახლოს იდგა იესოს დედა – ღვთისმშობელი მარიამი, მისი და, მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალელი. იესომ *„დაინახა დედა და იქვე მდგომი მოწაფე, რომელიც უყვარდა, უთხრა დედას: დედაო, აჰა, შენი ძე! მერე კი მოწაფეს უთხრა: აჰა, დედა შენი! და იმ საათიდან მოწაფემ თავისას წაიყვანა იგი“*.

იოსებ არიმათიელმა, იესოს ფარულმა მოწაფემ პილატეს ნებართვით, მაცხოვრის სხეული ჯვრიდან ჩამოხსნა, შემდეგ ნიკოდემესთან ერთად, ნელსაცხებელი სცხო და ტილოში გახვეული, სწორედ იქ, სადაც ჯვარს აცვეს და ბაღი იყო, *„ხოლო ბაღში – ახალი სამარხი, რომელშიც მანამდე არავინ დაესვენებინათ, იქ დაასვენეს იესო, იუდეველთა პარასკევის გამო, ვინაიდან ახლოს იყო სამარხი“*.

კვირას, სამარხთან დილაუთენია მისულმა მარიამ მაგდალელმა შეამჩნია, რომ სამარხის ლოდი აღარ იყო და ეს შეატყობინა სიმონ–პეტრესა და კიდევ ერთ მოწაფეს.

სამარხთან მისულებმა დაინახეს დაყრილი ტილოები, რომელშიც გახვეული აღარ იყო მაცხოვარი. მოწაფეები უკან გაბრუნდნენ, ხოლო სამარხთან დარჩენილმა მარიამმა, თეთრ სამოსში ორი ანგელოზი იხილა, *„ერთი თავთით, ხოლო მეორე ფეხთით იჯდა იმ ადგილას, სადაც ესვენა იესოს სხეული“*.

ტიროდა მარიამი, ვინაიდან ეგონა რომ მოიპარეს იესოს სხეული.

მოულოდნელად მარიამს მოესმა: *„ქალო, რად სტირი? ვის ეძებ?“* მოიხედა მარიამმა და იესო დაინახა, თუმცა ვერ იცნო და მებაღე ეგონა. მარიამმა სთხოვა: თუ მან აიღო მისი სხეული, ეთქვა სად დასდო.

მაშინ *„უთხრა მას იესომ: მარიამ! ის შებრუნდა და უთხრა მას: რაბუნი! რაც ნიშნავს მოძღვარს“*. იესომ მისი ხილვით გახარებულ მარიამს სთხოვა არ შეხებოდა ხელით, რადგან *„ჯერ კიდევ არ ავსულვარ მამასთანო“* და უთხრა: *„ავდივარ მამა ჩემთან და მამა თქვენთან და ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერთთან“*.

მარიამ მაგდალელმა კი *„აუწყა მოწაფეებს, რომ იხილა უფალი“*.

აღდგომიდან რვა დღის შემდეგ, მაცხოვარი თავის მოწაფეებს გამოეცხადა სახლში, სადაც ისინი იკრიბებოდნენ *„და უთხრა მათ: მშვიდობა თქვენდა! ეს რომ თქვა, თავისი ხელები და ფერდი უჩვენა მათ. ხოლო მოწაფეებმა გაიხარეს უფლის ხილვით“*. შემდეგ კი განაგრძო იესომ: *„მშვიდობა თქვენდა! როგორც მე მომავლინა მამამ, ისე მე წარგავლენთ თქვენ. ეს რომ თქვა, შეუბერა და უთხრა მათ: მიიღეთ სული წმიდა. ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მიეტევება მათ, და ვისაც დაუტოვებთ, დარჩება მათ“*.

იმ ამბავს იესოს მხოლოდ ერთი მოწაფე – თომა არ შესწრებია. როცა მას მაცხოვრის გამოცხადების ამბავი შეატყობინეს, არ დაიჯერა და სთქვა: *„თუ არ ვიხილავ მის ხელებზე ლურსმნების ნაჭდევს და არ ჩავყოფ ნაჭდევში თითს, ხოლო მის ფერდში არ ჩავდებ ხელს, არ ვირწმუნებ“*.

იესო იმავე სახლში ისევ გამოეცხადა მოწაფეებს, მივიდა თომასთან და უთხრა: *„მოიტა შენი თითი, და იხილე ჩემი ხელები, და მოიტა შენი ხელი და ჩადე ჩემს ფერდში, და ნუ იქნები ურწმუნო, არამედ გწამდეს“*.

მაშინღა აღიარა თომამ ჭეშმარიტება.

მიუბრუნდა მას იესო და უთხრა, რაკი მიხილე, იმიტომ მიწამე, *„ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუხილივარ და მაინც მიწამეს“*.

ამის შემდეგ იესო მოწაფეებს ტიბერიადის ზღვაზე გამოეცხადა.

თევზაობდნენ ნავით მაცხოვრის მოწაფენი, მაგრამ უიღბლოდ, ხოლო უფლის გამოჩენისთანავე, უამრავი თევზი მოჰყვა ბადეში.

ისაუზმეს ერთად.

ის იყო მოწაფეებთან იესოს მესამე გამოცხადება „მკვდრეთით აღდგომის შემდეგ“.

სწორედ მაშინ გამოარჩია იესომ პეტრე და მიმართა: *„სიმონ, იონას ძეო, გიყვარვარ მე? შეწუხდა პეტრე, ვინაიდან მესამედ ჰკითხა გიყვარვარ მეო? და უთხრა მას: უფალო, შენ ყველაფერი იცი, იცი რომ მიყვარხარ. უთხრა მას იესომ: აძოვე ჩემი ცხვრები“*. სანამ ახალგაზრდა იყავი, სარტყელს შემოირტყამდი და სადაც გსურდა იქ მიდიოდი, ხოლო როდესაც დაბერდები *„სხვა შემოგარტყამს სარტყელს და წაგიყვანს, სადაც არ გინდა“*; ამით იესომ მიანიშნა „როგორი სიკვდილით განადიდებდა პეტრე ღმერთს“ და სთქვა: *„გამომყევი მე“*. ყოველივეს შეესწრო ამ წიგნის – „სახარება იოანესი“ დამწერი. – მოციქული იოანე, *„მოწაფე რომელიც უყვარდა იესოს, და რომელმაც სერობისას მის მკერდზე მიყრდნობილმა უთხრა: უფალო, ვინ გაგცემს შენ? ეს რომ დაინახა, პეტრემ უთხრა იესოს: კი მაგრამ, ეს რა? უთხრა მას იესომ: თუკი მნებავს, რომ ეგ იყოს, ვიდრე მოვალ, შენ რა? შენ მე გამომყევ. და გავრცელდა ეს სიტყვა ძმებს შორის, რომ ეს მოწაფე არ მოკვდება. მაგრამ იესომ ის კი არ თქვა, რომ არ მოკვდება, არამედ: თუკი მნებავს, რომ ეგ იყოს, ვიდრე მოვალ, მერე შენ რაო?“* და ვიცით, რომ ჭეშმარიტია მოწმობა მისი. ბევრი სხვა რამეც მოიმოქმედა იესომ; მაგრამ ყველაფერი სათითაოდ რომ დაწერილიყო, ვგონებ ქვეყანაც ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს“. ამინ!

ლევან გვეტაძე

სოსო გიქოშვილი

*(გაგრძელება. დასაწყ. იხ. N11 2016, N4, 2017)*

მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“ (დაწერილია 1926 წ.) საგულისხმო რომანია. ავტორის თავისუფალი თხრობა ნაწარმოებს მეტ შთაბეჭდილებას ანიჭებს. მართალია მისი პრობლემატიკა სრულიად ახალი არ არის ქართული მხატვრული ლიტერატურისათვის, მაგრამ, მთავარი ეს როდია: ერთსა და იმავე თემაზე შეიძლება სხვადასხვა შემოქმედმა იმუშაოს, მთავარია ვინ როგორ, რა ფორმით მიაგნებს ძირითად სათქმელს. მიხ. ჯავახიშვილი „თეთრ საყელოში“ ჰქმნის ცოცხალ, პლასტიკურ სურათებს, რომლებშიც ახლებური გააზრებით აისახება კონკრეტული ყოფის თავისებურებები, იმდროინდელი ცხოვრების განვითარების გარკვეული ისტორიული კანონზომიერება. ამ კანონზომიერებიდან გამომდინარე, რომანის ავტორი პრობლემებს ახლებური მიდგომით წყვეტს, წყვეტს იმგვარად, როგორც ეს მოეთხოვება მეოცე საუკუნის უდიდეს რომანისტსა და რეალისტს.

ნებისმიერი ლიტერატურული თხზულების, მით უმეტეს, ფართომასშტაბიანი რომანის შექმნის საფუძველს რეალური ცხოვრება, ობიექტური სინამდვილე იძლევა, რეალური ცხოვრება კი უფრო მეტია, ვიდრე ადამიანის ფანტაზიით შექმნილი. სწორედ ამის მიზეზი გახლდათ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ერთ-ერთ თავის გმირს ათქმევინებს – *„მე ვფიქრობდი, რომ მწერალი ზოგჯერ ოდნავ სტყუის, რადგან ხშირად ისეთ უცნაურს, რთულსა და გახლართულ ამბავს გვიამბობს, რომელიც არსად არ მომხდარა, ან ვერ მოხდებოდაო“.* გავიდა დრო და როცა ამ სიტყვების მთქმელი გაუთავებელ ომებსა და რევოლუციებსაც მოესწრო, ნახა ათასგვარი კატაკლიზმები, ძველი შეხედულება შეეცვალა, დაიწყო იმის მტკიცება, რომ ცხოვრება ისე ტყუის, ისეთ რთულ ამბებს გვთავაზობს, თვით გენიალური მწერლების ფანტაზია მასთან შედარებით არაფერიაო. „თეთრი საყელოს“ მთავარი გმირი ამბობს – *„საქართველოს სპილენძი აღარ აქვს და გადავწყვიტე – უნდა ვიპოვნოო“.* იგი ამ მიზნის მისაღწევად მართლაც მიდის, ხოლო მეგზურად ვიღაც ახმეტელი ნაჩაფრალი გამოძებნა და გზას გაუდგა. სპილენძის მაძიებლები დიდხანს დახეტიალობდნენ ხევხუვებსა და უღრან ტყეებში, ამ ხეტიალში კი, მოულოდნელად, წააწყდნენ სოფელ ჯუხაანთკარს, რომლის არსებობა არავინ იცოდა. ამ სოფლის მკვიდრნი განდეგილად ცხოვრობდნენ, გარესამყაროსაგან მოწყვეტილნი, მათ არავინ უკავშირდებოდა და არც ისინი უკავშირდებოდნენ ვინმეს. ჯურხაანთკარელები ახლოს არავის იკარებდნენ და თუ ვინმე, შემთხვევით, აღმოჩნდებოდა მათ ტერიტორიაზე, აუცილებლად მოკლავდნენ, რათა სოფელში მისასვლელი გასაიდუმლოებული გზა არავისთვის ესწავლებინა. ელიზბარისა და ახმეტელი მეგზურის მოულოდნელ და უცნაურ გამოჩენას სოფლელთა აურზაური მოჰყვა, უჩვეულო ალიაქოთი ატყდა. ხევსურები აღშფოთებით შემოეხვივნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს, მოსაკლავადაც გაიმეტებდნენ, რომ არა ერთი გარემოება: ელიზბარმა იცნო თავისი ყოფილი მოწაფე, დიდი ხნის უნახავი – ჯურხა. სწორედ ჯურხას წყალობით შინაურულად მიიღეს სოფლელებმა სპილენძის მაძიებელი და მისი თანამგზავრი. ელიზბარი სიამოვნებით დარჩა ჯურხაანთკარში, ტრადიციების მიხედვით, ჯურხას ძმად გაეფიცა, გაწიკლაურდა და იქაური ზნე-ჩვეულებები შეისწავლა. რაც შეეხება მეგზურს, თვალები აუხვიეს, რათა გზა არავისთვის ესწავლებინა და უკან, მშვიდობიანად გამოისტუმრეს. ხევსურთა სოფელმა უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა *ელიზბარზე: „თვალსა და გულში ეცნენ ღაჟღაჟა და სისხლიანი ქალუკები და ვაჟიკები, თოთიები და ჯურხიები, შუქიები და ღულიკები, თოთიები და ხაუთები“.* ჯურხას შეხედულებას: *„ – ჩვენ ჭუჭყი გარედან გვაცხია, ქალაქელს კი შიგნით აქვ, სრულ მუდამ იმას გონებენ, ვინ მოვატყუვარ, ჩვენ ჯანსაღნი ორთ, თქვენ კი დამპალნი ეშმანი ხართ და სულიც და ხორციც დამპალი გაქვთო“* – ელიზბარიც უდასტურებს – დიახ, ეგრეაო!

ჯურხა ამბობს: – *„ქალაქელი ხელმრუდეა, ჯიბგირია, ქურდია, ვერაგი, მთაჩი კი არც ქურდობაა და არც მოღორება“.* ამაზე ელიზბარმა ღიმილით უპასუხა: *„ – ჭეშმარიტებაა ჯურხავ! სრული სიმართლეა“!* ელიზბარის თვალებში ქალაქელებმა და ქალაქმა ფერი დაკარგა, სამაგიეროდ ხევსურთა კარჩაკეტილი ცხოვრება მოეწონა. იგი დიდხანს, ძალიან დიდხანს ფიქრობდა გავლილ ცხოვრებაზე და სიბრალულით შენიშნავდა: *„ბედისაგან მოთელილი და ნაბურთალი ვარ. ცხოვრებამ გამომფიტა, მომქანცა და ფულურო მყორაც მქონდა და ვინც მყავდა, თითქმის ყველანი დავკარგე: მამა, ძმა და სამიოდე ნათესავი, მამა-პაპის მონაგარი და უკანასკნელი თავშესაფარი, სულის სიმხნევე და გულის სიმტკიცე. ყოველივე მქონდა და აღარაფერი შემრჩა“.* ელიზბარი ხევსურთა სოფელში დარჩა, სწრაფად აითვისა და შეეზარდა ჯურხაანთკარის ადათ-წესებს. თავდაპირველად, აქ სამუდამოდ დარჩენაზეც ფიქრობდა, ქალაქში წერილიც გაგზავნა – *აღარ დავბრუნდები – მკვდრად ჩამთვალეთ და ნურც ჩემი გზა-კვალის ძიებასაც დაიწყებთო.* მან მეუღლეს – ცუცქიას ნება მისცა ახალი ქმარი ეშოვა და გათხოვილიყო. მას შემდეგ, რაც ხათუთას წაწალი გახდა, ქალაქში დაბრუნებაზე აღარ უფიქრია, მის არსებაში სოფელმა მეტი ხიბლი შეიძინა და ჯურხაანთკარს უფრო მიეჯაჭვა, თუმცა, მოვლენების ზეგავლენით, ეს ჯაჭვი ნელ-ნელა შესუსტდა და სიმტკიცე დაკარგა. ელიზბარს თანდათან მობეზრდა ხევსურებთან ყოფნა და მათ ტრადიციებზეც გული აიცრუა. შინაგანად გაორებული „თეთრი საყელოს“ მთავარი გმირი თავს ძალას ატანდა, ბორგავდა და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა. განათლებული და ინტელიგენტი ელიზბარის გულში პირველი ბზარი მაშინ გაჩნდა, როცა ბუხრის თავზე მოკვეთილი მკლავის სამი, შავი მტევანი შენიშნა. პირველად თვალს არ დაუჯერა, დააკვირდა და ცხადად შეიცნო – მაჯებში მოჭრილი სამი მარჯვენა ხელი: *„ღორივით დაშაშხული და შემხმარ-შეძვალებული“.* ჯურხამ შენიშნა ელიზბარის ერთგვარი შეცბუნება და, თითქოს, გასამხნევებლად, სიამაყით უთხრა: – *ნუ გიკვირს, ჩვენი წესი შევასრულე და მეტი არაფერი,* თან დაიტრაბახა – *მაგისთანა ხელები ოთხმოცამდე გვქონდაო წინაპართაგან დატოვებული.* მოკვეთილმა ხელის მტევნებმა სიმშვიდე დაუკარგა, მაგრამ გახევსურებულ ელიზბარს დაცინვისა ერიდებოდა, გულს ძალდატანებით იმაგრებდა, შიშს არ ამჟღავნებდა. სწორედ ამ დაცინვის შიშმა მოაკვლევინა მას დათია, ამ მკვლელობისთვის კი ნამდვილი ხევსურობა შეუქეს. ჯურხამ მოფერებით კინაღამ ნეკნებიც დაუმტვრია, იამზემ და მზექალამ „ახალი ხევსური“ გადაჰკოცნეს, ხოლო ხათუთამ იმ ღამეს კვლავ გაუწია წაწლობა და თან ისე, რომ ფეხები ედრიკებოდა მეორე დღეს. მიუხედავად ამისა, ელიზბარის გულში სხვა გრძნობამ დაისადგურა. ერთხელ, შემთხვევით, სამი ცხენოსანი მილიციელი გამოჩნდა ჯურხაანთკარში, რომლებიც ხევსურებმა იქვე დახოცეს, ხოლო ნადავლის გაყოფაზე კინაღამ ჩხუბი მოუვიდათ და მოთმინებადაკარგულმა ელიზბარმაც მკვლელებს ყაჩაღები უწოდა.

მალე დაზამთრდა კიდეც, გარეთ აღარ გაისვლებოდა. ოთხ კედელშუა მომწყვდეული „გახევსურებული“, დამუნჯებული ბოლთას სცემდა. ადრე ყველაფერი ჩვეულებრივად და სასიამოვნოდ ეჩვენებოდა, ახლა კი ბუხარში ცეცხლის ყურებით თვალები ჩაუწითლდა, წნელის ტახტზე გორაობით გვერდები დაებეგვა, ხინკალმა, ერბომ და ქონმა გული აუმსუყა, თუთუნმა და არაყმა ყელი ჩასწვა. ელიზბარს ღამღამობით სიზმარში დათვიას სისხლი ელანდებოდა, არც იმ სამი მილიციელის სიკვდილი ასვენებდა... ჯურხას ძმამ – წიქამ ელიზბარის მტერი – ბათაკა მოკლა, რამაც ძალიან გაახარა ქალი და კაცი, ეს თითქოს „გაწიკლაურებულსაც“ უნდა გახარებოდა, მადლობა გადაუხადა, მაგრამ კრინტიც ვერ დასძრა. მან ცხადად შეიგრძნო, რომ „ხევსურობა“ მისთვის აუტანელი შეიქნა და რაღაცნაირად კვლავ ქალაქი მოენატრა – *„ – მე წიკლაური აღარა ვარ,* – გამოუტყდა თავის თავს, – *„წიკლაურობა“ ვცადე, მაგრამ დავმარცხდი. მეტად მძიმე და უჩვეულო ტვირთი მოვიკიდე. ახლა დროა სულიც დავიმშვიდო და მუხლიც შევასვენო, თორემ წავიქცევი ... საცაა წავიქცევი!“* ძალუმად გაუწია მას გულმა ქალაქისკენ, მიხვდა, რომ ნამდვილი ბედნიერება და სიკეთე ცივილიზაციაში ყოფილა...

მიიწურა ზამთარი როგორღაც და გაზაფხულიც დადგა, – ლამაზი გაზაფხული ბუნებაშიც და და ელიზბარის სულშიც, კვლავ თეთრმა საყელომ იჩინა თავი, თოვლივით ქათქათამ და სპეტაკმა ელიზბარის არსებაში რომანის გმირმა გულიდან საბოლოოდ ამოირეცხა ის, რასაც ცოტა ხნის წინათ ეთაკილებოდა, აიდეალებდა და აღმერთებდა, განუმეორებელ ჭეშმარიტებად მიაჩნდა. მან ერთხელ კიდევ დაარღვია ტრადიცია და ბოსელში განსაწმენდად გამოკეტილი ხათუთა ინახულა, მოეფერა, კარგად ყოფნა უსურვა, თან დაამშვიდა: *„ – მოითმინე და განიწმინდე. მალე მე და შენ ერთად განვიწმინდებით, ერთად“!* ხათუთა ელიზბარის ნათქვამს ვერ მიხვდა, მხოლოდ ელიმებოდა და ეჩურჩულებოდა: – *„ბათაკას ძმას, ძაღლიკას ერიდეო“!*

გონების თვალის ახელით გახარებული ელიზბარი სიხარულით იყო აღტაცებული, მან თანდათან დავიწყებას მისცა ჯურხაანთკარის ტრადიციებიცა და წიკლაურების ადათიც. მისი აზრით, როცა მიხვდა, ხევსურთა სოფელში ადამიანური სახე დაკარგა, ახლა კი კვლავ უბრუნდებოდა პირვანდელს, – ელიზბარის გულსა და გონებაში აღდგენისა და განახლების დრო დამდგარიყო. იგი ისეთივე როგორ დაბრუნდებოდა ქალაქში, როგორიც იქიდან წამოვიდა: ახლისა და ძველის დაპირისპირებაში მან ბევრი რამ გაიგო, ბევრი რამ ახლებურად გაიაზრა. ელიზბარი ჯურხაანთკარიდან მალულად გამოიპარა, უგზო-უკვლოდ მიაშურა ტყეს. მისი გამოპარვა გვიან გაიგო ჯურხამ და უკან გამოედევნა, დიდი წვალების შემდეგ კი დაეწია. ელიზბარ-„ვაჟიკასა“ და ჯურხას შორის მეტად შთამბეჭდავი საუბარი გაიმართა. ელიზბარი ქვევით მიიწევს, ქალაქისაკენ, ჯურხა კი, პირიქით, კვლავ მთისკენ ექაჩება და ეხვეწება: ნუ მიდიხარ, ბინძურ ქალაქისკენო. ელიზბარს არა მარტო მობეზრდა მთა, წიკლაურობა, არამედ შესძულდა კიდეც, შესძულდა მათი კარჩაკეტილი ცხოვრება, ამიტომ ცდილობდა თავი დაეღწია ჩამორჩენილობისთვის და კვლავ ცივილიზაციას დაბრუნებოდა, კვლავ გაეკეთა თეთრი, გახამებული საყელო, როგორც სიმბოლო განათლებისა და კულტურისა. ჯურხას არ სწამდა ცივილიზაციის, იგი ხევსურთა ცხოვრებაში სიჯანსაღეს ხედავდა, განათლებაში კი ადამიანთა გადაგვარებას. ქალაქში, ჯურხას აზრით, ადამიანებს, მათ შორის ელიზბარს, აღარაფერი შერჩენოდა ადამიანური, რომ თეთრი საყელო მასაც ეკეთა ერთ დროს და კინაღამ დაახრჩო. ერთმანეთს დაჟინებით უმტკიცებდნენ ძმადნაფიცები თავიანთი პოზიციის მართებულობას: *„ – მთაში შეხიზვნა გაქცევაა და მეტი არაფერი,* – ეუბნება ელიზბარი, – *ბრძოლის ველი ქალაქშია და ომსაც იქ მოვიგებთ, არ დავმარცხდებით. მომხდურს დედაციხეში უნდა დავუხვდე, მე კი იქიდან გამოვიქეცი და დავიმალე“.* ჯურხა პასუხობს: *„– იქ ვერ იბრძოლებ, ვაჟიკავ“!*

– *„შენ კი იბრძვი? დათვის ბუნაგში შემძვრალხარ და დამალვა მიზნად* გადაგიქცევია“. ჯურხა შეტორტმანდა და მერე თქვა: – *„ქალაქში გაგაწითლებენ“!*

– *„არც მაგისი მეშინიან“!* – მიუგო ელიზბარმა.

ერთმანეთს რომ ვერაფერი დააჯერეს, ჯურხას იმედი გადაუწყდა, ხელი ჩაიქნია და მხოლოდ ესღა სთხოვა: – *„შემფიცე, რომ ჯურხაანთკარის გზას არავის უჩვენებ და მადანსაც არავის ასწავლი. ესაა ჩემი უკანასკნელი თხოვნა“.* გასაგებია, რომ ელიზბარს ყველაფერი ვერ დაევიწყებინა, სინდისმა შეაწუხა და პირობა მისცა: *„ – ვფიცავ, ჩვენს ძმობას, ჩვენი დედის რძესა და გუდანის ჯვარს, ხათუთას და ნოდარს* (*ცოლ-შვილს; ს.გ*), *რომ არასოდეს არც ჯურხაანთკარის გზას ვაჩვენებ ვინმეს და არც სპილენძის მადანს ვასწავლი“.* ძმადნაფიცები ამის მერე დიდი გულისტკივილით დაშორდნენ ერთმანეთს.

ახლა ელიზბარი უკვე თავის სამუშაო ოთხში იჯდა და მშვიდად მუშაობდა, ისევ შინაურული პიჟამო ეცვა, ყელზე კი ახალთახალი თეთრი საყელო ეკეთა. მან მთის სუნი და ჭუჭყი გოგირდის აბანოში ჩამოირეცხა.

ელიზბარი იმ ძველი ინტელიგენციის წარმომადგენელი იყო, ვინც ახალი ცხოვრების პირველ დღეებში დაიბნა და მას განუდგა, თუმცა თანდათან გონების თვალი აეხილა, წარსული გაიაზრა და თანამედროვე ცხოვრებაში თავისი ადგილი დაიმკვიდრა. მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „თეთრი საყელო“, ძველი და ახალი დროის საქართველო დაკავშირებულია პოლიტიკურ კატაკლიზმებთან, რევოლუციებსა და სამოქალაქო ომებთან. ამიტომაცაა, რომ თხზულებაში დაპირისპირებულია ძველი და ახალი საქართველო – წარმავალი და მომავალი, პრიმიტიული და მაღალღირსეული აზროვნება, შუასაუკუნეობრივი კარჩაკეტილობა და ახლებური ხედვა. „თეთრი საყელოს“ ავტორი მოცემული რომანით ცხადყოფს, რომ მომხრეა ყოველგვარი ახლებურის, ცივილიზაციის, პროგრესულად აზროვნების. მიხ. ჯავახიშვილს, უნდა ითქვას, რომ, როგორც რეალისტ შემოქმედს, სხვანაირად არც შეეძლო მოქცეულიყო და გვერდი აეარა ისტორიული კანონზომიერებისათვის. მწერალი საზოგადოების ცივილიზაციაში ხედავდა ერის ჯანსაღ მომავალს, მისთვის ქალაქი – მხატვრული სიმბოლო იყო ინტელექტუალური აზროვნებისა, ხოლო მთა, – ჩამორჩენილი, დრომოჭმული საზოგადოებრივი ურთიერთობების.

იგი უაღრესად ხელხვავიანი ლიტერატორი გახლდათ – მკითხველთა შორის სხვა რომანებთან ერთად დიდ ყურადღებას **„გივი შადური“** იპყრობდა *(დაწერილია 1927-28 წლებში).* რომანს ერთადერთი მთავარი მხატვრული სახე ჰყავს, რომლის ნაამბობის მიხედვით ვეცნობით ნაწარმოებში მომხდარ დანარჩენ ამბავს, სხვების თავგადასავალს, მათი ცხოვრების ისტორიას; კერძოდ, როგორ დაკარგეს ადამიანებმა ზნეობრივი სახე და როგორ იქცნენ უიდეო, უშინაარსო არარაობებად. ასეთი იყო რომანის გმირი – გივი შადური, სასაფლაოს ბინადარი, ერთ დროს კარგი მეოჯახე და ღირსეული კაცი. გივის მრავლად ჰყავდა მეგობრები, უმაღლეს სასწავლებელშიც სწავლობდა და ცოდნასა თუ კულტურას ეზიარა კიდეც. იგი არც საზოგადოებისგან ყოფილა გარიყული და ქართულ მწერლობასაც კარგად იცნობდა. მსჯელობისას გივი შადური ხშირად იყენებდა ხალხურ სიბრძნეს თავისი მოსაზრების გასამყარებლად, უხვად მიმართავდა ანდაზებს, აფორიზმებს, ხატოვან სიტყვა-თქმებს, რაც მის განსწავლულობაზე მეტყველებდა. ახლა კი გივი შადური ასე წარმოადგენდა თავის თავს: *„მე უკვე ნაკაცარი ვარ, წარსულმა მომატყუა, აწმყო მაწვალებს, მომავალი მაშინებს და ისე დავდივარ ამქვეყნად, როგორც ქვრივი სასაფლაოზე“.* საკითხავია, რამ მიიყვანა გივი ამ მდგომარეობამდე? ერთი შეხედვით, თითქოს ცოლის ღალატმა: – იგი უდანაშაულოდ ჩასვეს ციხეში, საქმის გამოძიება გაჭიანურდა, შეშფოთებული ცოლი ცდილობდა როგორმე ეშველა ქმრისთვის. იგი გამომძიებელთან მივიდა და დახმარება სთხოვა, ხოლო გამომძიებელმა ისარგებლა რა ქალის გამოუვალი მდგომარეობით, აიძულა ქმრისთვის ელალატა და მასთან კავშირი გაება. მალე ვაიგამომძიებელი, სხვადასხვა დანაშაულებების გამო, დასაჯეს, ხოლო ახალმა გამომძიებელმა, პატიმარი გივი შადური, გაამართლა და გაათავისუფლა ციხიდან. ნაპატიმრალმა, როცა სახლში დაბრუნდა, ყველაფერი გაიგო, ოჯახი მიატოვა და ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი ქუჩის მაწანწალა – მათხოვრად იქცა. გივი-მათხოვარი მხოლოდ კეთილი ადამიანების ნასუფრალის იმედად იყო, არც ბინა – თავშესაფარი ჰქონდა ღამის გასათევად, ბოლოს, სასაფლაოზე, ერთ მიტოვებულ, ძველ აკლდამას მიაგნო და იქ შეეხიზნა. იგი ლუკმაპურისთვის მარტო დაეთრეოდა მთელი დღის განმავლობაში, ხოლო ღამეებს აკლდამაში ათევდა... როგორც ჩანს, გივი შადური უაზრო ამპარტავანი გახლდათ და ცოლის ღალატმა აქამდე მიიყვანა, არარაობად აქცია. ვფიქრობთ, ადამიანის ზნეობრივ დაცემას ამპარტავნობამაც შეუწყო ხელი, თუმცა ახალი სოციალური გარემოც იმოქმედებდა მასზე. კერძოდ, *„ქვეყანა რომ აირია, მან ყოველგვარი რწმენა დაკარგა, უიმედობამ შეიპყრო და სული დაიცარიელა. უკან რომ იხედებოდა, ყველაზე მეტად აოცებდა, სიცილის უნარი როგორ შერჩა“.* იგი თანამედროვეობით უკმაყოფილოთა წრეს ეკუთვნის. ერთადერთი დასაყრდენი ოჯახი დარჩენოდა, ისიც დაენგრა და სანუგეშებელი აღარაფერი დარჩა. *„ეჰ, დავანებოთ თავი ჩემს ახლანდელს,* – ეუბნებოდა ახლად შეძენილ „მეგობრებს“, რომლებსაც ასე დაწვრილებით უყვებოდა ნახულსა და განცდილს: – *იგი შავია, ვითარცა ჩემი მომავალი და მძიმეა, როგორც ჩემი სული“.*

როდესაც „გივი შადურში“ მკითხველი ეცნობა მხატვრულად წარმოჩენილ „სხვა ნაკაცართა“ სახეებს, მისთვის უფრო აშკარა ხდება გივი შადურის ტრაგედიის სოციალური მიზეზი – მისმა ბიძაშვილმა – პეტრემ, ვისთან ერთადაც სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტში, სწავლის გასრულებისას მდიდარ ქალზე იქორწინა. ამის შემდეგ იგი ფუფუნებაში ცხოვრობდა, ზაფხულს ყირიმის აგარაკზე ატარებდა, ზამთარს – პეტერბურგში. პეტრე არისტოკრატიულ წრეებში ტრიალებდა, აღარც საქართველო ახსოვდა და აღარც ახლობელ-ნათესავები. *„სადაც მე ვარ, ჩემი სამშობლოც იქ არისო“!* – ხმამაღლა გაიძახოდა. მოულოდნელად სამოქალაქო ომი ატყდა, აირია ცხოვრება, პეტრეს „მოღვაწეობაც“ ქაოსმა მოიცვა, ბედი უკუღმა დაუტრიალდა: სიმდიდრე და ქონება წაეხდინა, მეუღლე ჭკუიდან გადავიდა, გაუბედურდა. ჩვენს „გმირს“, როცა სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა, ახლაღა მოაგონდა სამშობლო, თუმცა, ბედმა აქაც უმტყუნა, მშვიდი ცხოვრება ვერც აქ ჰპოვა, პირიქით, უფრო მეტი თავზარი დაეცა, როცა თავისი ადრინდელი საცოლე ძმის ოჯახში დახვდა რძლად. პეტრეს აღარსად დაედგომებოდა და ქუჩაში აღმოჩნდა, უთავბოლოდ დაეხეტებოდა. იგი ხშირად ჩაივლიდა რუსთაველის ქუჩაზე, ჩამოჯდებოდა გრძელ სკამზე და ვინმეს, თავის მსგავსს, დიდხანს ესაუბრებოდა. მიხეილ ჯავახიშვილი, გივი შადურის პირით კი, მეტად მწარე ირონიით შენიშნავდა: „ – *საოცარია, როგორ მალე პოულობენ ერთმანეთს ნათავადარნი, ნაგენერალები და ნაკაცარნი. სხედან, თბებიან, ჩურჩულებენ და გამვლელებს ათვალიერებენ“.* რომანის მიხედვით, ასეთივე არარაობებად იქცნენ არისტოკრატთა წრიდან გამოსული – მარადი, ყარამან ჯიქურაული, სეხნია ლაჩიშვილი, რომელთა ზნეობრივი ატროფირება სოციალურმა ყოფამ განაპირობა.



# მარადიული

ისტორიული შინაარსის საკმაოდ ვრცელტანიანი რომანი **„არსენა მარაბდელი“** *(დაწერილია 1925-1933 წლებში)* მიხეილ ჯავახიშვილის ლიტერატურულ ცხოვრებაში ახალი საფეხური იყო. იგი იმთავითვე იქცა ქართული პროზის მნიშვნელოვან მოვლენად, რომელმაც ყურადღება მიიპყრო ღრმა შინაარსით, ისტორიული სიმართლით, პერსონაჟთა სახეების სიმკვეთრით, მასალის გააზრებითა და მხატვრული წარმოსახვის ფართო არეალით. „არსენა მარაბდელის“ საჯარო განხილვა მოეწყო რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში, სადაც მთავარი მომხსენებელი გახლდათ პროფესორი **სიმონ ხუნდაძე.** სხვებთან ერთად სიტყვით გამოვიდა **კონსტანტინე გამსახურდია,** რომელსაც, ჯერჯერობით, არ ჰქონდა დაწერილი ვრცელი რომანები „დიონისეს ღიმილის“ გარდა. დიდოსტატს უთქვამს მიხეილ ჯავახიშვილის მისამართით, რომ **„საქართველოში დიდი მდინარეებიც კი არაა და არც სქელი რომანია შესაფერი ჩვენი მწერლობისთვის. კარგი მხედარი ისაა, ვინც ნაბადზე აჯირითებს ცხენს, თორემ გრძელ შარაზე ცხენის გაჭენება ადვილიაო“,** ხოლო „არსენა მარაბდელის“ ავტორმა, საპასუხო სიტყვაში გამოსვლისას, აღნიშნა: **„– გეთაყვა,** ყველა იმ ზომის

→

# თანამედროვე

**ტვირთს აიკიდებს, რამდენის ზიდვაც შეუძლიაო“.**

„არსენა მარაბდელში“ მთელი სრულყოფით გამოიკვეთნენ ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანები, რომლებიც აღსავსენი ოპტიმიზმით, შეუპოვრად იბრძოდნენ თავისუფლების მოსაპოვებლად. მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი, უფრო ზუსტად კი პირველი სამი ათეული წელი, ჩვენი ქვეყნისთვის ერთობ რთული პოლიტიკური და სოციალური მოვლენებით აღინიშნა. სწორედ ამ ეპოქას ასახავს მიხ. ჯავახიშვილის რომანიც. მოყოლებული 1801 წლიდან, ანუ ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის დღიდან, ქართველობა წინააღმდეგობრივად განეწყო რუსული ვერაგული პოლიტიკის მიმართ. ასეთ მდგომარეობაში უბრალო ხალხის წრიდან გამოსული ეროვნული გმირი არ შეიძლებოდა აქტიურად არ გამოხმაურებოდა ერისა და ქვეყნისთვის მტკივნეულ საკითხებს. მიხ. ჯავახიშვილი, რომელიც ასახავდა რა აღნიშნული ეპოქის მაჯისცემას, ევალებოდა მთელი სრულყოფით წარმოეჩინა პოლიტიკური მოვლენები. მიზნის მისაღწევად მწერალმა დიდი შრომა გასწია, ერთდროულად ისტორიკოსის როლიც იტვირთა და მხატვრული სიტყვის დიდოსტატისაც. მოვუსმინოთ თავად *ავტორს: „არსენა მარაბდელის“ პირველი თავები 1926 წელს გამოვაქვეყნე ჟურნალ „მნათობში“ და მაშინვე შევწყვიტე, იმიტომ, რომ მოგროვებული მასალა საკმარისი არ აღმოჩნდა. საერთოდ, ჩვენი ისტორია ჯერ სისტემატურად არ არის დალაგებული, ხოლო მე-19 საუკუნის ისტორია სრულად არ აღწერილა. ამიტომ იძულებული გავხდი, მე, თვითონ, შემესრულებინა ჩემთვის ეს უმადური შრომა. ვსწავლობდი კავკასიის იმდროინდელ ისტორიას, ადმინისტრაციულ წყობილებას, ეთნოგრაფიას, ხალხურ პოეზიას, ლექსიკას, გრამატიკას, ეკონომიკას, ისტორიულ გეოგრაფიას, მოქმედ გმირთა ბიოგრაფიას, გენეალოგიას, იმ ეპოქის საერთო სტილსა და ამგვარ მსხვილმანებსაც და წვრილმანებსაც – რომანისტს ათასი რამე სჭირდება და მეც მჭირდებოდა ზოგიერთი ბოტანიკური, ზოოლოგიური, ჩაცმა-დახურვისა და ამგვარი ცნობების მოგვარება“....* „არსენა მარაბდელის“ შექმნას მიხ. ჯავახიშვილი მხოლოდ მაშინ შეუდგა, როცა საკმაო მასალა *დააგროვა. „არსენა მარაბდელი“ 1925 წელს დავიწყე და შარშან დავასრულე (ე.ი. 1932 წელს. ს.გ.) – შენიშნავდა თავად ავტორი – შიგადაშიგ, სხვადასხვა მოთხრობებს ვწერდი და ეს რომ გამოვაკლო, ეს რომანი დაახლოებით ხუთ წელს იწერებოდა“.*

ავტორმა თხზულება ფართო მასშტაბით გაიაზრა, გადაწყვიტა კონკრეტული ეპოქა დამახასიათებელი ისტორიული მოვლენებით აესახა, ამიტომ მხატვრულ სახეთა უმეტესობა სინამდვილიდან აიღო, ზოგი თავად შექმნა, მაგრამ შეთხზული პერსონაჟები ძნელად თუ განირჩევიან მოგონილისაგან. არსენა, ქართველი კაცისთვის კარგად იყო ცნობილი ხალხური „არსენას ლექსიდან“, მაგრამ ჯავახიშვილი ამ ლექსის ფაბულას როდი გაჰყვა, ვინაიდან საკმარისად არ მიიჩნია, ეპოქალური გმირის წარმოსაჩენად მას ვერ წარმოედგინა ერთმა ლექსმა ხალხის მეხსიერებაში ასე დიდხანს როგორ აცოცხლა „მარაბდელი ბიჭი“. მწერლის აზრით, დიდი ზნეობრივი ძალიხმევით მოიპოვა არსენამ სახელი საზოგადოებაში. ჯავახიშვილი მოხიბლული იყო არსენას ჰუმანურობით, დემოკრატიულობითა და ვაჟკაცური სულგრძელობით, რაც მთავარია, იმითაც, რომ არსენას მთელი თავისი რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების გზაზე, ადამიანის სისხლი არ ჰქონდა დაღვრილი. „ვაჟკაცობის კულტი და ერთგვარი სულიერი კეთილშობილება – **„აი, რამ მომცა ოძელაშვილის ხასიათის გასაღებიო“** – წერდა მწერალი და არსენას უკვდავების მეორე მიზეზად მის სამოქმედო პრინციპს – *„მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა“* – მიიჩნევდა. მიხ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა არსენას სახელიცა და მისი დიდებაც. სწორედ ასეთი ეპოქალური გმირის დასახატავად დიდი შრომა და ძალისხმევა იყო საჭირო. არსენას შესახებ ქართული ფოლკლორის გარდა სხვა ლიტერატურული თხზულებებიც არსებობდა, მაგრამ ვინაიდან ისინი ლექსის ფარგლებს მაინც და მაინც არ სცილდებოდნენ, არსენა მათში ლოკალურ ფიგურად რჩებოდა და მოხსნილი ჰქონდა ის დიდი ეროვნული ტვირთი, რომელიც ჭეშმარიტ სახალხო გმირს უნდა ეზიდა. მიხეილ ჯავახიშვილის – არსენას სრული თავისუფლება რომ ნათელი გახდეს, მოვუსმინოთ თავად მწერალს: **„ლექსის ავტორი მოკლედ სჭრის: „ზაალს რომ ერთი გოგო ჰყავს, არსენას მოეწონება“. მოეწონა და მოიტაცა. მე კი ამ მოტაცებას, მოწონებას, სოციალური სარჩულიც გამოვაკერე და არსენას გაჭრის მომზადებას და კვანძის შეკვრას – ერთ დღეში დატრიალებულ ამბავს – რომანის ერთი მესამედი მოვანდომე.“ გაუწყრა მაღალი ღმერთი ფარსადანს ბოდბისხეველსა. გაუწყრა და ნათლიას უღალატა. ამასაც საკმაოდ დასაბუთება დასჭირდა. „ნაბადი გვერდზე მოიგდო, თოფი ფეხზე შეაყენა“ და ერთმა კაცმა თერთმეტი იარაღიანი ყაზახი დაიფრინა. პოეტს ყველა აპატიებს ამგვარ ჰიპერბოლას, პროზაიკოსმა კი მკითხველი უნდა დააჯეროს, ე.ი. დაწვრილებით უნდა აუხსნას, როგორ მოხდა ასეთი სასწაული. ლექსის ავტორმა არსენას ბედისწერა – გიორგი კუჭატნელი – ფინალში გამოაჩინა, მე კი ჩემი გმირის სიკვდილი უბრალო შემთხვევას ვერ დავუთმე და ორი კაცი თავიდანვე, იდეურ-პირადული, მოსისხლედ გადავაქციე. ლექსის ავტორი მუდამ მარტო არსენას მისდევს, მე კი მშრომელ გლეხობას დავუკავშირე და მისი ზრახვა-იმედის მედროშედ ავსახე. ლექსის ავტორი არავითარ ფონს არ აღგვიწერს, მის მიერ მოცემული ფაბულა ქრონოლოგიური ციკლია არსენას თავგადასავლისა... სულ სხვანაირად უნდა მივდგომოდი ამ თემას, მისი სოციალურ-პოლიტიკური არე უნდა მომენახა, მოქმედება და ამბები ლოგიკურად გადამება, ზოგი რამ ფაქტებითა და ფსიქოლოგიურად დამესაბუთებინა. ამოდენა რომანისთვის შინაგანი კომპოზიციური აღნაგობა ამესახა, ყოველი სურათი სიუჟეტურად გადამეშალნა, ბევრი რამ შემეცვალნა, ზოგი რამ უკიდურესად დამეწუნა – ერთი სიტყვით, სრულიად ახალი მხატვრული ნაწარმოები უნდა შემექმნა“.**

ასე ფართო მასშტაბით ჩაფიქრებული გმირი მიხეილ ჯავახიშვილს, ბუნებრივია, ინტელექტუალურად უნდა აემაღლებინა. არ შეიძლებოდა არსენა გონებრივად რიგითი ყმა გლეხის დონეზე მდგარიყო, მას მეტი უნდა სცოდნოდა საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ. თავის დროზე, ზოგიერთ კრიტიკოსს როდი მოსწონდა ასეთი გათვითცნობიერება არსენასი. მათ თავად რომანის ავტორმა საკადრისად უპასუხა და დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ გონებანათელ არსენას ბევრი რამ უნდა სცოდნოდა საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ და აი, რატომ: *„საფრანგეთის რევოლუციაზე და ნაპოლეონზე მთელი მაშინდელი საქართველო ლაპარაკობდა – არსენა ზაალის კარზე იზრდებოდა, ზაალი კი ხშირად დადიოდა ქალაქში (ანუ ტფილისში. ს.გ.) და იქ იმდროინდელ შეგნებულ საზოგადოებას ხვდებოდა, არსენაც იქ ტრიალებდა და, რა საკვირველია, რომ აქ გაგონილი ამბავი შეეგნო და თავისებურად მოეხარშაო“.* არსენას მართლაც, რომ კარგად უნდა სცოდნოდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები, გლეხთა მღელვარებები თუ თავადაზნაურთა შეთქმულებები. ამიტომ მიხეილ ჯავახიშვილმაც არსენა ოძელაშვილი ისტორიული მოვლენების ცენტრში მოაქცია და ამ გზით ეპოქის მართალი მხატვრული მატიანე შექმნა.

„არსენა მარაბდელი“ მე-19 საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოზე, ჩვენი აზრით, შედარებით მეტ ცოდნას იძლევა, ვიდრე რომელიმე ისტორიული ნარკვევი. მისი ეს რომანი პირველი ისტორიული ნაწარმოებია, რომელშიც ფართო პლანით აისახა ბატონყმობის დროინდელი კლასობრივი დიფერენციაცია და მოწინააღმდეგე სოციალურ ძალთა ინტერესების დაპირისპირება. აქ მთელი თავისი სიდიადით გამოჩნდა ქართველი ხალხის სულიერი ძალა, გაუტეხელი ნებისყოფა, საოცარი ოპტიმიზმი. რომანის დადებით მხატვრულ სახეებში გაცოცხლებულია ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართული ხასიათები. გავადევნოთ თვალი ოძელაშვილის წინაპრებსა და მათ შთამომავალთა გმირულ ცხოვრებას, ერისა და ქვეყნისთვის გაწეულ ამაგს, მათ თავდადებას სამშობლოსთვის და ჩვენ მთელ ქართველ ხალხს შევიცნობთ. სწორედ რომ ქართველთა სიმბოლური სახეა არსენას პაპა – ასწლოვანი მახარე, მთელი ნახევარი საუკუნე რომ ატარებდა საქართველოს მეწინავე დროშას, სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში რომ გალია თავისი სიცოცხლე და ტანზე ადგილი აღარ დარჩა მრთელი, მაგრამ სულიერად მაინც გაუტეხელია; ასეთივეა არსენას მამაც – ღვთისავარი, „ცალთვალა დევად“ წოდებული. ოძელაშვილი და მისი თანამებრძოლნი ღირსეულად აგრძელებენ მამა-პაპათა გზას, მზად არიან უფრო მეტი გმირობა გამოიჩინონ მტერთან ჭიდილში.

„არსენა მარაბდელი“ საინტერესო ამბებს შეიცავს ჩვენი ქვეყნის ეთნოგრაფიისა და ხალხის ადათ-წესების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს მკითხველის ცოდნას ერის წარსულზე. რომანში ჭეშმარიტი ეროვნული გრძნობისა და ჰუმანიზმის მძლავრი მაჯისცემა იკვეთება, იგი დასაწყისიდან დასასრულამდე სამშობლოს, ადამიანთა სიყვარულით არის გაჟღენთილი. თხზულებაში ასახული ეროვნული მეობა და ზნეობრივი ამაღლება აორმაგებს მის იდეურ-მხატვრულ ღირებულებას. მკითხველს უთუოდ ხიბლავს მიხ. ჯავახიშვილის წერის სტილი, მხატვრული წარმოსახვის საშუალებათა სიუხვე, ენობრივი ლექსიკისა და ხალხური სიბრძნის – ანდაზებისა და ხატოვანი თქმების სიმდიდრე, პერსონაჟთა მეტყველების თავისებურებანი. ამ კუთხით საინტერესოა რომანის ავტორის მიერ აღწერილი ქართული ჭიდაობის სცენა. სწორედ მან შეძლო ასე გამომსახველად აღეწერა ოძელაშვილისა და გიორგი კუჭატნელის შერკინება, როდესაც არსენამ მიწას დაანარცხა მოწინააღმდეგე. აშკარაა, რომ ჭიდაობის ეპიზოდს მწერალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. საყვარელი გმირის სიკვდილი, როგორც თვითონ ამბობს, შემთხვევას ვერ დაუთმო და კუჭატნელი თავიდანვე ოძელაშვილის მოსისხლე მტრად აქცია. მწერალმა მიგვანიშნა მის ბოროტ არსებაზე. გამარჯვებულმა, გულღია არსენამ, ჭიდაობის დასასრულს, ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად და შერიგება შესთავაზა. კუჭატნელმა ბოროტი თვალებით შეუბღვირა და ღვარძლიანად მიუგო – „დამეკარგე, შე ცინდლიანო, შენა“! ამის შემდეგ მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რომ, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, შურს იძიებდა.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ „არსენა მარაბდელში“ კიდევ ერთხელ გაცხადდა მიხეილ ჯავახიშვილის ძირითადი ესთეტიკური პრინციპები, მხატვრული ალღო, თუმცა მას მაინც ისეთი მასალა უნდა შეერჩია, რომელიც ქართველ ხალხს გაამხნევებდა, შთაუნერგავდა ნათელი ოპტიმიზმის რწმენას. არსენა მარაბდელის ცხოვრებაც სწორედ ასეთ მასალას იძლეოდა და, ალბათ, ამიტომ, განიზრახა მისი სრულყოფილად და ფართო მასშტაბით წარმოჩენა. მიუხედავად აღნიშნულისა, რომანი მხოლოდ ამით როდი იქცევს მკითხველი საზოგადოების ყურადღებას, მისი განსაკუთრებულობა ერთა შორის მეგობრობის იდეაშიც გამოიხატა. ჯავახიშვილი ყველა ერში განასხვავებდა ერთმანეთისაგან მჩაგვრელსა და ჩაგრულს, ნათლად ხედავდა იმ საერთოსაც, რომელიც, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ერის ჩაგრულ ადამიანებს რომ აერთიანებს ერთმანეთთან. „არსენა მარაბდელში“ დამაჯერებლადაა ასახული მეზობელი ხალხების ისტორიული მეგობრობა, მათი ინტერესების ერთიანობა. მწერალი ერთნაირი თანაგრძნობით ხატავს რუს ნასალდათარ – კარპიჩას, უკრაინელ ოსტაპს, აზერბაიჯანელ დალი ჰასანს, სომეხ ბაღოს, ოს მუშთასა და სხვებს, რომლებიც მხარში ედგნენ ქართველ გლეხკაცებს გაჭირვების ჟამს.

არსენა ოძელაშვილი, მსგავსად გიორგი სააკაძისა, უდროობის მსხვერპლი შეიქმნა. ორივე მათგანის ტრაგედია ისტორიულად გარდაუვალი იყო მძიმე ვითარების გამო, მაგრამ არცერთის საქმე, მათ სიკვდილთან ერთად, არ დამთავრებულა.

რომანის ეპილოგში საინტერესო სურათია გადმოცემული: ზოგიერთი მაღალი წოდების კაცნი „სულიერი განწმენდის გზას“ დაადგნენ ვითომ, სინამდვილეში, რუსეთის საიმპერატორო კარისაგან იღებდნენ უხვ წყალობას და რეგალიებს, რიგითი ქართველები კი თავიანთი იდეალების ერთგულნი დარჩნენ. ოძელაშვილის მეგობრებიდან ბევრი დაიღუპა გადასახლებასა და პატიმრობაში, მაგრამ ვინც დაბრუნდა, ნაწამები და ნატანჯი იყო. მიუხედავად მძიმე ხვედრისა, მათ მაინც შერჩათ ვაჟკაცური სული. მაგალითად, ნაციმბირალმა როსტომმა, ახალგაზრდებსა და ბავშვებს თვალი რომ გადაავლო, დაინახა – *„არსენები და მომავალი ძმადნაფიცები უკვე გაჩენილიყვნენ, იზრდებოდნენ, მოდიოდნენ და ოდესმე ისინიც ისევე დაიქუხებდნენ, როგორც, ოდესღაც, მათი წინაპრები – გორდა და მისი შეფიცული ძმები ჰქუხდნენ“.* გავიხსენოთ ასეთი ეპიზოდიც: *„ერთი კვირის შემდეგ არსენას სიკვდილის თორმეტი წლისთავი დადგა. მთელი სოფელი ეკლესიის ეზოში შეიყარა. მღვდელს არასოდეს წაეკითხა ესოდენ გრძელი აღაპი. ყველანი ჩააწერინეს და გაიხსენეს – ოძელაანიც და კარპიჩაც, პაპა მახარეც და ოსტაპიც, ლაცაბიძეც და ნასყიდაც, ლაშქარაც და მუშთაც, სეხნიაც და ხოსიტაც, საბა დალაქიც და ბერუაც, ბაღოც და სიმონაც – ყველა გაიხსენეს და კინაღამ დალი ჰასანიც მიაყოლეს, რომელიც მესამეჯერ გადახვეწილიყო სათათრეთში“.*

ბოლოს დაღუპულთა დანატოვარი ანდერძიც გაიხსენეს: *„არსენას დროშას ატარებდეთ, პირნათლად შეინახავდეთ და სანამდე გადასცემდეთ თაობითთაობამდე, მანამ გორდა მარაბდელის წმინდა საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდეთ“.* ყველამ ერთსულოვნად შეფიცა, რომ არსენას დროშას დაიცავდნენ და მისი გზით ივლიდნენ.

*„ – კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“!* – მოაძახა არსენას ვაჟმა, თან წარბი შეათამაშა და თავის რაზმს გადახედა.

*„ – შევჭამთ, გადავუხდით! დავლეწავთ“!* – ხმა მისცეს მეგობრებმა.

ეს იყო იგივე ხალხის ხმა – ეს იყო საქართველოს ხმაც. „არსენა მარაბდელს“ მიხეილ ჯავახიშვილმა მოაყოლა „ქალის ტვირთი“, რომელიც ჩვენი ერის ახლო წარსულს – 1905 წლის რევოლუციურ ამბებს ასახავდა მხატვრული სრულყოფით. თხზულებაში აღწერილი თემა ახალი არ იყო ქართული ლიტერატურისათვის, იგი მანამდეც აისახა როგორც პროზასა და პოეზიაში, ისე დრამატურგიაში. ეს მდგომარეობა მიხ. ჯავახიშვილს პრობლემის წინაშე აყენებდა, ვინაიდან ახლებური თვალით უნდა შეეხედა წარსულის მოვლენებისათვის და თავისი ორიგინალური სიტყვა ეთქვა. საგულისხმოა, რომ ასეც მოხდა. „ქალის ტვირთი“ ზემოაღნიშნულ თემაზე დაწერილი არც ერთ სხვა თხზულებას არ ჰგავდა. ნაწარმოები, პირველ რიგში, საინტერესოა ისტორიული ფაქტის თავისებური გააზრებით. ავტორმა დაგვიხატა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეებით და გვიჩვენა განსხვავებული დამოკიდებულება პოლიტიკური მოვლენებისადმი. თვით რომანის სათაური თავისივე იდეური არსის განსაზღვრისას იძლევა. მიხ. ჯავახიშვილის სურვილი იყო ეჩვენებინა ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეჩვენებინა ის ტვირთი, რომელიც ქალებმა კაცებთან ერთად ზიდეს. ამის ნათელსაყოფად თხზულებაში მხატვრულადაა წარმოდგენილი თავისებური ინდივიდუალობის მქონე ორი ქალი – ქეთო და მართა. ერთი მაღალი, არისტოკრატიული წრის წარმომადგენელია, მეორე – უბრალო ხალხის წიაღშია აღზრდილი. ქეთო შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე, გაორებული და უპერსპექტივო პიროვნებაა, მას აკლდა მოქმედების თანმიმდევრულობა. ამდენად, ის ვერ გამოდგებოდა პოლიტიკური მოვლენების, თუნდაც რევოლუციის გულშემატკივრად. მართა პირიქით, უფრო საინტერესო მხატვრული სახეა რომანისა, იგი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი მრწამსის. რევოლუცია მისი სულის ნაწილი გახდა და მთელი არსებით თანაუგრძნობდა. რევოლუციაში ხედავდა იმ ხალხის ნათელ მომავალს, რომელმაც აღზარდა.

მიხ. ჯავახიშვილის აზრით, ქეთოს არ ეყოფოდა ძალა, ეტარებინა მძიმე პოლიტიკური კატაკლიზმების ტვირთი, უბრალოდ , ამ ტვირთის დაძვრასაც ვერ შეძლებდა. სამაგიეროდ, ამ ტვირთს მართა დაძლევდა, ცხოვრების რთულსა და ძნელ გზაზე უშიშრად ატარებდა. რომანის ავტორი თავის ერთ-ერთ ჩანაწერში მთავარ პერსონაჟებს ასე ახასიათებდა: **„ქეთო რევოლუციონერი არ არის, რევოლუციონერია მართა. ქეთო მხოლოდ გატაცებული იყო რევოლუციით. მაშინ მაგისთანა ტიპები მრავალნი იყვნენ. ქეთომ ვერ ზიდა რევოლუციის ტვირთი. სამაგიეროდ, მეორე ქალმა, რომელმაც აგრეთვე აიკიდა ეს ტვირთი, ზიდა და პირნათლად მიიტანა ბოლომდე. ის ციმბირშიც კი გაჰყვა ქმარს. მართა გამოვიყვანე ჯანსაღი ქალი, გაცილებით ჯანსაღი, ვიდრე არისტოკრატიის წარმომადგენელი ქეთო“.** დღევანდელი გადასახედიდან თანამედროვე მკითხველმა (უფრო მეტად ახალგაზრდობამ) შეიძლება გაიკვირვოს ან დაუწუნოს დიდ რომანისტს ასეთი აზროვნება, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ, როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, იდგა ავი და უჟმური დრო, ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამოვარდნილიყო ირგვლივ. მივუბრუნდეთ კვლავ „ქალის ტვირთს“, რომლის მიხედვით ამბავი თბილისში იშლებოდა: ჯავახიშვილს, იმთავითვე, რევოლუციურ ორომტრიალში შევყავართ. იგი ხატავს ბუნების სიმბოლურ სურათს, რომლის მიღმაც მხატვრულად გააზრებულია საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა: *„იმ დღეს ცაც კი აჯანყდა, უცებ აიმღვრა, აფორიაქდა, ჭექაქუხილით ჩამოსრიალდა მთაწმინდიდან და გაწეწილ-გაშმაგებული ალქაჯივით მიაწყდა ანდრო ახატნელის სამ-სართულიან სახლს... ცაში კვლავ შფოთი იდგა, ღრუბლებს თითქოს დოღი გაემართათ: ნადირის მიერ დამფრთხალნი, ნახირივით მორბოდნენ, გამალებით მოერეკებოდნენ ერთმანეთს, ურთიერთს მუჯლუგუნებს უშენდნენ, მუსრავდნენ, ფხრეწდნენ, აფეთქებდნენ“...* თბილისქალაქშიც ქარიშხალი ავარდნილიყო, ოღონდ ბრძოლის ქარიშხალი, დენთის სუნით გაჯერებული ქუჩები, ყუმბარების გრიალი ისმოდა, პოლიციასაც მოსვენება ჰქონდა დაკარგული, ხალხი სანუკვარი თავისუფლებისთვის სისხლს ღვრიდა, ირყეოდა მეფის ტახტი, სანაცვლოდ იმედის ნაპერწკალი კიაფობდა. მოულოდნელად იმძლავრა რეაქციულმა ძალამ, დროებით გასწორდა წელში და დაიწყო თავისუფლებისათვის მებრძოლებზე ნადირობა, დაპატიმრებები და გადასახლებები. თავადაზნაურობის ნაწილი გააქტიურდა, ზოგი სასოწარკვეთილებამ მოიცვა, უფრო მეტიც – ზოგმა თავი მოიკლა, ზოგი გადაიკარგა ქალაქიდან. იმდროინდელი პროგრესულად მოაზროვნენი კვლავ შეურიგებელ ბრძოლას აგრძელებდნენ საიმპერატორო კარის წინააღმდეგ.

მიხეილ ჯავახიშვილი თხზულებაში სატრფიალო ეპიზოდებსაც აღწერს, ეს რომანის მეორე მხარეა, რომელიც პირველს, ანუ ძირითადს, ორგანულად უკავშირდება და უფრო მეტი სრულყოფით წარმოაჩენს გმირთა სახეებს. „ქალის ტვირთის“ მხატვრული პერსონაჟებისთვის არაფერი ადამიანური უცხო არაა, ისინი სრული სიცოცხლით ცხოვრობენ, თუმცა ყველასათვის თანაბრად ლამაზი როდია ეს ცხოვრება. თუ ქეთო და მისი მსგავსნი სიყვარულშიც ვერ იჩენენ ერთგულებასა და თანმიმდევრულობას, ბოლომდე ვერ რჩებიან თავიანთი გრძნობების ერთგულნი, არ ხელეწიფებათ „გულის ერთზე დაჯერება“, სამაგიეროდ, მართასა და ზურაბისთანა ადამიანების სიყვარული ლამაზია და მიმზიდველი. ქეთოს ჯერ კლიმიაშვილი მოსწონდა, მერე ზურაბი, ცოლად კი პოლიციელ ავშაროვს გაჰყვა. მან ბოლოს, კლიმიაშვილთან დაბრუნება სცადა და ასე ცხოვრებაარეულმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მართა კი ბოლომდე ზურაბის ერთგული დარჩა, მხოლოდ ის უყვარდა და ღირსეული მეგობრობაც გაუწია. როცა ზურაბი გადაასახლეს ციმბირში, მართაც თან გაჰყვა, რათა საყვარელი ადამიანისთვის გაუსაძლისი ბედ-იღბალი შეემსუბუქებინა, მისი ხვედრი თავადაც გაეზიარებინა.

მკითხველს დიდი ძალისხმევა არ სჭირდება იმის ამოსაცნობად, რომ რომანში გმირთა ხასიათები განზოგადებულია, მათი სულიერი ნიშნები, მათივე ხასიათის შესაბამისად, ლოგიკურად განვითარებული. პერსონაჟთა ცოცხალი სამეტყველო ენა, ლექსიკური მარაგი, ინდივიდუალურია და დაკავშირებულია ეროვნულ თუ სოციალურ ფაქტორებთან. ამიტომაცაა, რომ „ქალის ტვირთში“ ცხოვრებისეული მოვლენები და სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულებების ადამიანთა შინაგანი ხასიათები იქცევენ ფართო მკითხველის ყურადღებას.

მიხეილ ჯავახიშვილის „ქალის ტვირთი“ ქართული რეალიზმის ერთ-ერთი საუკეთესო მხატვრულ-მონუმენტური თხზულებაა, სიუჟეტები კომპოზიციურად მტკიცედ დაკავშირებული, ხოლო ავტორისეული ენა – დახვეწილი, სადა და ამაღლებული. ნაწარმოები მდიდარია მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით, მოსწრებული ხატოვანი სიტყვა-თქმებით.

მიხეილ ჯავახიშვილმა მიზნად დაისახა თავისი ეპოქის ამსახველი ნაწარმოების შექმნა, გარდასულ დღეთა მოგონებები დაწერა, მაგრამ ავისმოსურნეთა წინასწარ მომზადებულმა მზაკვარმა ბედმა მისი განხორციელება აღარ აცალა... უკვე დამდგარიყო ავადმოსაგონარი, სისხლიანი 1937 წელი!.

# სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის 80 წლის საიუბილეოდ

*„ყოველი შეგნებული ადამიანი ადვილად მიხვდება, თუ რაოდენ დიდი ვალდებულება დააწვა ამიერიდან მუზეუმს. რა თქმა უნდა, პოლიტიკური, ნივთიერი და გონებრივი კულტურის ისტორიის საფუძვლიანი, გაღრმავებული შესწავლისათვის ფართო საზოგადოებასა და, მეტადრე, მოსწავლე თაობასაც ისეთი მუზეუმები სჭირდება, სადაც ყოველს მსურველს წაკითხული ისტორიის ხორცშესხმულად გასათვალისწინებელი იმდროინდელი ნივთიერი ნაშთების ნახვა შეეძლება“.*

***ივანე ჯავახიშვილი***

გაზეთ ,,ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებზე უკვე რამდენიმე თვეა იბეჭდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მუზეუმის ისტორიის რეალიები, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ XIXს-ის 70-იან წლებიდან იღებს. ამით კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ **ივანე გვარამაძის** საოჯახო მუზეუმის ბაზაზე ჯერ არქივ-მუზეუმი, შემდეგ ახალციხის საქალაქო მუზეუმი, ხოლო 1937 წელს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ჩამოყალიბდა, რომლის პირველი დირექტორი, თქვენთვის უკვე კარგად ცნობილი პიროვნება – **დავით ლობჟანიძე** იყო, რომლის შესახებაც კ. გვარამაძის პირად არქივში ვკითხულობთ – ***,,ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პირველი დირექტორი იყო დავით გრიგოლის ძე ლობჟანიძე, პროფესიით ეკონომისტი. ამ კაცს, შეიძლებოდა გასჭირვებოდა მუშაობა, რადგან მუზეუმი სპეციფიკური დაწესებულებაა და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფართო ჰუმანიტარულ განათლებას. მით უმეტეს, რომ მუზეუმი ახლად იქმნებოდა, საქმე ფეხს პირველად იდგამდა და საჭირო იყო არამარტო ცოდნა, არამედ გამოცდილებაც. მაგრამ, სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ დავით ლობჟანიძე აღჭურვილი იყო სათანადო განათლებით, რაც მას ეხმარებოდა მუზეუმის ორგანიზაციაში. ამასთან, როგორც ჩანს, მალე შეისწავლა სამუზეუმო საქმე, გაერკვა მის სპეციფიკაში. ამიტომაც, მისი მუშაობა ამ თანამდებობაზე საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან იგი დღენიადაგ ზრუნავდა მუზეუმის ფონდების გამდიდრებისათვის. დავით ლობჟანიძის მიერ შემუშავებული ღონისძიებები მუზეუმის სასიკეთო გარდაქმნას ითვალისწინებდა. ამასთანავე, ყურადღებას იმსახურებდა ღრმა შინაარსით, პრაქტიკულობითა და აქტივობით. ეს ღონისძიებები არის მეტად საქმიანი და აუცილებელი და ის გამომდინარეობს წმინდა, მხოლოდ სამუზეუმო მუშაობიდან; მუზეუმის მომავალი სახიდან“.*** იგი აღნიშნავდა, რომ –***,,არ შეიძლება სამუზეუმო მუშაობა სწორ ნიადაგზე იქნას დაყენებული, თუ თავიდან თვით მუზეუმის პროფილი და მისი მუშაობის მასშტაბები არ არის მტკიცედ გარკვეული.“***

კოსტანტინე გვარამაძის მიერ ასეთი გულწრფელი და ყოვლისმომცველი შეფასება იშვიათად თუ მიუღია ვინმეს. თუმცა, მუზეუმის ახალბედა მეცნიერ-თანამშრომლებს – **ვახტანგ სუდაძესა** და **გიორგი გოგოლაძეს** საინტერესო კონსულტაციებს უწევდა და მათ სამუშაოებსაც გულდასმით ამოწმებდა.

მუზეუმის ერთ-ერთი პირველი თანამშრომლის – გიორგი გოგოლაძის ჩანაწერებში ვკითხულობთ: – ***,,როდესაც საკითხი დაისვა ვარძიაში მუზეუმის გახსნის შესახებ, დავით ლობჟანიძე კატეგორიულად წინააღმდეგი წავიდა, იმ მოტივით, რომ ვარძია, თავისთავად, მუზეუმია და იგი ძველ ნაკრძალს წარმოადგენდა, ამიტომ, ყოველი სხვა ეპოქა და ზედმეტი შტრიხი, რაც მას აღარ შეეფერება, უსათუოდ ტალად დაედება ამ ძეგლის მკაფიოდ მოხაზულ სახეს, რაც სავსებით სწორია და ეს, მომავალმაც დაადასტურა. ვარძიაში ადრე არსებული მუზეუმიც გაუქმდა და დღეს ვარძია თვითონ წარმოადგენს უნიკალურ მუზეუმს.“***

უნდა აღინიშნოს, რომ დ. ლობჟანიძის მიერ სამუზეუმო საქმიანობის შესახებ ჩვენი ინტერესი გამოიწვია მუზეუმის არქივის კიდევ ერთმა დოკუმენტმა (საქაღალდე N10), სადაც ვკითხულობთ: – ***„დ. ლობჟანიძე სათანადო ყურადღებას უთმობდა ახალი და განსაკუთრებით უნიკალური სამუზეუმო ექსპონატების შეგროვების საქმეს. დახმარებისათვის ზემდგომ ინსტანციებსაც მიმართავდა. 1938 წელს დიატომიტის კარიერზე ბაყაყის გაქვავებული ანაბეჭდი აღმოაჩინეს……წარმოების ხელმძღვანელმა სიმონიანმა იგი გადასცა ადგილობრივი მრეწველობის კომისარს. ,,ვინაიდან ასეთი ანაბეჭდი იშვიათად მოდის –*** *წერდა ლობჟანიძე საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს*, ***მას განსაკუთრებული მნიშვნელობა პალეონტოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით ენიჭება. Aაქედან გამომდინარე, გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ ამხ. გორდეზიანის (კომისარი) წინაშე, რათა ხსენებული ანაბეჭდი დაუთმოს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს“.*** დასახელებული ექსპონანტი დღესაც ამდიდრებს და ამშვენებს ჩვენი მუზეუმის საგამოფენო სივრცის პირველივე ვიტრინას.

მუზეუმის არქივის შესწავლის დროს, ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: – ***„ვიწყებთ რა მუზეუმის მიმართულების განსაზღვრას, ვფიქრობ, თავდაპირველად, გავითვალისწინოთ, რომ სწრაფი ტემპით იცვლება ხალხის ყოფა-ცხოვრება, საზოგადოებაში შემოდის ახალი ადათ-წესები და ძველი ნელ-ნელა განიცდის კონსერვაციას, ამიტომ ჩვენი ამოცანაა,*** – წერს დ. ლობჟანიძე, ***– რაც შეიძლება ფართოდ ვაწარმოოთ ეთნოგრაფიული მასალების დაგროვება და ფონდების შექმნა.“*** აქვე მიუთითებს, რომ მეტად ***,,მდიდარ მხარეს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთი თავისი ისტორიული წარსულითა და მისი ნაშთებით. ეს ნაშთები იშვიათი სიუხვით არის გაბნეული სამცხე-ჯავახეთის მთელ ტერიტორიაზე. არქიტექტურული ძეგლების, ნასოფლარების, კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების, მიწისქვეშა ნაშენი გვირაბების, ნამარხების სახით და სხვა.“***

ალსანიშნავია, რომ დ. ლობჟანიძის დირექტორად ყოფნის პერიოდში, მუზეუმში მეტად საქმიანი, სამეცნიერო მუშაობა გაიშალა, რაც აგრეთვე დამსახურებაა მუზეუმის მაშინდელი ისეთი თანამშრომლებისა, როგორიც იყვნენ მეცნიერ-მუშაკები: **კ. გვარამაძე, ბ. ტაბიძე, ვ. სუდაძე, გ. გოგოლაძე ი. პაპისმედოვი, ნ. ბაიბურთელი** და სხვები.



# მესხეთის სიძველეთა სავანე







დავით ლობჟანიძე მძიმე ავადმყოფობის შედეგად 1942 წელს გარდაიცვალა.

ამაგდარი დირექტორის გარდაცვალება იმ დროს დაემთხვა, როცა მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა. მუზეუმის თანამშრომელთა ერთმა ნაწილმა ომის დაწყებისთანავე ფრონტს მიაშურა. არც ,,შინ დარჩენილები“ მსხდარან გულხელდაკრეფილები, რადგან ისინი ხალხში გადიოდნენ და არსებულ მდგომარეობას აცნობდნენ და განუმარტავდნენ ქალაქად თუ სოფლად დარჩენილ მოსახლეობას, რომელთაც ყველაფერთან ერთად გამარჯვების რწმენასაც განუმტკიცებდნენ.

ამ მდგომარეობასთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში დაცული მასალები გვაცნობენ თუ რა წვლილი შეიტანეს მუზეუმის თანამშრომლებმა ქვეყნის თავდაცვის ფონდის განმტკიცების საქმეში. კერძოდ, ისინი აგროვებდნენ და მებრძოლებს ფრონტზე უგზავნიდნენ: ხელთათმანებს, თბილ წინდებს, თეთრეულს, ხილს და ა.შ. რიცხავდნენ ფულს. აღნიშნულის სამაგალითოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკთა 1941 წლის 5 ივლისის საერთო კრების ოქმი, სადაც ვკითხულობთ: ***„მუზეუმის დირექტორმა – დავით ლობჟანიძემ ქვეყნის თავდაცვის ფონდში შეიტანა 540 მანეთი ობლიგაცია და ერთდღიური ხელფასი ომის დამთავრებამდე; მუზეუმის თანამშრომელმა ნინო ბაიბურთელმა 210 მანეთის ობლიგაცია და ერთდღიური ხელფასი. ასევე მოიქცნენ დანარჩენი თანამშრომლებიც, მათაც გადარიცხეს ერთდღიური ხელფასი, ცხადია ომის დამთავრებამდე“.***

ერთ-ერთი პირველთაგანი, მათ შორის, ვინც ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან ფრონტის ხაზისაკენ გაემართა, იყო გამორჩეული მეცნიერ- თანამშრომელი სოფელ ბარალეთიდან – გიორგი გოგოლაძე.

გიორგი გოგოლაძემ თავისი სახელი მუზეუმის ფონდებშიც უკვდავყო. იგი ერთ-ერთი მათგანი იყო, რომელმაც განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი და საინტერესო მუშაობა ჩაატარა სამცხე-ჯავახეთის სოფლებში ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების მოძიებითა და შეგროვებით.

მის პირად ფონდში შეხვდებით: დიდძალ გეოგრაფიულ ტერმინებს, თქმულებებს, თქმულებათა ეტიმოლოგიურ განმარტებებს, ზეპირსიტყვიერებას, შინამრეწველობის ნაწარმს და მისი დამზადების წესებს, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული: ფრინველების, მწერების, ცხოველების, თევზების (სახეების მიხედვით) გავრცელების არეალით.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, მისი მასალების ერთი ნაწილი კვლევისათვის გადაეცა პროფ. სერგი მაკალათიას დასამუშავებლად და გამოსაცემად, ხოლო უდიდესი ნაწილი დაცულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის – გიორგი გოგოლაძის პირად ფონდში, რომლის ანაწერი სხვა მის თანამშრომლების პირადი არქივის ანაწერებთან ერთად გამოსაცემადაა გამზადებული (ავტორები: გ. ჯვარიძე, ლ. ლაფაჩი). გარდა ამისა გ. გოგოლაძის არქივი მრავალ მეცნიერ-მკვლევარს აქვს გამოყენებული, მათ შორის ამ სტატიის ავტორს სადისერტაციო ნაშრომში – „სოფელი ბარალეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)“.

გიორგი გოგოლაძის პიროვნული განსაკუთრებულობა იმაშიც ჩანს, როგორც ამას უცნობი ავტორი წერს – ***„იგი მუზეუმს სულიერადაც დაუკავშირდაო“.*** ამიტომაც იყო, რომ ოჯახმა, გიორგი გოგოლაძის სურვილის თანახმად, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს უსასყიდლოდ, ანუ საჩუქრად გადასცა 200 ცალამდე ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის წიგნი, ჟურნალი და სხვა ძვირფასი ლიტერატურა.

გიორგი გოგოლაძის ხსოვნა, სამცხე-ჯავახეთის მუზეუმთან ერთად, მარადიული იქნება. ღმერთმა გვიმრავლოს მასავით მგზნებარე გულისა და სუფთა სულის ადამიანები.

მუზეუმის პირად არქივებში ასევე, ერთ-ერთი გამორჩეულია ვახტანგ სუდაძის პირადი არქივი, რომელიც შეიძლება სამ პერიოდად წარმოვადგინოთ. მათ შორის: პირველი პერიოდი მოიცავს ვ. სუდაძის მიერ ველზე მოპოვებული მასალების 1937-1941 წლებს, ანუ, იმ დროს, როცა იგი გიორგისთან ერთად მუზეუმის ერთ-ერთი პირველი მეცნიერ-თანამშრომელი იყო.

დასახელებულ პერიოდში, ვ. სუდაძე, ველზე მუშაობის დროს, მონაწილეობდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში, რის შედეგადაც, მართლაც, უნიკალური მასალებით შეავსო მუზეუმის ფონდები. მან გამოიკვლია ახალციხისა და ასპინძის რაიონების სოფლების იტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფა. იწერდა ფოლკლორულ მასალებს. აღწერდა სოფლების: ღრელის, ტობის ტოპონიმიკას. ხშირად ერთად გადიოდნენ ველზე ვ. სუდაძე, ი. პაპისმედოვი და ბ. ტაბიძე.

1941-1944 წლებში ვ. სუდაძე დიდ სამამულო ომში მონაწილეობს, ხოლო 1944 წლიდან იგი გერმანიის ერთ-ერთ ქართულ გაზეთში იწყებს მუშაობას.

მესამე პერიოდი, როცა მას მეხსიერებაში დაგროვილი მასალები გადააქვს ქაღალდის ფურცლებზე და იწყებს მოგზაურობას თურქეთელი ქართველების ეთნოგრაფიისა და მათი დღევანდელი ცხოვრების პირობების შესასწავლად.

აქედან გამომდინარე, დღეს, ვახტანგ სუდაძის პირადი არქივი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალებითა და თურქეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, ბურსის ვილაიეთში მცხოვრები ქართველი მუჰაჯირების ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მასალებით...

მესხეთის მატერიალური კულტურის ძეგლების, სამალავების აღწერისა და შესწავლის, ხალხური ზეპირსიტყვიერების ჩაწერის საქმეს დიდი ამაგი დასდო მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა **ბესარიონ ტაბიძემ,** რომელიც ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე 1938 წლის პირველ სექტემბერს დაინიშნა – ვკითხულობთ მუზეუმის საფონდო მასალებში.

ბესარიონ ტაბიძის პირადი არქივიდან ირკვევა, რომ იგი ექსპედიციაში მუშაობის პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის საკითხებზე – ***„აოხრებულ სოფლებში,*** – წერს იგი ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში – ***დარჩენილია ძვირფასი ისტორიული ძეგლები. ბევრი მათგანი სრულიად შეუსწავლელია. ფაქტია, სიძველეთა კომიტეტმა ვერ დაიცვა გელათი და ვარძია... ძეგლების მნიშვნელობის პროპაგანდა მოსახლეობაში კი მეტად საშური საქმეა“.***

ბესარიონ ტაბიძე აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო ექსპედიციებში. უშუალოდ თვითონ ამუშავებდა და აანალიზებდა დაგროვილ მასალებს, ხელს უწყობდა მუზეუმის ფონდების გამდიდრებასა და, საერთოდ, კვლევის მეცნიერულ დონეზე წარმართვის საქმეს.

ხანგრძლივი წლების მანძილზე ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მუშაკთა ახალ-ახალი ნაკადი მოდიოდა, იცვლებოდნენ დირექტორები, მეცნიერ-მუშაკები...

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მუზეუმის პირველი დირექტორის – დავით ლობჟანიძის გარდაცვალების შემდეგ, მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელი **გერვასი ბარათაშვილი,** რომელსაც ორი-სამი თვე მოუწია ამ თანამდებობაზე მუშაობა. შემდეგ დიდ სამამულო ომში გაიწვიეს. ამის შემდეგ, როგორც **ელენე დიდიმამიშვილი** იგონებს, – მუზეუმში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად ქალბატონი **ანაიდა აგაბაბიანი** დაუნიშნავთ. 1943 წლის იანვრის ბოლოს ა. აგაბაბიანს განცხადება დაუწერია და აღნიშნული მოვალეობიდან გათავისუფლებულა.

1943 წლის თებერვლიდან ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად ინიშნება სრულიად ახალგაზრდა, თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ელენე დიდიმამიშვილი. ამჟამად მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ნატო ყრუაშვილი მუშაობს ელენე დიდიმამიშვილის პირად არქივზე, სადაც, სრულიად შემთხვევით, წააწყდა ელენეს წერილს – ,,როცა მუზეუმი ექვსიოდე წლის იყო“. წერილი ეხება ელენე დიდიმამიშვილის მუზეუმის დირექტორად მუშაობის პერიოდს...

ეს იყო ყველაზე ძნელი და მძიმე დრო... 1943 წელი...

ჩვენი პატარა, მაგრამ ისტორიულად მრავალტანჯული, თუმცა გამრჯე ქალაქი ახალციხე ამ დიდ ქარიშხლიან დღეებში იყო ჩაბმული. დილიდან გვიან საღამომდე მძიმე შრომა სამშობლოს კეთილდღეობისათვის – ეს იყო მისი ურყევი დევიზი. ზურგში დარჩენილები, როგორც ერთნი, ისე იყვნენ შეერთებულნი, შესისხლხორცებულნი.

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონ ელენე დიდიმამიშვილს მუზეუმში დიდხანს არ უმუშავია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მის ასაკს, ომის მძვინვარე პერიოდს, როგორც მუზეუმის დირექტორის დაუღალავ, მიზანმიმართულ საქმიანობას – შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავდადებული შრომით მან დამსახურებულად დაიმკვიდრა თავი მუზეუმის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთმა გამორჩეულმა დირექტორმა.

**ციური ლაფაჩი**

# ღია წერილი ჟურნალ „ქარავნის" რედაქციას

მოსკოვში გამომავალ რუსულენოვან ჟურნალ **„ქარავნის"** 2017 წლის 50-ე საიუბილეო ნომერში გამოქვეყნდა ისტორიკოს-აღმოსავლეთმცოდნის **ფელიქს კურცვაილის** პუბლიკაცია: **„Шота Руставели талантливый переводчик персидской поэмы — «Витязь в тигровой шкуре», а не поэт"**,სადაც ავტორი, ვითომ, ამტკიცებს, რომ შოთა რუსთველი მთარგმნელია და არა პოეტი, რამაც მაიძულა ამეღო ხელში კალამი და მემტკიცებინა, რომ რუსთველი პოეტია და არა – მთარგმნელი.

ავტორი ერთნაირად და თამამად იჭრება, როგორც ფილოლოგიის, ისე ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიისა თუ სხვა სფეროებში.

საკითხები, რასაც ავტორი ეხება, დიდი ხანია დამუშავებულია რუსთველოლოგიაში, ბევრზე დამაჯერებელი პასუხებიც არის გაცემული. მათზე სათითაოდ გამოკიდება, ამ შემთხვევაში, ზედმეტად მიგვაჩნია. ერთ მათგანს კი ნამდვილად ვერ ავუვლით გვერდს, – ეს არის მოარული ამბების დამუშავების საკითხი მხატვრულ ლიტერატურაში. პუბლიკაციის ავტორიც, ძირითადად, სწორედ მასზე ახდენს მანიპულირებას, რომ გამოაცხადოს „ვეფხისტყაოსანი" სპარსულიდან ნათარგმნ ძეგლად, ხოლო მისი ავტორი – მთარგმნელად.

აი, რას წერს *იგი: „**Но дело в том, что сам Руставели пишет о персидском происхождении сказания. Во вступлении к поэме Руставели пишет, что он «...нашёл персидский рассказ и перевёл с персидского на грузинский язык и переложил его стихами, словно крупную жемчужину, переходящую из рук в руки...»***

პუბლიკაციის ავტორი დამახინჯებულად უკეთებს ინტერპრეტაციას პოეტის სიტყვებს და წერს: რუსთაველმა **„იპოვა სპარსული ამბავი და თარგმნა სპარსულიდან ქართულ ენაზე და გარდათქვა ლექსად„(„нашёл персидский рассказ и перевёл с персидского на грузинский язык и переложил его стихами„).** სინამდვილეში კი რუსთველი ამბობს: **„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი"-ო...**

სად გვეუბნება აქ პოეტი, რომ მას უთარგმნია სპარსული პოემა? ის ხომ გარკვევით ამბობს, რომ სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი გარდავთქვიო ლექსად.

სხვა ამბავია, რუსთველი, ამ შემთხვევაში, სიმართლეს ამბობს თუ თავს იწონებს სპარსული ამბით. სპარსული, როგორც სალიტერატურო ენა, მაშინ ხომ გაბატონებული იყო მთელ მახლობელ აღმოსავლეთში.

რუსთველს რომ ეთარგმნა რომელიმე სპარსული ამბავი, მაშინ ის იქნებოდა მთარგმნელი, მაგრამ, რადგან მან კი არ თარგმნა, არამედ სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი (არავინ იცის სინამდვილეში მართლა რა იყო) გალექსა, ამიტომ ის არის პოეტი.

გვეგონა, ისეთი ჩვეულებრივი რამ, როგორიცაა საერთო ამბების დამუშავება მხატვრულ ლიტერატურაში, წერაკითხვის მცოდნისთვის ანბანური ჭეშმარიტება იყო, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა, რაშიც „ქარავანში" გამოქვეყნებულმა ამ პუბლიკაციამ დაგვარწმუნა.

საერთო თემების დამუშავების კუთხით, გადავავლოთ თვალი მსოფლიო ლიტერატურაში არსებულ მდგომარეობას (დაწვრილებით იხილეთ **მაგალი თოდუას** წიგნი **„ვეფხვის ნახტომი, ანუ რითი სჯობს რუსთველი შექსპირსა და გოეთეს„**), ოღონდ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ სახელების ჩამოთვლით, რადგან მათზე სათითაოდ შეჩერება შორს წაგვიყვანდა და ამჟამად არც რაიმე აუცილებლობას არ წარმოადგენს მტკიცება იმისა, რომ, მაგალითად, **ჰომეროსის** ორივე პოემა მითოლოგიურ ამბებზეა აგებული და ასე შემდეგ.

აი, მცირე ჩამონათვალი იმ ავტორთა და ნაწარმოებთა სახელებისა და სახელწოდებებისა, რომლებიც ნასაზრდოები არიან საერთო ამბებით:

**ჰომეროსი, ჰესიოდე, არისტოფანე, ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე;**

**კალიმაქე, აპოლონ როდოსელი, ვერგილიუსი, ოვიდიუსი** და სხვა რომაელი ავტორები; ***„სიმღერა როლანდზე", „რომანი ტროას შესახებ", „რომანი ენეას შესახებ", „ტრისტანი და იზოლდა";***

**დანტე, ბოკაჩიო;**

**შექსპირი, „სიმღერა ნიბელუნგებზე", გოეთე, თომას მანი...**

ჩამოთვლა იწყება ჰომეროსიდან, ანუ ძვ. წ. აღ-ის VIII-VII საუკუნეებიდან და მთავრდება თომას მანით, ანუ მე-20 საუკუნით.

ახლა კი გადმოვინაცვლოთ აღმოსავლეთში და რამდენადაც რუსთველი დაკავშირებულია სპარსულ სამყაროსთან, დავასახელოთ რამდენიმე სპარსულენოვანი ავტორი, მცირე კომენტარებით:

**ფირდოუსმა** შეაგროვა ირანელ მეფეთა შესახებ ხალხში მოარული ამბები, გამოიყენა საშუალო სპარსულ ენაზე დაწერილი *„ხვადაინამაკი" („მეფეთა წიგნი„), დაყიყის „შაჰ -ნამე"...*გადაამუშავა ისინი თავის შემოქმედებით ქურაში და ასე შეუქმნა არა მარტო ირანს, არამედ მსოფლიო ლიტერატურას, ირანის მხატვრულ ისტორიად წოდებული, უკვდავი „შაჰ-ნამე".

ასევე **ნიზამი განჯელმა** მანამდე არსებული ამბები დაუდო საფუძვლად თავის ხუთივე უკვდავ პოემას, მაგალითად:

**„ხოსროვსა და შირინს", „ირანული ქრონიკები"** და **ფირდოუსის „შაჰ-ნამე";**

**„ლეილი და მაჯნუნს"** – არაბული ამბავი ლეილისა და მაჯნუნის სიყვარულისა;

**„ისქანდერ-ნამეს"** – აღმოსავლეთში ალექსანდრე მაკედონელზე მოარულიამბები.

**„შვიდ მთიებს",** თავისი შვიდივე ამბით – მანამდე ცნობილი **ბაჰრამ გურის** შვიდი ამბავი;

**„საიდუმლოებათა საგანძურს„**– აღმოსავლური არაკები.

**ფახრ ედ-დინ გორგანელი** პოემის შესავალშივე გვაუწყებს, რომ ვეისის და რამინის ამბავი ჩემამდე ფალაურ ენაზე ექვსჯერ იყო დამუშავებული, მე მხოლოდ ენობრივად გავმართეო.

ასეთი სურათია ასეულობით სხვა სპარსულ თუ არასპარსულენოვან აღმოსავლელ პოეტთა შემოქმედებაშიც, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საერთო ამბების მხატვრულად გადამუშავებაში, რის შედეგადაც დღეს მსოფლიო ლიტერატურა დამშვენებულია უამრავი „ლეილი და მაჯნუნით", „იოსები და ზოლეიხათი", „ხოსროვი და შირინით" და ასე შემდეგ.

ლიტერატურაში ეს ხომ მიღებული ნორმა იყო.

როგორ მოვიქცეთ ახლა, ავდგეთ და ყველას ჩამოვართვათ პოეტობა და ჩამოვაქვეითოდ მთარგმნელებამდე, თუ მხოლოდ ქართველი პოეტი – რუსთველი გავწიროთ საამისოდ?

პუბლიკაციის ავტორი წერს, დამპყრობთა თავდასხმების შედეგად თუ როგორ ნადგურდებოდა ირანში კულტურა და ის, რომ არ შემორჩენილა პოემის ორიგინალი, ეს არაფერს არ ნიშნავს: ***„Не надо забывать, что Персия неоднократно подвергалась нашествие кочевых племен тюрок-сельджуков, в период правления которых в Персии погибло не мало учёных, поэтов от рук захватчиков, а так же были сожжены многие книги. Так вот, если грузинские ученые-литературоведы думают, что если в Иране где-то в библиотеке на полочке не лежит этот самый оригинал и это является доказательством «грузинского» происхождения поэмы, то они глубоко заблуждаются".***

საქმე ეხება თურქ-სელჩუკთა ბატონობის ხანას, როცა მახლობელ აღმოსავლეთში ელიტარული ენა იყო სპარსული და აი, რატომ:

თურქ-სელჩუკებმა დაპყრობილ ირანში სახელმწიფო და ლიტერატურულ ენად დატოვეს სპარსული, რასაც მათი იმპერიის ზრდასთან ერთად, მოჰყვა სპარსული ენის სამოქმედო არეალის გაფართოება.

ამგვარად, მოხდა ისე, რომ თუ თურქ-სელჩუკებმა პოლიტიკურად დაიპყრეს ირანი, ირანელებმა კი კულტურულად მოიქციეს თავის გავლენის ქვეშ არა მარტო თურქ-სელჩუკები, არამედ, მთელი მათი იმპერია, ანუ მთელი მახლობელი აღმოსავლეთი.

ეს პროცესი წარმატებით გაგრძელდა შემდგომ საუკუნეებშიც.

რაღა მაინც და მაინც თურქ-სელჩუკების დროს დაიკარგა ხელიხელსაგოგმანებილი მარგალიტი – „ამბავი სპარსული", როცა ასეთ აყვავებას განიცდიდა სპარსული ლიტერატურა?

ვთქვათ და არ დაკარგულიყო „ამბავი სპარსული", რომელიც ლექსად გარდათქვა რუსთველმა, რა დააკლდებოდა, ან რა მიემატებოდა ამით პოეტის სახელს?

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მაშინ ქართველებისთვის ტერმინ – „სპარსი"-ს სემანტიკური ველი ვრცელი იყო და იგი, ეთნიკურთან ერთად, აღნიშნავდა ზოგადად მუსლიმს, აღმოსავლელს, კულტუროსანს და არ არის გამორიცხული „ესე ამბავი სპარსული"-ში, სულაც, ზოგადად, აღმოსავლური ამბავი იგულისხმებოდეს.



თუმცა, არც ამ შემთხვევაში დააკლდებოდა ან მოემატებოდა რამე რუსთველის სახელს.

ახლა კი, რაც შეეხება კონკრეტულად რუსთველს:

ყველა დასავლელი პოეტი მხოლოდ დასავლელია, ხოლო ყველა აღმოსავლელი პოეტი – მხოლოდ აღმოსავლელი.

რუსთველი კი, როგორც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მდებარე ქვეყნის, ანუ ორი კულტურის შვილი – აღმოსავლელიცაა და დასავლელიც, რითაც არის იგი ორიგინალური.

პუბლიკაციის ავტორს, თავისი მიზანმიმართული განცხადებების საბოლოოდ წერტილის დასასმელად, მოჰყავს ამონარიდი ამავე ჟურნალის 43-ე ნომერში გამოქვეყნებული ქართველი ირანისტების – **ჯემშიდ** და **ელენე გიუნაშვილების** სტატიიდან: ***«Витязь в тигровой шкуре» Шота Руставели в Иране»*** და ასე ვთქვათ, საზეიმოდ აცხადებს: ***„Впервые в истории, грузинские ученые-литероведы открыто написали, что персидская поэма «Витязь в тигровой шкуре» переведена с персидского на грузинский язык. Правда здесь приводятся оговорки, что мол она «переведена или переложена», но это не меняет суть. Как бы качественно она не была бы переведена, с сохранением канонов грузинской словесности, рифмы, перевод всегда останется переводом, а Шота Руставели, отличным знатоком грузинского и персидского языков и, естественно, всего лишь качественным талантливым переводчиком„***

ამონარიდში მივაქციოთ ყურადღება წინადადებას:***„Правда здесь приводятся оговорки, что мол она «переведена или переложена», но это не меняет суть".***

სწორედ რომ ცვლის არსს, რადგან **«переведена»** და **«переложена»** სხვადასხვა სემანტიკური დატვირთვის მქონენი არიან.

ახლა კი ტერმინ თარგმანთან დაკავშირებით.

ძველ ქართულ ენაში ტერმინი – თარგმნა, ფართო შინაარსის შემცველი იყო და, გარდა დღევანდელი გაგებით თარგმნისა, ნიშნავდა: გადატანას, გადაკეთებას, კომენტარს, განმარტებას, ახსნას, ინტერპრეტაციას.

ასე მაგალითად: ქართულში სპარსულიდან შემოსული ძეგლებიდან ფახრ ედ-დინ გორგანელის (XIს.) **„ვისი და რამინი" – «переведена»**, ხოლო ფირდოუსის (Xს.) **„შაჰ-ნამე" – «переложена»** (შეიძლება სხვა ტერმინიც ვიხმაროთ, მაგალითად, გადაკეთება, ოღონდ არა – **«переведена»**), რადგან „ვისი და რამინი" მიჰყვება დედანს, „შაჰ-ნამე" კი შერჩეული თავების გადატანის, გადაკეთების და ვერსიების სახით არის შემოსული ქართულ ლიტერატურაში.

დიახ, წერილის ავტორის, ასე ვთქვათ, მარგალიტებიდან, მხოლოდ ერთ მათგანზე შევაჩერეთ ყურადღება და თუ ეს საკმარისი არ იქნება, მაშინ სათითაოდ მოგვიწევს პუბლიკაციაში გამოტანილ ყველა მათგანზე, თავიანთი ფაქტობრივი უზუსტობანით, ყურადღების შეჩერება, უფრო სწორედ, დროის ამაოდ ხარჯვა და მტკიცება იმისა, რომ ორჯერ ორი ოთხია, რომ რუსთველი პოეტია და არა მთარგმნელი.

ამ პუბლიკაციის პათოსიდან გამომდინარე, არ გამიკვირდება, მისმა ხელმომწერმა, ასე ვთქვათ, ასეთივე წარმატებით, მთარგმნელობაც კი ჩამოართვას რუსთველს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ირანელებსაც კი აზრად არ მოსვლიათ, რუსთველისთვის ეწოდებინათ მთარგმნელი და არა პოეტი, როცა ორჯერ თარგმნეს სპარსულად „ვეფხისტყაოსანი" **ფარშიდ დელშადმა (1998)** და **მოჰამად ქაზემ იუსეფფურმა (2000).**

ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო ისეთი დონის ჟურნალისგან, როგორიც „ქარავანია", იმ სახის პუბლიკაციის გამოქვეყნება, სადაც, თანაც ღიმილის მომგვრელად, იქნებოდა მცდელობა ქართველი ერის კულტურული წარსულის დისკრეტიზაციისა.

ნოდარ ბართაია,
*აღმოსავლეთმცოდნე-ირანისტი,*
*პროფესორი.*
10. 07. 2017

# დიდგორის ბრძოლა

◄ დასაწყისი გვ. 1

აკად. **როინ მეტრეველი**, რომ დიდგორის მდებარეობის სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა დავით აღმაშენებლის მიერ მისი ბრძოლის ადგილად შერჩევა. დიდგორის ვიწრობები მტერს საშუალებას არ მისცემდა გაშლილიყო და თავისი რიცხობრივი უპირატესობა გამოეყენებინა.

მაგრამ მუსლიმური კოალიციის დიდგორზე შემოტყუება არც ისე ადვილი იყო. ილ-ღაზს ჰქონდა თბილისამდე მისაღწევი სხვა გზაც. დავითის წინაშე იდგა ერთი ამოცანა, მას სამხედრო ეშმაკობის წყალობით უნდა მოეტყუებინა მტერი და ისე უნდა მიეყვანა ის ქართველებისათვის საჭირო პოზიციებზე, რომ ვერ მიმხვდარიყვნან ისინი. სხვაგვარად გეგმა ჩაიშლებოდა. მუსლიმ ავტორს **ქემალ ად-დინს** აქვს ერთი *ცნობა, რომელიც ნათელს ჰფენს ქართველთა სამხედრო ხრიკს. ისტორიკოსი მოგვითხრობს: „მუსულმანებმა, რომლებმაც თავდაპირველად დაამარცხეს ისინი (ე. ი. ქართველები) მისდიეს მტერს და მოექცნენ მათ ზურგში მთის გადასასვლელზე"* (*თარგ. გ. კუტალიასი*). როგორც ვხედავთ, დიდგორი არ ყოფილა ქართველებისა და მუსლიმური კოალიციის დაპირისპირების პირველი პუნქტი. ამ სამხედრო კამპანიის ფარგლებში მათ მანამდეც ჰქონიათ შეტაკება, მაგრამ ქართველები მაშინ დამარცხებულან. აქ ერთი რამაა გასარკვევი, ქართველები მართლა დამარცხდნენ თუ სტრატეგიული მიზნების გამო დამარცხების სცენა გაითამაშეს. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო მისაღებია, რამეთუ სწორედ ამ სამხედრო ხრიკის წყალობით დავითმა მტერი საფარში შეიტყუა. ის ვინც დიდგორზე ყოფილა, დამეთანხმება, ჭკვიანი და გამოცდილი სარდალი, აქ ჯარს ნამდვილად არ შემოიყვანს, მითუმეტეს, თუ იგი თავის საკუთარი სამხედრო გეგმის მიხედვით, არადა ეს იყო ქართველი მხედართმთავრების მიერ წინასწარ შემუშავებული სტრატეგია.

1121 წლის 12 აგვისტო, გარიჟრაჟი. დიდგორის ველზე ჯერ კიდევ სიწყნარეა, მხოლოდ აბჯრის ჟღარუნი და ცხენების ფრუტუნი ისმის. აქა-იქ მეომრები გადაუძახებენ ერთურთს. დავითმა ჯარის საბრძოლო მზადყოფნა ბრძანა. ხუცესები მეომრებს ლოცავენ. ანტიოქიის სამთავროს კანცლერის **გოტიეს** ცნობით, ბრძოლის დაწყების წინ, დავით აღმაშენებელს მგზნებარე მოწოდებით მიუმართავს თავის მეომრებისთვის: **„მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელები ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება, ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ."**



ბრძოლის წინ დავითმა საგანგებოდ შეარჩია 200 მეომარი. მათ უდიდესი მისია დაეკისრათ. ბრძოლის ბედი ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეასრულებდნენ ისინი მეფის დავალებას. მათ თავიდანვე იცოდნენ, რომ სამშობლოს, რწმენისა და მეფის ერთგულებისათვის, სიკვდილზე მიდიოდნენ. რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ამ 200 გმირი ქართველის არც სახელი და არც ოჯახური წარმომავლობა არ ვიცით.

გათენდა... უეცრად ქართველთა ლაშქარს 200 მეომარი გამოეყო და ილღაზის ბანაკისაკენ დაიძრა. მორჩილების ნიშნად ხმლები მაღლა ჰქონდათ აწეული. მტერმა იფიქრა, დანებებას აპირებენო და კარგა ღრმად შეუშვეს ბანაკში. უეცრად, ქართველებმა იარაღი იშიშვლეს და მოწინააღმდეგეს დაერივნენ. ილღაზის მეომრები დაიბნენ. სანამ გონს მოვიდოდნენ, დავით აღმაშენებელმა შეტევა წამოიწყო და მტერს რამდენიმე მხრიდან შეუტია. ლაშქრის ცენტრს დავითი ედგა სათავეში. ფლანგებზე – ყივჩაღთა და **დემეტრე უფლისწულის** ჯარები იყო განლაგებული. ბრძოლის დაწყებისთანავე დემეტრე უფლისწული დიდგორის ერთ-ერთი მთიდან დაეშვა და ილღაზის არმიას გვერდიდან შეუტია. პირველივე შებრძოლებისას მტრის ბანაკი შეირყა. სარკინოზები არ ელოდნენ ქართველთა ასეთ სწრაფ და ფართომასშტაბიან იერიშს. დავითმა მართლაც გენიალური სამხედრო გეგმა დაუპირისპირა ილღაზს. მტერი 300-400 ათასამდე იყო, ხოლო ქართველთა ლაშქარი 55 600 მოლაშქრისაგან შედგებოდა. სარკინოზთა რიცხობრივი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ხანგრძლივ ომს ქართველთა ლაშქარი ვერ გაუძლებდა. ამიტომაც, პირველ მასიურ შეტევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. ბრძოლა სამ საათამდე გაგრძელდა. მტერმა ვერ გაუძლო ქართველთა ასეთ იერიშს და უკუიქცა. ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო. ილღაზის არმიას ქართველებმა დიდგორიდან 70 კმ-ის მანძილზე სდიეს. ტყვე და ალაფი აუარებელი იყო. მართაც, დიდგორზე ქართველობამ შეუძლებელი შეძლო. შემთხვევითი არ არის, რომ დავითის ისტორიკოსი დიდგორის გამარჯვებას „ძლევაჲ საკვირველს" უწოდებს.

ქართველი ერი ყოველთვის დიდი მოწიწებით იხსენიებდა დიდგორის გმირებს. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად კი ხალხმა ეროვნული დღესასწაული „დიდგორობა" დააწესა.

რიცხობრივობაზე აკეთებს აქცენტს. ილღაზი საკმაოდ გამოცდილი იყო იმისათვის, რომ მას სამხედრო სტრატეგიის ეს ელემენტარული დეტალი არ სცოდნოდა. ჩვენი აზრით, ილ-ღაზს ქართველები უკვე „დამარცხებული" ეგონა, როდესაც დიდგორზე მივიდა. ამის იმიტაცია დავითმა მას შეუქმნა. ამდენად, საქართველოს საზღვრის გადმოლახვიდან მოყოლებული, ილ-ღაზს ეგონა, რომ მოქმედებდა

# როცა მუზეუმი ექვსიოდე წლის იყო

რვა ათეული წლის განმავლობაში მუზეუმს მრავალი ადამიანი ხელმძღვანელობდა, რომლებმაც, თავიანთი საქმიანობით, დიდი წვლილი შეიტანეს მის დაცვასა და შემდგომ განვითარებაში. ერთ-ერთი მათგანია ყველასათვის საყვარელი პოეტი ქალბატონი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე ელენე დიდიმამიშვილი. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მშობლიური (ქ. ახალციხის N1 საშუალო) სკოლის სიმებიან ორკესტრს, იყო კლასის ხელნაწერი ლიტერატურული ჟურნალის – „განთიადის“ რედკოლეგიის წევრი. 1937 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ, დროებით მსახურობდა ქალაქის ბიბლიოთეკაში, იყო დაწყებითი სკოლის მასწავლებელიც. 1938 წელს ჩაირიცხა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე – რუსულ სექტორზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქ. ახალციხეში – მშობლიურ სკოლაში, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკურ ტექნიკუმებში, მუშაობდა მესხეთის თეატრშიც მოკარნახედ. დიდი სამამულო ომის პერიოდში ერთი წლით იმყოფებოდა აკადემიურ შვებულებაში. ამ პერიოდში მუშაობდა გაზეთის – „წითელი დროშის“ – რედაქციაში პასუხისმგებელ მდივნად, ხოლო 1943 წელს, რამდენიმე თვის განმავლობაში, იყო ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი. მას მუზეუმის დირექტორობა, ომის უმძიმეს პერიოდში, მცირე ხნით (რამდენიმე თვით), მოუხდა. ქალბატონ ელენეს არქივში დაცულია მოგონება მუზეუმში მისი მუშაობის შესახებ, როცა იგი იყო მისი დირექტორი. რომელიც, ვფიქრობთ, მართლაც მნიშვნელოვანია მუზეუმის ისტორიის შესწავლისათვის. ერთგვარად სიმბოლურია ისიც, რომ მიმდინარე წელს სრულდება მუზეუმის დაარსებიდან 80 წელი და ქალბატონ ელენეს გარდაცვალებიდან 20 წელი... მის მოგონებას – „როცა მუზეუმი ექვსიოდე წლის იყო“ – მკითხველს სრულად ვთავაზობთ.

*ნატო ყრუაშვილი*



ეს იყო ყველაზე ძნელი და მძიმე დრო – 1943 წელი... უჭირდა ქვეყანას, ომი მძვინვარებდა... როგორც ჩვენს თვალუწვდენელ ფრონტებზე, ისევე ზურგშიც, ერთი გრძნობით, ერთი ნიშნით, სუნთქავდა ყველა. ხალხი მოუთმენლად ელოდა სიმშვიდეს, სანატრელ გამარჯვებას, რომელიც ჯერ კიდევ დიდ მსხვერპლს ითხოვდა...

ჩვენი პატარა, მაგრამ ისტორიულადვე მრავალტანჯული, თუმცა გამრჯე ქალაქი ახალციხე, ამ დიდ ქარიშხლიან დღეებში იყო ჩაბმული. დილიდან გვიან საღამომდე მძიმე შრომა სამშობლოს კეთილდღეობისათვის – ეს იყო მისი ურყევი დევიზი. ზურგში დარჩენილები, როგორც ერთნი, ისე იყვნენ შეერთებულნი, შესისხლხორცებულნი.

ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (ასეთი სახელწოდება ჰქონდა მაშინ მუზეუმს) სულ ექვსიოდე წელს ითვლიდა. მე მაშინ უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის მესამე კურსზე ვიყავი. მძიმე ოჯახური პირობების გამო აკადემიური შვებულება ავიღე და ახალციხეში დავბრუნდი. მაშინვე მიმიწვიეს ჯერ გაზეთ „წითელი დროშის“ პასუხისმგებელ მდივნად, ხოლო შემდეგ – მუზეუმის დირექტორად, სადაც რვა თვე დავყავი. მივედი დროებით, რადგან ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ვმუშაობდი ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. მუდამ მოუცლელი ვიყავი. იმ წლებში მაწუხებდა ჭიაყელა ნაწლავის მწვავე ანთება, მაგრამ, რამდენადაც შემეძლო, არ ვიშურებდი ძალ-ღონეს, მხიბლავდა მუზეუმი – მესხეთის წარსულის, აწმყოს სიამაყე.

დილით, სახლიდან რომ გამოვიდოდი, გვიან ღამემდე მიხდებოდა მუშაობა. მუზეუმის საქმეები ჩავიბარე ვინმე მოქალაქე **ანაიდა აგაბაბიანისაგან,** რომელმაც არ იცოდა ქართული ენა და უჭირდა მუშაობა. ეს იყო 1943 წლის თებერვლიდან სექტემბრის ჩათვლით. როგორც კი იმ დროზე ვფიქრობ, არ შემიძლია არ გავიხსენო რაიკომის მდივანი, შესანიშნავი ადამიანი – **გიორგი კირვალიძე**. ასევე ჩემთვის ძვირფასი მეორე მდივანი **ბეგლარ ახვლედიანი,** მშვენიერი მოქალაქე, რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე, **გიორგი სვირსკი (ჩიკვაიძე).** ეს ძვირფასი სამეული, ერთ მთლიან მაღალ სინდისად გამოიყურებოდა. მუდამ გულისხმიერნი იყვნენ. მე მათგან მშობლიურ სითბოს ვგრძნობდი. როგორც მშობელი ზრუნავს საკუთარი შვილისათვის, ასე ზრუნავდნენ ისინი ჩემთვის, ყველა პატიოსანი ადამიანისთვის. მე მაშინ დამწყები პოეტი ვიყავი, პირველი ლექსები დასტამბული მქონდა. გიორგი კირვალიძე, იმ უშოვნელობის დროს, როცა საწერი ქაღალდიც კი სჭირდა, ბლომად მაწვდიდა საწერ რვეულებს, მეძახდა ანტიფაშისტ ლიტერატურულ საღამოებზე. რაიონის ხელმძღვანელები თითქმის ყოველ დღე დადიოდნენ სოფლებში, ამოწმებდნენ მუშაობას და, რაც მთავარია, ამხნევებდნენ, ხალისსა და სიცოცხლის იმედს მატებდნენ ხალხს. მაღალი იყო მათი ავტორიტეტი. ისინი, როგორც ჩვეულებრივი მშრომელები, ეკონომიურად და მატერიალურადაც გასაჭირში იყვნენ, მაგრამ წარბიც არ შეუხრიათ. იმთავითვე, ჩვენს ქალაქში, მათი წყალობით, დიდი ერთსულოვნება სუფევდა. ადამიანს შრომა უფასდებოდა. ამავე დროს, ისინი ზრუნავდნენ ხალხის სულიერი საზრდოსათვის, არ ივიწყებდნენ თეატრს, რომლისთვისაც სკეტჩებს ვწერდი. უყვარდათ ახლადფეხადგმული მუზეუმი, ხშირად მირეკავდნენ: რა გჭირდება, როგორ მიდის საქმეები, სხვა რომ არა, მარტო ესეც კმაროდა, რომ ფრთებშესხმული გვემუშავა.

სრულიად ახალგაზრდა მივედი მუზეუმში. შტატით მყავდა სამი თანამშრომელი – ფონდის მცველი – უკვე მოხუცებული **ნინო ბაიბურთელი**, მეცნიერ-მუშაკი **ოტო (ოქტიაბრიანა) ივანიძე**, დამლაგებელი **სოფიო დიასამიძე.**

მუზეუმი იმხანად ერთი საგამოფენო დარბაზისა და ორი პატარა ოთახისაგან შედგებოდა. დიდი ადგილი ეკავა სოფლის მეურნეობის კუთხეს, სადაც გამოფენილი იყო ძველი მესხური ჯიშები ხეხილისა, ყურძნისა და სხვა. მოპირდაპირე სტენდზე იყო გამოფენილი წარსულის დიდი ამაგდრების, დიდი ისტორიკოსის **მიხეილ თამარაშვილის, „ვინმე მესხის“ – ივანე გვარამაძისა** და სხვათა პორტრეტები. იქვე ხელნაწერები, წიგნები, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მდიდარი იყო მუზეუმის ფონდი – დიდებული მესხეთის – მშვენიერი განძი, რაც განსაკუთრებული ყურადღებით იყო დაცული (მამაჩემს დიდი ღვაწლი მიუძღოდა მესხეთისათვის, თუნდაც მისი მშვენიერი დღიურების მიხედვითაც, მაგრამ **სამსონ ფირცხალავას** მეგობარს ვინ გამოაჩენდა.)

აქვე იყო დიდი რუსთაველისა და ქართული ენის დიდი რეფორმატორის ილიას პორტრეტები. ყველაფერი ფაქიზად იყო დაცული. იყო აგრეთვე რაბათის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ვენური ძეგლები. მუზეუმში იგრძნობოდა საოცარი სისუფთავე. იმ ძნელ დროში ხშირად ჩემს ულუფას ვუნაწილებდი დამლაგებელს.

ერთხელ განათლების კომისარიატში **იორდანაშვილთან** გამომიძახეს. ჩასმენიათ, რომ, ახალციხეში, ახალგაზრდა გოგონა ხელმძღვანელობს მუზეუმს. იორდანაშვილის კაბინეტში რომ შევედი, გაოცებით შემომხედა, ვინაობა გამომკითხა. ჯერ ისტორიკოსებზე ვისაუბრეთ, შემდეგ, ზოგად, განათლებაზე გადავიდა. მივხვდი, რომ ერთგვარ გამოცდას მიწყობდა. ვისაუბრეთ გასული საუკუნის თეატრის ვარსკვლავებზე – **ნინო ჩხეიძეზე,** შემდეგ **უშანგი ჩხეიძეზე** (მას პირადად ვიცნობდი), კომპოზიტორებზე – **ზაქარია ფალიაშვილზე, ისააკ დუნაევსკიზე**. შუბლი გაეხსნა: თქვენი დარგის გარდა, კიდევ რომელი დარგი გაინტერესებთო. ვუპასუხე, რომ საოცრად მიყვარს ასტრონომია და ფიზიკური გეოგრაფია. მოწმენდილ ცაზე, ღამით თანავარსკვლავედების მოძებნა და სხვადასხვა... და, აქ, ჩვენ, უცებ დავმეგობრდით. მან **ჩუბინიშვილის** „საქართველოს ისტორია“ მისახსოვრა წარწერით: „კარგ მომავალს გისურვებთ“. ხედავთ, მუზეუმის საკითხებს როგორ გადავუხვიეთო. ასე გამოვეთხოვეთ ერთმანეთს

რაიონულ აღმასკომთან შეთანხმებით, შევიძინე სამხედრო პირის, თვითნასწავლი მხატვრის – **თეიმურაზ ამილახვრის** მიერ შესრულებული გრაფიკული ნამუშევარი: „პატარა კახი“ – ერეკლე მეორე.

მუზეუმმა მრავალი დამთვალიერებელი მოიზიდა. ვესაუბრებოდი და ვაცნობდი მესხეთის წარსულს, მათ ცხოვრებას, სამშობლოსათვის თავგანწირვას. იყო საინტერესო შეკითხვები: რატომ ეწოდებოდა ქალაქ ახალციხეს **„ლომსია“,** როდის დაერქვა ახალციხე და სხვ. აგრეთვე ტარდებოდა დამატებითი საუბრები ილია ჭავჭავაძეზე, ალექსანდრე პუშკინზე, გიორგი სააკაძეზე, არსენა მარაბდელზე, მამულისათვის მათ თავდადებაზე, რაც აღაფრთოვანებდა დამთვალიერებლებს. პირველად აქ გავიცანი აწ განსვენებული, კომპოზიტორი **მიხეილ ჩირინაშვილი**; ამჟამად უკვე პროფესორი, გეოგრაფი **დავით უკლება** და სხვა მრავალნი, მოწინავე საზოგადოებიდან, რომლებიც მუდამ დაინტერესებულნი იყვნენ მუზეუმით, რომლებიც მაშინ წითელ არმიაში იყვნენ გაწვეულნი. მას შემდეგ ისინი ერთმანეთს „ფრონტელ მეგობრებს“ უწოდებდნენ, რაც შეეფერებოდა იმ ძნელ დროს. მუზეუმი ხალისით, მონდომებითა და მტერზე გამარჯვების მოლოდინით სუნთქავდა. მუზეუმს მუდამ მხარში ედგნენ ინტელიგენტები: **პავლე გურგენიძე, გიორგი ჟინჭველაძე** და სხვები. მაღალი იყო მათი პატრიოტიზმი.

ელენე დიდიმამიშვილი

*როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებს, მოეხსენებათ, წელს სრულდება 80 წელი სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის დაარსებიდან. ჩვენი გაზეთის თითქმის ყველა ნომერში განსაკუთრებულ ადგილს ვუთმობთ ამ დიდ მოვლენას ქართული კულტურისა და ისტორიის განვითარების საქმეში. მუზეუმის თანამშრომლები (როგორც წინა თაობის ასევე დღევანდელი), დღიდან მისი დაფუძნებისა, მართლაც დაუღალავად იღწვიან, რაც ესოდენ ჭირდება ჩვენს ათასჭირვარამ გამოვლილ მხარეს – მესხეთს, რომელმაც უდიდესი ტანჯვა, ვაება, სიდუხჭირე, ნაწილის – გადაგვარება, ნაწილის – საკუთარი მიწა-წყლიდან აყრა განიცადა, მაგრამ ქართული სული მაინც არ ჩაკვდა, ფენიქსივით ბევრჯერ აღსდგა და დღეს თავის სისხლთაგანთან და ხორცთაგანთან, საქართველოს სხვადასხვა მხარეებთან ერთად დიდ ქართულ საქმეებსაც აკეთებს.*

*მუზეუმის ფონდებში სხვა მრავალ სიძველეთაგან, გვიანი პერიოდის ისეთ მასალებსაც წავაწყდებით, რომელიც მზის სინათლეზე ჯერ არ გამოსულა.*

*ამჯერად მიზანშეწონილად ვცანით გამოვაქვეყნოთ მუზეუმის თანამშრომელთა მიერ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩატარებული ერთ-ერთი ექსპედიციის ანგარიში, რომელიც, ვფიქრობთ, დააინტერესებს ჩვენი გაზეთის მკითხველებს.*

# კომპლექსური ექსპედიცია სამცხის უძველეს სოფელში

*„აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“.* ლეიბნიცის ღრმად ფილოსოფიური სიტყვები დასტურია იმ ჭეშმარიტებისა, რომ თუ არ ვიცით წარსული, ვერ გავიგებთ აწმყოს, ხოლო აწმყოს გაგების გარეშე მომავლის განჭვრეტა შეუძლებელია. წარსულს ვსწავლობთ გაცრეცილი, გაყვითლებული ქაღალდებიდან, ქვაში ამოკვეთილი წარწერებიდან თუ ჩუქურთმებიდან, ჟანგისა და ჭიისაგან შეჭმული ეთნოგრაფიული ნივთებიდან, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიდან, ადამიანთა ყოფის ამსახველი ყველა იმ ელემენტიდან, რომლებიც საუკუნეთა ქარტეხილებში გამოუტარებია ქართველ კაცს და ძარღვმაგარ, ღრმად ფესვგადგმულ მუხაზე ახლად



ყლორტებამოყრილს, თანამედროვეობის გვერდით დაუმკვიდრებია ადგილი, როგორც ისტორიული კვლევისა და მეცნიერული შესწავლის წყაროს. სიძველეთა უდიდესი უმრავლესობა თავის საიმედო თავშესაფარს მუზეუმებში, არქივებსა და სამეცნიერო ცენტრებში პოულობს, მაგრამ არც თუ პატარა რიცხვი უნიკალური, ისტორიული დანიშნულების მასალებისა, ჯერ კიდევ გაფანტულია ხალხში, რასაც მოვლა-პატრონობა სჭირდება. ეს ფრიად მნიშვნელოვანი საქმე კი, უპირველეს ყოვლისა, მუზეუმებმა უნდა გააკეთონ.

მუზეუმი ღრმად უნდა იცნობდეს მხარის წარსულს, მისი ქალაქებისა და სოფლების ისტორიას, ისტორიულ ძეგლებს, ბუნებრივ სიმდიდრეებს, ბუნებისა და ისტორიის ღირსშესანიშნაობებს, ენისა და ეთნოგრაფიის თავისებურებებს, მხარის გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მოწინავე ადამიანებს...

სწორედ ამ მიზნით მოაწყო სამცხე-ჯავახეთის ისტორიულმა მუზეუმმა კომპლექსური ექსპედიცია სამცხის უძველეს სოფელში – ჭობარეთში 1985 წლის 1 ივნისიდან 15 ივნისამდე. ექსპედიცია მუზეუმის კვლევითი მუშაობის ერთ-ერთი ურთულესი ფორმაა და განსაკუთრებულ მომზადებას მოითხოვს. რა თქმა უნდა, ექსპედიციის ყველა წევრმა კარგად ვიცოდით თუ რა უნდა გაგვეკეთებინა წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, მაგრამ, მუშაობის პროცესში, დავრწმუნდით, რომ ერთი კონკრეტული საკითხით შემოფარგვლა არ მოხერხდებოდა, ამიტომ მოგვიხდა მრავალფეროვანი მასალების შეგროვება, რამაც უფრო ნაყოფიერი გახადა ჩვენი საქმიანობა.

არ გვინდა ჩრდილი მივაყენოთ სხვა დარგის სპეციალისტებს, მაგრამ ისტორიკოსი და, თანაც, მუზეუმელი, სოფელში შესვლისთანავე უცებ აღიქვამს ჭობარეთის, როგორც ძველი მესხური სოფლის, ტიპურ სახეს, რომელსაც მშვენივრად აქვს შემონახული ,,ჟამთა აღმწერელი“ თანამედროვეობასთან კავშირში. ვფიქრობთ, ვერც ერთი სოფელი სამცხე-ჯავახეთიდან, მას, ამ მხრივ, მეტოქეობას ვერ გაუწევს. ეს ხომ „სოფელი - მუზეუმია“, სადაც კომპლექსურად შემორჩენილი სხვადასხვა ტიპის ოდების გვერდით, ახლად ნაგები სახლები წამომდგარან, მაგრამ ისინი მაინც ვერ ჩრდილავენ წინაპართა საცხოვრისებს. კარგი იქნებოდა თუ მათ კონსერვაციას გავუკეთებთ და სრულყოფილი სახით ადგილზევე შემოვუნახავთ შთა-



# სოფელი ფოკა და მისი ნაშთი



სოფელი ფოკა ძევს ქ. ახალქალაქის აღმოსავლეთით, 25 ვერსზე მისგან, სამხრეთ კიდეზედ საქართველოს წმიდა ტბისა – ფარავნისა და მარცხენა კიდით ჯავახეთის მტკვრის სათავისა, რომელიც სულ რამდენიმე ნაბიჯზე სოფლიდამ გამომდინარეობს მოხსენებული ტბიდამ. ამ ჟამად აქ ცხოვრობენ მარტო სომხები, უწინ კი, როგორც ცხადათ სჩანს, დღევანდლამდე დარჩენილ ნაშთებიდგან, აქ სულ ქართველები ცხოვრობდნენ.

სოფელი ფოკა იხსენება ჩვენს მატიანეში მეფე ბაგრატ მეოთხის მეფობაში (1026-1072), სადაც ნათქვამია შემდეგი:

***„და განვიდა ბაგრატ ჯავახეთს. გამოიყვანა მაწყვერელმან მესხნი, განძითა, ბაგრატისათვის შველად, და მეფე სდგას ხრტილასა, ხოლო ლიპარიტ შეჰკრიბნა კახნი, და მოადგა ფოკათა. გამოექცა მაწყვერელი ბაგრატ მეფესა, და შეეზრახა ლიპარიტს ცნა ესე მეფემან ბაგრატ, ზამთრისა ბუქთა საშინელთა, გარდაიარა შავშეთი და ჩავიდა ქართლს“*** *(გვ.326).*

ქართველთა აქ მოსახლობის დროიდამ დაშთენილია ძველი ეკლესია წმ. ნინოსი და ციხე, მაგრამ ეს უკანასკნელი ამ ჟამად წარმოადგენს მხოლოდ ნანგრევთა გროვას. ეკლესია-კი ჯერაც საკმაოდ კარგად არის შენახული და სდგას ტბის კიდის ახლო, როგორც ამბობს გარდმოცემა, იმ ადგილზე, სადაც სიზმარში მას გამოეცხადა იესო ქრისტე და მისცა მას დაბეჭდილი წერილი მცხეთის მეფესთან. მოვიყვანოთ ეს ამბავი „ქართლის-ცხოვრებიდამ“.

*„და თთვესა მეოთხესა მარტით-გან, რომელ არს ივნისი, წარმოემართა ნინო სომხითითგან და მოიწია მთათა ჯავახეთისა, სადა იგი მიემთხვია ტბასა დიდსა გარდმომდინარესა, რომელსა ეწოდება ფარავანა. ხოლო მიხედნა-რაი მუნით და იხილნა მთანი ჩრდილოსანი, დღეთა მათ ზაფხულისა სავსენი თოვლითა და ჰაერითა სასტიკისათა, შესძრწუნდა წმინდაი ნინო და სთქვა: „უფალო, უფალო! მიიღე სული ჩემი ჩემ-გან“.*

და დაჰყო მუნ ორი დღე, და ითხოვა საზრდელი მეთევზურთაგან, ტბასა მას შინა მონადირეთასა, და რამეთუ მწყემსნიცა იყუნეს ადგილსა მასვე და ხმილვიდეს (დარაჯობდნენ) რაი სახმილავსა ღამისასა სამწყოსასა ზედა მათსა, ხადოდენ იგინი შემწეთ და მფარველად მათდა ღმერთთა მათთა არმაზს და ზადენს და აღუთქმიდეს მათ შესაწირავათა, ოდეს მოვიდეთ წინაშე თქუჱნსა მშვიდობითო...

ვართ ჩვენ დაბით ელარბინით და საფურცლით, და ზინძარელნი, რაბატელნი, და დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“ და ჰკითხა: **„სადა არს მცხეთა“!** ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: **„გარდამდინარე ესე ტბისა თანაწარვლის ქალაქსა მას მცხეთასა“**.ხოლო წმიდასა ნინოს შეუძნდა სიგრძე გზისა მის და სიბრტყე მთათა მათ, რომელი იხილა და ამისთვის, შეძრწუნებულ-მან სულთ-ითქუნა და დაიდვა ლოდი ერთი სასთუნალ (ბალიში) და ესრეთ მიიძინა გარდასადინელსა მას ტბისასა და ვითარ ეძინა, მოვიდა კაცი ერთი ჩვენებით, ჰასაკითა ზომიერ, ხოლო თმითა ნახევარ თმოსანი და მისცა მან წიგნი დაბეჭდილი წმიდასა ნინოს და ჰრქვა: *„მიართვი ესე მსწრაფლ ქალაქსა შინა მცხეთას, მეფესა მას წარმართთასა*. **ხოლო წმიდამან ნინომ იწყო ტირილად და ჰრქვა მას ვედრებით, ვითარმედ მე, უფალო, დედა-კაცი ვარ უცხო და უმეცარი, არღა მრავლის მეტყველ მეცნიერ, ვითარ მივიდე უცხოსა ქვეყანასა და კაცთა მათ უცხო-თესლთა“.** მაშინ კაცმან მან განუსხნა წიგნი იგი, და იყო წერილი რომაელებრ, რომელსა ზედა იყო ბეჭედი იესო ქრისტესი, და წერილ იყვნეს მათ შინა ათნი ესე სიტყვანი:

**„სადაცა იქადაგოს სახარება ესე, მუნცა ითქმოდეს დედაკაცი ესე; არცა მამა-კაცება არს, არცა დედა-კაცება, არამედ თქვენ ყოველნი ერთი ხართ; წარვედით და მოიწაფენით ყოველნი წარმართნი, და ნათელს-სცემდით სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა; და იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა ყოველსა სოფელსა“** და სხვ.

მოსაგონებლად წმიდა ნინოს აქ ყოფნისა, ჩვენ წინაპართ მე-11 საუკუნეში აუგიათ აქ ფრიად მშვენიერი თლილის-ქვის საყდარი, რომელიც ჯერაც კარგად არის დაცული, თუმცა კამარა სულ ჩამონგრეულა.

ეკლესიის სამხრეთ კარებზედ აღსანიშნია ერთი დიდი ბრტყელი ქვა, სიგრძით 5/ ½ არშინი და სიგანით 2 არშინი, მშვენიერის ჩუქურთმებით და წარწერით. აი ამ ქვის ფოტოგრაფიული სურათიც. აქ ქვაზედ, ჯვრის მარცხნივ არის ეს მშვენიერი წარწერა:

**„ქრისტე, ადიდე ბაგრატ კუროპალატი“,**



**ხოლო ჯვრის მარჯვნივ ეს წარწერაა:**

**„ქრისტე, ძეო და სიტყვაო ღვთისაო, ადიდე ოქროპირი**



**ქართლისა კათალიკოზი ორთავე შინა ცხოვრებათა, ამინ“.***

*ფოკის საყდარზე დაცულია კიდევ ბევრი სხვა წარწერა, მაგრამ ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ შემდეგსა:*

**„სახელითა ღვთისათა მე ბაგრატ, რომელი ღირს ვიქმენ შენებასა წმიდისა ამის ეკლესიისა,**

**სახელი დაიდვა, მე თანა დავშვერი, ხელოსანი ვიყავ ოქროპირისა კათალიკოზისა“.**

**)აქ მოხსენებული ბაგრატ-კუროპალატი არის ბაგრატ მეოთხე, რომელიც მეფობდა საქართველოში 1027-დამ 1072 წლამდის, ხოლო ოქროპირი იყო კათალიკოსად მის დროს. ოქროპირი კათალიკოსი იხსენიება ყაურმის საყდარზედაც, რომლის წარწერა მოყვანილი გვქონდა „მოგზაური:-ს N3-ში (გვ. 210).*

*ჟურნალი „მოგზაური“, N 4, 1901 წელი*

---

მომავლობას.

სოფელი საყურადღებოა იმითაც, რომ მას, ძველი სახელი „მზიანეთი“ რომ ჰქვია, მართლაც, მზის გულზე თავი მოუყრია იმათ, ვინც თურქთა ძალმომრეობას გამოჰქცევია, მაჰმადის რჯულისათვის თავი დაუღწევია და მამა-პაპათა სალოცავის ერთგული დარჩენილა.

ხალხის მეხსიერებას შემორჩენილი ტოპონიმები – ,,ვერანა“, ,,მაჭიხეთი“, ,,მონათლულები“ და მრავალი სხვაც ხომ, იმ ავბედითი ისტორიის ნაშთებია, როცა ადამიანები ფიზიკური გადარჩენისათვის მიწისქვეშა სამალავებში – ე.წ. დარნებში, აფარებდნენ თავს, ასე მრავლად რომ არის დაქსელილი ძველი და ახალი ჭობარეთის ტერიტორიაზე.

სოფლის მცხოვრებნი ,,მონათლულებს“ იმ პატარა ღელეს უწოდებს დღესაც, სადაც ქალები, ვითომდა მატყლის და სარეცხის გასარეცხად ამოდიოდნენ, სინამდვილეში კი ხვდებოდა ტანსაცმელგამოცვლილი მღვდელი და ბავშვებს მალულად, ქრისტიანულ წესზე უნათლავდა.

რა საშუალებას არ ეძებდა ქართველი კაცი ფიზიკური გადარჩენისათვის. მიწის ქვეშ ღრმად ჩასულს, მოსალოდნელ შემთხვევაში, იქ, ხანგრძლივი ცხოვრებისთვის ყველა პირობა შეუქმნია, ხოლო საჭიროებისთვის სხვადასხვა მიმართულებით გასაქცევი გვირაბებიც გაუყვანია. საოცარია, მაგრამ ფაქტია, იმ ქარტეხილიან ეპოქებში, როდისღა ასწრებდა ამდენი რამის გაკეთებას ჩვენი წინაპარი?!

ექსპედიციის წევრებმა: **გ. ფარცახაშვილმა** (*ხელმძღვანელი*), **რ. მაისურაძემ, ზ. ფეიქრიშვილმა, თ. სულაქველიძემ** და **გ. ჯვარიძემ** ,,სათიკნეს“ მთაზე იპოვეს გაქვავებული ძვლები, რამაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პროფესორ **გ. ჯალაბაძის** მიერ გამოგზავნილი სპეციალისტის სავარაუდო აზრით, მოპოვებული მასალა მამონტის ან მარტორქის უნდა იყოს, რითაც, გამართლების შემთხვევაში, საქართველო (სამცხე და, კონკრეტულად, ჭობარეთი), შევა იმ ქვეყნების არეალში, სადაც ჩვენს ერამდე ეს ბალახისმჭამელი ცხოველები ბინადრობდნენ.

მოვიძიეთ მეცნიერული ღირებულების ბევრი ეთნოგრაფიული, ტოპონიმური, ხალხური ზეპირსიტყვიერების საინტერესო მასალები.

ექსპედიციის დროს გავეცანით ხალხურ მელექსეებს: **ელენე ფილიპეს ასულ ზედგინიძეს, ნინა ისაკის ასულ მაისურაძეს** და **დარო იორდანეს ასულ ჯვარიძეს.** სოფლის ეს ხანდაზმული მანდილოსნები თანამედროვე მშრომელი ადამიანები არიან, რომელთაც სასწაულებრივად შემოუნახავთ ხალხური პოეტური ტრადიცია და თავიანთი შემოქმედებით აგრძელებენ მას. გაგაცნობთ ხალხური საუნჯის ერთ-ერთ მარგალიტს, რომელიც ჩავიწერეთ **ელენე ფილიპეს ასულ ზედგინიძისაგან:**

*ლეკებმა რომ დამიჭირეს*
*დამდეგ იყო კათათვისა,*
*ასი მთა გადამატარეს*
*მთელი კავკასიონისა.*
*გავხედე ჩერქეზ მინდორსა,*
*ნისლი იყო შავი ზღვისა,*
*სამი ქალი თივას თიბდა,*
*სამი ჩერქეზ ბატონისა,*
*ხელში უჭირავთ ცელები,*
*პირები აქვთ ალმასისა.*
*მარმარილოს სალესავი*
*იმით მოუწყვენდნენ პირსა.*

იგივე ლექსი, მხოლოდ სხვა ვარიანტით, ჩავიწერეთ სოფლის უხუცესი მთქმელის, 88 წლის **დარო იორდანეს ასულ ჯვარიძისაგანაც.**

მხარის მატერიალური კულტურის შესწავლისთვის ზემოთ ჩამოთვლილ მასალებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საფეიქრო წარმოების მხატვრულ ნაწარმს: ხალიჩებს, ფიჩვებს (ფარდაგებს), ჯეჯიმებს, ხურჯინებს და ა.შ.

ფეიქრობა მესხეთში, მსგავსად საქართველოს სხვა კუთხეებისა, უძველესი ხანიდან მომდინარე დარგია, რაც არქეოლოგიური თუ ისტორიული მონაცემებით დასტურდება, მაგრამ აქ ხაზგასასმელია შემდეგი გარემოება – სამცხე-ჯავახეთში, ამა თუ იმ ხეობაში, ესა თუ ის სოფელი, ან რომელიმე გვარი იყო დაოსტატებული.

ქსოვის საქმეში, სამცხის მთელ რიგ სოფლებთან ერთად, გამოირჩეოდა სოფელი ჭობარეთი. ეს რომ ასეა, დაადასტურა ახლანდელმა ექსპედიციამაც.

სოფ. ჭობარეთში მოძიებულ საფენებში ყურადღებას იპყრობს ორნამენტის სახეთა შერჩევის უაღრესად დახვეწილი გემოვნება, ფერისა და ორნამენტის შეთანაწყობა. მრავალ ორიგინალურ – ხალხის წიაღიდან გამოსულ ორნამენტებს შორის ერთ-ერთზე მოვისმინეთ მეტად საინტერესო ლეგენდა. მქსოველებმა ამ ორნამენტს უწოდეს „გიალენ ბოლიანა“ (თურქული), ქართულად ნიშნავს „რძლის თავის ჩამოხრჩობას“. გადმოცემით, ეს ორნამენტი რძალს ვერ მოუქსოვია, რის გამოც თავი ჩამოუხრჩვია, რაც იმას ადასტურებს, რომ ქალის უცოდინარობა ქსოვის საქმეში სირცხვილად ითვლებოდა. და რაოდენ დასანანია, რომ ეს საქმე ჩვენს თვალსა და ხელს შუა ქრება. უწინ დაუწერელი კანონის ძალით ხომ გასათხოვარ ქალს უსათუოდ უნდა სცოდნოდა კერვა, ქსოვა, ქარგვა. ახლა კი აღარავინ მისდევს ამ საქმეს. საერთოდ, თითზე ჩამოსათვლელები დარჩნენ ქართული ხალხური ფეიქრობის მცოდნენი. ისინი თანდათან მიდიან ჩვენგან და თან მიაქვთ მხატვრული რეწვის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები. კარგი იქნება თუ კულტურის განყოფილება დაინტერესდება ამ საშვილიშვილო საქმით და გახსნის ხალხური ფეიქრობის შესწავლის წრეს, სადაც ივლიან ხელგარჯილობით დაინტერესებული ახალგაზრდები. იქნებ გადავარჩინოთ და შთამომავლობას შემოვუნახოთ ეს მეტად საჭირო და აუცილებელი საქმე.

კომპლექსური ექსპედიციის მუშაობა მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა. ეს იმანაც განაპირობა, რომ მის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე, პროფესორი **გიორგი ჯალაბაძე,** რომელმაც კონკრეტული, მიზნობრივი მიმართულება მისცა ჩვენს საქმიანობას.

არ შეიძლება აქვე უდიდესი მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ სოფელ ჭობარეთის მკვიდრი **ნიკოლოზ ზედგინიძე,** რომელმაც უანგარო, მამულიშვილური სიყვარულით მუზეუმს უსასყიდლოდ გადმოსცა მამის ნაქონი, სახლში ნაქსოვი და შეკერილი ჩოხა, ყაბალახი და ამით გამოხატა მოკრძალებული პატივისცემა წინაპართა გმირული ისტორიისადმი.

მუზეუმის კოლექტივის სახელით დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ სოფ. ჭობარეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. **მიხეილ ბერიძეს,** რომელმაც საშუალება მოგვცა მოგვენახულებინა საყევრის ეკლესია, მის მიდამოებში არსებული ნასოფლარები. და რაოდენ სასიხარულო იყო ჩვენთვის, როდესაც „წინაპართა ნაკვალევზე“, კვლავ ხმაური და ჟრიამულია ქართველი კაცის, ქართველი ბავშვის, ქართული სიტყვის. ბევრი საინტერესო ამბავი ჩავიწერეთ მწყემსებისგან, სოფლის მესაქონლეობის ფერმის გამგის – ამხ. **ვ. ჯვარიძისაგან,** რომელმაც მესხისათვის ჩვეული სტუმართმოყვარული სითბოთი მიგვიღო და გამოგვისტუმრა.

დიდი დახმარება გაგვიწია სოფლის საშუალო სკოლის დირექტორმა **ომარ ჯვარიძემ,** მან მუშაობისთვის ყოველგვარი პირობა შეგვიქმნა.

**ნათელა მოხევიშვილი,**
**ვერიკო მოდებაძე,**
სამცხე-ჯავახეთის
ისტორიული მუზეუმის
მეცნიერ-მუშაკები
1985 წელი, 01.06 -15.06

---

## *დურმიშხან ბიწაძე – 75*



## დალოცვილი იყავით!

ჩვენო დურმიშხან,

ახლახან 75 წელი შეგისრულდა. რა დრო გასულა, თითქოს გუშინ იყო ქართულ მწერლობაში რომ შედგი ფეხი, ხელში კალამი რომ აიღე და შეეჭიდე სამწერლო მოღვაწეობის ურთულეს გზას. ლიტერატურისადმი, ხელოვნებისადმი მიდრეკილება, შემოქმედებითად ცხოვრება, ეს ღვთივკურთხეული მადლია. რაოდენ განათლებულიც არ უნდა იყოს ადამიანი, თუ შემოქმედის ნიჭი არ გააჩნია, წყლის ნაყვაა მასთან შეჭიდება, მაგრამ როდესაც ნიჭი გაქვს და მას გვერდს აუვლი, ეს დიდი ცოდვაა. მწერლის ნაშრომ-ნაღვაწი მარტო ერთი ადამიანის საკუთრება არაა, იგი ხალხს ეკუთვის და სწორედ მათთვის იქმნება იგი. ხშირად ვამბობთ – რომ არა მწერლობა, მაშინ არც კინო იქნებოდა, არც თეატრი, არც სიმღერა და, საერთოდ, ადამიანი სულის გარეშე დარჩებოდა. ამიტომ შენ, როგორც მწერალს ქვეყნის წინაშეც და, ხალხის წინაშეც მოვალედ უნდა მიგაჩნდეს საკუთარი თავი მათ სამსახურში იყო და, ვფიქრობთ, რომ ეს მისია წარმატებით შეასრულე. მთელი შენი შეგნებული ცხოვრების მანძილზე არაერთი პროზაული თუ პოეტური ნაწარმოები შექმენი, რომლებმაც ბევრი თაყვანისმცემელი შეგძინა და დღეს შენ კარგად გიცნობს არათუ რეგიონის, არამედ ქართული მწერლობით დაინტერესებული ადამიანები. არ დარჩენილა საქართველოში არც ერთი ცენტრალური სალიტერატურო გაზეთი თუ ჟურნალი, რომ მზის სინათლე არ ეხილა მათი საშუალებით შენს ნაწარმოებებს, რომლებიც უზადო ნიჭიერებითაა შექმნილი. შენ იმითაც ხარ გამორჩეული შემოქმედი, რომ თითქმის ყველა ჟანრში წერ და ეს კიდევ ბევრ რამეზე მიანიშნებს. შენი შემოქმედება რომ, უპირველესად, პატრიოტული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, ესეც შენს კაცობასა და ნაღდ ქართველობაზე მიუთითებს.

კიდევ ერთხელ გლოცავთ და გვეიმედებით, ჩვენო დურმიშხან და გვინდა გისურვოთ, უპირველესად, ჯანმრთელობა და იმის უნარი, ბევრი რომ გეწეროს და თაყვანისმცემლების გულები გაგეხარებინოს.

*გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" რედაქცია*

# აღსარება



ქართველთა მეფედ მაკურთხეს,
ჭაბუკი, თექვსმეტ წლისაო,
აღმშენებელი ქვეყნისა,
დამაქცეველი მტრიასაო.
არ დავიშურე ძალ-ღონე,
მომადლებული ღვთისაო,
სულ სათითაოდ დავლაშქრე
მჩაგვრელნი ქართველისაო.
ერისთავები მოვიხმე,–
დროშის ქვეშ დავიბარეო,
სამეფოს სიმტკიცისათვის
სიმკაცრე გავატარეო.
მძლავრ სახელმწიფოდ ვაქციე
სამთავროების მხარეო,
ურჩები დავიმორჩილე,
წესრიგი დავამყარეო.
ლეგენდად დარჩა ქვეყანას
ამბავი დიდგორისაო,
სიცოცხლე იდო სასწორზე
სრულიად ქართველისაო.
მოაწყდა ჯარი ურიცხვი,
მოძულე ქრისტეს ჯვრისაო,
გზად წაგვიბილწეს ყოველი
ქართველთა მიწა-წყლისაო.
მე დავახვედრე ლაშქარი, –
ნაფიცი მხედრებისაო,
თუმცა მცირედნი ვიყავით, –
რისხვა მოვუწყე ღვთისაო.
ხმალი ბრძოლებში გავლიე,
ჯავრი ვიყარე მტრისაო,
სულ დავიბრუნე უკლებლივ
ვალები დიდი ხნისაო.
ყველას – ქურდსა და ავაზაკს,
მარბიელთ ქართველისაო, –
გზა დავავიწყე დიდი ხნით
ამ ჩვენი სოფლებისაო.
ხმლით დავამკვიდრე საზღვრები
ზღვისა და ხმელეთისაო
და საქართველო ავწიე
მწვერვალზე დიდებისაო.
ქართველობისთვის ვიბრძოლე,
სისხლი დავლვარე მტრისაო,
მრავალი ცოდვა ვიტვირთე,
ნაჩეხით ჩემი ხმლისაო.
ქვეყნის მტერი და დუშმანი
არსად არ გავახარეო,
ღმერთმა შემინდოს ყოველი,
თუ რამ შევცოდე მწარეო.
ეკლესიები ვაშენე,
ნატიფად თლილი ქვისაო,
ღმერთი ვადიდე ქართველთა,
არ შეურაცხვყვე სხვისაო.
ძეგლი დამიდგეს თბილისში,
ზეცაში გავიხარეო,
და ამისათვის თაობებს
მადლობა გადუხადეო.
კარგა ხანს ვიდექ მეფურად,
მშვენებად თბილისისაო,
ამხედრებული ვხვდებოდი
განთიადს ყოველ დღისაო.
ვიდექი დამშვიდებული,
სიმბოლოდ დიდებისაო,
სიძლიერის და ერთობის,
გარჯის და შენებისაო.
რისთვის გამწირეს, არ ვიცი,
რათ გაახარეს მტერიო,
გადამასახლეს, გამრიყეს,
თავზე მეყრება მტვერიო.
თხოვნით მოგმართავთ ზეციდან
სრულიად საქართველოსა,
შუღლი დაგლუპავთ, ქართველნო,
მერე მოგიღებთ ბოლოსა.
გიყვარდეთ დედასამშობლო,
გყავდეთ სალოცავ ხატადა,
ერთურთის შუღლს და
მტრობას სჯობს
გამრავლდით ერთიათადა!

მთქმელი **ზაურ ჯვარიძე, 70 წლის, ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭობარეთი. 2017 წელი**

## ნათელში ყოფილიყოს



ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ამქვეყნიდან წავიდა ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის კარგად ცნობილი სახალხო მთქმელი **გრიგოლ მამულაიძე.** მისი სახელი ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ჩვენს გაზეთთან ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ინტენსიური თანამშრომლობა დაიწყო. იქამდე მას ასპინძელები იცნობდნენ როგორც საუკეთესო მეურნეს, სოფლის თავკაცსა და რაიონში ავტორიტეტულ პიროვნებას. იგი მუდამ გამოირჩეოდა თავმდაბლობით და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით.

გრიგოლ მამულაიძე დაიბადა 1926 წელს დუშეთის რაიონის სოფელ ჟოჟონში, იგი აქტიურ შრომაში ბავშვობიდანვე ჩაება. ჯერ იყო და მოჯამაგირედ მსახურობდა, შემდეგ გამოცადა მწყემსის უმძიმესი შრომა და მუდამჟამს პატიოსნებით გამოირჩეოდა. მან დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ტექნიკური განათლებაც მიიღო.

1944 წელს, გრიგოლ მამულაიძის ოჯახი, გეგმიური წესით, ჩასახლებული იქნა ასპინძის რაიონის სოფელ საყუდაბელში და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ამ სოფლის, რაიონის, ქვეყნის სამსახურს მოახმარა. წლების მანძილზე მუშაობდა ამავე სოფლის კოლმეურნეობაში მოლარე-მოანგარიშედ, ფერმის გამგედ, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ.

ბოლო წლებში გრიგოლ მამულაიძე აქტიურად ღებულობდა მონაწილეობას რეგიონში ჩატარებულ ყველა ფოლკლორულ ფესტივალში და მისი შემოქმედებისადმი დიდი ინტერესიც გაჩნდა, ხოლო 2015 წელს გამოცემულ „მესხურ ფოლკლორში“ მისმა ნაღვაწმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

ნიშანდობლივია, რომ მამის კვალს მისი შვილებიც გაჰყვნენ, მაგრამ რაოდენ სამწუხარო იყო ის, რომ დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული მისი შვილიშვილი – გიორგი, სრულიად ახალგაზრდა – ოცი წლის, ტრაგიკულად აღესრულა, თუმცა წარუშლელი კვალი მაინც დატოვა თავისი შესანიშნავი პოეტური კრებულით. გრიგოლ მამულაიძე კი ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, შვილიშვილის დაღუპვის ამბავი მისთვის გასაიდუმლოებული დარჩა.

გ.მამულაიძე არა მარტო სახალხო მთქმელი იყო, არამედ ბევრი საინტერესო გამონათქვამიც დაგვიტოვა და, პარალელურად, ეწეოდა ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვებასაც, რომელთა ერთ ნაწილს ჩვენი გაზეთის მკითხველები პერიოდულად ეცნობოდა.

ნათელში ყოფილიყოს გრიგოლ მამულაიძის სული აწ და მარადის!

*გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია*

### მადლობა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია მადლობას უხდის შპს CO2+-ის დირექტორს ბატონ ავთანდილ გელაძეს ფინასური დახმარებისათვის.

**გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!**
**შეგახსენებთ ჩვენი გაზეთის საბანკო რეკვიზიტებს:**
**შპს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“**
**ლიბერთი ბანკის ასპინძის ფილიალი.**
**ბანკის კოდი – 220101451; ანგარიშის N GE72LB0113115795007000,**
**საიდენტიფიკაციო კოდი 223100908.**

# არ თქვა, რომ ქურთი ვირია!

***ეს ლეგენდა, 66 წლის წინეთ, ჩემი ბავშვობის დროს, გაგონილი მაქვს მამაჩემისაგან, ოდნავ მახსოვდა მცირეთ შემოკლებით, შეძლებისგვარად აღვიდგინე ვრცლათ 15 ივლის 1931 წელს, ავადმყოფმა, ლოგინში მწოლმა.***

მთის ბუნების წიაღში მოუცილებლათ მცხოვრებ მთის შვილს, მწყემსს, ქურთს, გაეგონა „აღა“ კაცებისაგან, რომ ამ მთის გარდა არსებობდნენ სხვა დიდი სოფლები, ქალაქი, სადაც ბევრი ხალხი ცხოვრობს, არის გაშენებული დუქან-ბაზარი, ყავახანა. ამ ყავახანაში ამზადებდნენ შავ, გემრიელ ყავას, ყავას ატკბობდნენ შაქრით, უშაქროთაც სმენ.

ნატრობდა: როდისმე, დროებით მიენებინა თავი საყვარელ მთისთვის, ცხვრისთვის, წასულიყო ბარში, დაბაში, ან ქალაქში, ენახა, დაეთვალიერებია იქაურობა, დაელია „გემრიელი ყავა“... ამ ოცნებას დაახწია თავი: გაყიდა რამდენიმე ცხვარი, ცოლშვილს დააბარა: დროებით მივალ ქალაქში, მალე მოვალ, ცხვარი კარგათ მწყემსეთ!

ჩავიდა ქალაქში, ნახა, გაკვირდა, ამდენი ხალხის ნახვით, მიეშურებიან, მოძრაობენ, ლაპარაკობენ, მსჯელობენ, კამათობენ და სხვა...

ერთ ვიწრო ქუჩაში შეუხვია, ნახა, დუქნის წინ, ხაფანგზე ვაჭარს დაწყობილი აქვს პატარ-პატარა ვარცლებით და თაფხებით გამხმარი ხილი. დააკვირდა, ერთი ვარცლი სავსეა შავ მარცვალა ხილით. დაეკითხა ვაჭარს: ამ ვარცლში რა არის? ვაჭარმა შეხედა, დარწმუნდა, რომ მთიდან ჩამოსული ხეპრეა.

– ეგ ლივანის ხურმაა, – უთხრა ვაჭარმა.

– რა მოგცე, რომ მაგით გავძღე? – შეეკითხა ქურთი.

ვაჭარს ესიამოვნა, რომ კაი ფასში მიჰყიდის ხურმას. ბლობათ დაუჯდენს „შავი ხურმით“ გაძღომას. იფიქრა: რამდენს შესჭამს, – ბევრი, ბევრი ერთ ოყას. მაშ, მე ხუთჯერ მეტს დავუფასებ.

– ხუთი მორჩილი მომე, რამდენიც გინდა, ჭამე, ვიდრე ერთ ხელ გაძღები.

ქურთმა მისცა ხუთი მორჩილი, მიუჯდა ხურმით სავსე ვარცლს, პეშვით გაივსო პირი ხურმით. მოტკბო ხურმა ესიამოვნა, ხარბათ ჭამა. ვაჭარი ადევნებს თვალს, ფიქრობს: მალე მობეზრდება. გულში დასცინის: უბედურო ხეპრევ, მალე მოგწყინდება, გაანებებ თავს.

ქურთი გახელებული სჭამს, ცოტაღა დარჩა ხურმა ვარცლში. პატარა ხანი და მთლათ გაათავა, რაც ვარცლში ხურმა იყო.

ვაჭარს გაუცრუვდა იმედი. ზარალშია... ქურთმა მოითხოვა კიდევ ხურმა. ვაჭარმა მხრები აიჩეჩა, თავი გააქნ-გამოაქნია, მიუტანა თაბხით ხურმა, წინ დაუდგა და „გააფრთხილა“ ქურთი: ბეწვს ნუ სჭამ, თორემ გაწყენს, გულს დაგწვამს!

– შენ მოიტა აქ, – უთხრა ქურთმა, ნუ სწუხარ ჩემზე, მე ვიცი, ვისაც სწყინს. ან ვისაც ეწვის გული, თან ხარბად ჭამს. მადლობა უთხრა ვაჭარს, რომ ხურმა კარგი ტკბილი იყო. შეუხვია მეორე ვიწრო ქუჩაში. ფიქრობს: ყავასაც რომ დავლევდე, მაშინ კი ძალზე ნასიამოვნები ვიქნები... ამ ფიქრში გართულმა, ცოტა გზა რომ გაიარა, ნახა: ერთი დუქნის გადაშლილ „ხაფანგზე“ დგას დიდი პინით შავი წყალი. იფიქრა: ა-ა-ა-ა... ეს, უსათუოდ, ყავაა! შეეკითხა თავის თავს, – მაშ ამ ყავასაც დავლევ, ვისიამოვნებ.

დაზგასთან პატარა მერხულზე მჯდომ ფინაჯ ხელოსანს შეეკითხა: ძმაო, თუ ყავას ჰყიდი, ერთი ფინჯანი მასვი. რა ეღირება?

– ეს ხელოსანი ფიქრისგან გამოერკვევა... იმ პინაში მდგომ წყალში ალბობდა ჯღანებს, ჯღანებისაგან გაშავებული წუმპე – შავი წყალი, – ქურთს ყავა ეგონა.

გაოცებულმა ფინაჯმა გამომცდელი თვალით შეხედა ქურთს. მიხვდა, რომ ქურთი ხამია, თავის შეგირდს უბძანა: გარეცხე ფინჯანი, თან ანიშნა შაგირდს სახმარ თასზე, – მოართვი ყავა სტუმარს... ქურთს უთხრა: მამე, რამდონიც გსურდეს, გინდ ორი გროში, ასე ვყიდით ფინჯან ყავას.

ქურთმა მოხსნა ფულის ქისას პირი, ამოიღო რამდენიმე გროში, გადასცა ფინაჯს...

ამ დროს ოსტატის ცბიერებას მიმხვდარმა შაგირდმა თასი გარეცხა, პინიდან ამოიღო წუმპე შავი წყალი და თავაზით მიართვა ქურთს. ქურთმა ჩამოართვა თასით „ყავა“, იქვე ჩამოჯდა, „ყაფაზის“ კიდურზე, დაიწყო „ყავის“ სმა. პირველსავე შესმაზე ეზიზღა, მიხვდა თავის შეცდომას, არ შეიმჩნია, რა გაცალა თასი, დადგა ძირს. ადგა, რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, მობრუნდა, მივიდა ახლოს მეჯღანესთან, რომელიც გულმოდგინე ცბიერებით უცქერდა ქურთს და უთხრა: ოსტატო, ეგ ყავა მალე გაყიდე, ან შენ დალიე, თორემ დაგიმჟავდება, იზარალებ! არ იფიქრო, ქურთი ვირია, ვერ მიხვდაო!..

ჩაიწერა **ნიკო ასათიანმა,**
ახალციხის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი **N3133,**
მოგვაწოდა **გრიშა ჯვარიძემ და ლევან ლაფაჩმა**
2017 წელს

**გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი**

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: **www.scri.co; fcook: ლიტერატურული მესხეთი**

**დამფუძნებლები:** ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ პრესის გარე გამავრცელებლებთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

**გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17**

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

**რედაქტორი** ავთანდილ ბერიძე
**სარედაქციო საბჭო**
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე
ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

**გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარის“ სტამბაში.**
**მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.**
**ტელ: 2 94-14-32**

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com